როგოზინის "როდინა" აფხაზეთის ბედს ქართული ღვინის თანხლებით წყვეტს A2

"მეფემ არ იცის, თორემ..." A8

ინფორმაცია ინფორმაციისათვის B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 17 ივნისი, 2004 წელი. №142 (691)

ფასი 50 თეთრი

სახელმწიფო წიგნებით ინტერესდება



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

ნანა კობაიძე

მაჩვენეთ თქვენი ქვეყნის წიგნის მაღაზიები და გეტყვით, როგორია თქვენი კულტურაო - უთქვამს რამდენიმე წლის წინათ ერთი ქართველი გამომცემლისთვის ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორს, საგამომცემლო საქმის მსოფლიო ექსპერტს, პოლ რიჩარდსონს. სამწუხაროდ, იმ მძიმე პერიოდში თინათინ დიდებულიძეს თავმოსაწონებელი არაფერი ჰქონდა. ის კი არა, კიდევ კარგი, ბატონმა რიჩარდსონმა არ ნახა ჩვენი მაშინდელი წიგნის მაღაზიები, სადაც წიგნის გარდა ყველაფერი იყიდებოდა. როგორ გინდოდა მერე გემტკიცებინა, მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ერი ისე დაეცი, რომ ერთ თაროზე ათავსებ "ვეფხისტყაოსანს" და სარეცხის ფხვნილს. გუშინ ქალბატონმა თინათინმა ისურვა, რომ ეს კაცი (ანუ რიჩარდსონი) ჩვენი (ანუ ქართველების) სტუმარი ყოფილიყო და ყველაფერი ენახა. ყველაფერი - ამ შემთხვევაში წიგნის ფესტივალია, რომელიც გუშინ მეექვსედ გაიხსნა.

გაგრძელება B2 გვერდზე

პოლიტიკა

შეთხელებული პარლამენტი და სექვესტრირებული პროკურატურა

"მულო, შენ გეუბნები, ნადირაძევ, შენ გაიგონეო!" - დაახლოებით ასეთ კონტექსტში ჟღერდა სპიკერის მკვეთრი განცხადება, რადგან სწორედ მაია ნადირაძე იყო ჩაქვში გამგზავრების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი.

A3

ეკონომიკა

"კა ელ ემი" ქართულ ავიაბაზარზე შემოვიდა

ავიაკომპანიამ "კა ელ ემ - ჰოლანდიის სამეფო ავიახაზები" გუშინ საქართველოში თავისი პირველი რეისი განახორციელა, რომლითაც თბილისში კომპანიის ხელმძღვანელობა, ჰოლანდიელი ჟურნალისტები და საქართველოს პირველი ლედის - სანდრა რულოვსის მშობლები ჩამოფრინდნენ.

A4

უცხოეთი

რუსეთში შეიარაღებული ძალების რეფორმა დაიწყო

რუსეთში თავდაცვის სისტემის რეფორმა დაიწყო. კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, გენერალურ შტაბს უფლებები ეზღუდება და, სანაცვლოდ, თავდაცვის სამინისტრო ძლიერდება. თუმცა, რეფორმების რეალურობაში ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ.

A5

სტუმარი

ცისია ქურდების აღარ არის

B1

ამინდი

	16/07	17/07
თბილისი	29	31
ქუთაისი	27	32
ბათუმი	25	30
სოხუმი	26	28
ფოთი	26	30
თელავი	28	28
ზუგდიდი	28	31
გორი	24	28
ახმეტა	28	29
ჭიათურა	25	31
გაგრა	25	26
სამტრედია	27	32

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9200
ევრო	2.2975
გირვანქა სტერლ.	3.4727
რუბლი	0.0661

"აღორძინების" ავტობუსები დემოკრატიის პროპაგანდისთვის

დღეს აჭარაში პრეზიდენტი ჩადის

თავის დროზე "აღორძინების" ცნობილი სააგიტაციო ავტობუსები დღეს ბათუმის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის ქუჩებში მოძრაობენ. ამჟამადაც მათ წმინდა სააგიტაციო ამოცანა აკისრიათ, თუმცა, წარსულისაგან განსხვავებით, ახლა სულ სხვა მოწოდებები გაისმის. აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისია, ავტობუსებზე დამონტაჟებული მეგაფონების საშუალებით, აჭარის მოსახლეობას უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე მისვლისაკენ მოუწოდებს.

თამარ მჭედლიშვილი
ბათუმიდან

კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებზე მისვლას აჭარელ ამომრჩეველს დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც მოუწოდებს. იგი დილით ჩამოდის აჭარაში და მთელი დღის განმავლობაში აჭარის რაიონების ამომრჩევლებს შეხვდება. ბუნებრივია, საქართველოს პრეზიდენტი არც წინასაარჩევნო პარტიულ აგიტაციაზე იტყვის უარს და სთხოვს მოსახლეობას, ხმა იმ გუნდს მისცეს, რომლებიც "სააკაშვილი - გამარჯვებული აჭარის" სახელით გამოდიან.

გაგრძელება A3 გვერდზე

რა ხდებოდა და რა ხდება კოდორის ხეობაში?

სოფიკო ჩხაიძე

"ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის" - კოდორის ხეობის ყოფილ და ახლანდელ ხელმძღვანელთა მიერ სხვადასხვა პოზიციებიდან დანახული სინამდვილე სწორედ ამ წინააღმდეგობრივი ფრაზით გადმოიცემა. ერთმანეთთან დაპირისპირებული ადამიანები, ცხადია, საკუთარ ნაკლოვანებებზე საუბარს ერიდებიან, სამაგიეროდ, სიამოვნებით აცხადებენ ერთმანეთის მიმართ დაგროვებულ პრეტენზიებსა და ბრალდებებს. ამასთან, არც ერთ მათგანს ერთი წუთითაც არ ავიწყდება, რომ საკუთარი მიზნები სახელმწიფოებრივი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში - კოდორის ხეობისა და მისი მოსახლეობის ინტერესების სახელით მიაწოდოს საზოგადოებას. კოდორის ხეობის ყოფილ და ახლანდელ ხელმძღვანელებს - ნუგზარ ფანგანსა და ემზარ კვიციანს შორის დაპირისპირება საჯაროდ ახლახან გამოაშკარავდა და მათ უკვე მოასწრეს ერთმანეთისთვის არაერთი ცოდვის დაბრალება. ამჯერად კი საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, ასევე კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის პირველი რწმუნებული ივერი ჭელიძე დაგვიკავშირდა. ემზარ კვიციანის წინამორბედი, რომელთან ერთადაც კოდორის ხეობიდან რამდენიმე წლით წასული ამჟამინდელი რწმუნებული ხეობას დაუბრუნდა, მის მიმართ ნათქვამმა რამდენიმე ფრაზამ გააღიზიანა, თანაც იმდენად, რომ ორი ადამიანის დაპირისპირების გამწვავების მიღმა საქართველოს ხელისუფლების ინტერესიც კი დაანახა.

გაგრძელება A7 გვერდზე

შპარტო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "უცხოეთორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განამტკიცებს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გააცნობიერებს მათ სამართლებრივ და საბანკო-ანალიტიკურ საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმოწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმოწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28487440

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ფოსტა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

რატომ არ იწვევენ ნაბდზოროვს? - უკვირს ქართულ მხარეს

გიორგი გომიაშვილი საქართველოს პროტესტს ახმოვანებს.

"ქართული მხარისთვის გაუგებარია, თუ რატომ არ ხდება ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების შტაბის მეთაურის სვიატოსლავ ნაბდზოროვის გაწვევა, მაშინ, როცა ქართულმა მხარემ ღიად და გასაგებად გამოხატა პოზიცია მის უპირობო გაწვევასთან დაკავშირებით," - განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გომიაშვილმა.

მინისტრის მოადგილემ სამშაბათს დილით სოფელ ერედვში მომხდარ ინციდენტზე გააკეთა კომენტარი (შეგახსენებთ, რომ 14 ივნისს, გვიან ღამით, ცხინვალიდან გამოსული ავტოკოლონა გადაადგილდა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი სოფელ ერედვის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლის სიახლოვესაც დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქართული სოფლების დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის მონაკვეთია).

გომიაშვილის თქმით, ამ ინციდენტის შესახებ ქართულმა მხარემ შერეული ძალების შტაბის მეთაურს გენერალ ნაბდზოროვს შეატყობინა და სამხედრო დამკვირვებლების ადგილზე მისვლა მოითხოვა, თუმცა დამკვირვებლები დილის ექვს საათზე გამოჩნდნენ, როცა იქ არავინ იმყოფებოდა.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, ქართული მხარე მზადაა, უმოკლეს ვადაში, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა შედგეს. **"საგარეო საქმეთა უწყება პრინციპულად თანხმობას აცხადებს მონაწილეობა მიიღოს მოსკოვში, 21-22 ივნისს კომისიის სხდომაში,"** - აღნიშნა გომიაშვილმა. მისი თქმით, ოთხშაბათს თბილისში დაგეგმილი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა, ოსური მხარის გამო, მეორედ გადაიდო.

"საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს რუსეთის დიპლომატიურ უწყების წარმომადგენლებს, ორი ქვეყნის პრეზიდენტებს - მიხეილ სააკაშვილსა და ვლადიმირ პუტინს შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად იმოქმედონ და ყველა პრობლემური საკითხის გადაწყვეტა სამუშაო რეჟიმში და არა მასმედიის საშუალებით მოხდეს," - აღნიშნა გომიაშვილმა.

საგარეო უწყების წარმომადგენელმა გუშინ არ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე ზურაბ კობახიძისა და დავით ონოფრიშვილის კანდიდატურების განხილვასთან დაკავშირებით. გომიაშვილის თქმით, აღნიშნული კანდიდატურები ამ თანამდებობაზე არ განიხილება.

■ ■ ■

გუშინ, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სოლომონ პასისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის სატელეფონო საუბარი შედგა. როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, საუბრის ინიციატორი სოლომონ პასი გახლდათ, რომელმაც სალომე ზურაბიშვილს საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა მიულოცა და, საშემოდგომოდ, ბულგარეთსა და ავსტრიაში მიიწვია.

სოფო ბუკია

"ხვანჭკარა" - მხოლოდ ხვანჭკარიდან

დადგება დრო, როცა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის სუპერმარკეტში ლამაზად შეფუთული "Choporti Tomatoes" გაიყიდება და მყიდველისთვის აშკარა იქნება, რომ ეს პროდუქცია საქართველოდანაა. მანამდე კი, მსოფლიოს კანონმდებლობასთან ჰარმონიზებისაკენ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი.

ქართული პროდუქციიდან მსოფლიო ამ ეტაპზე, ძირითადად, იმ ცნობილ ბრენდებს სცნობს, რომლებიც თავის გეოგრაფიულ წარმოშობასთან არიან "მიბმულნი". ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, "ხვანჭკარა" მხოლოდ რაჭაში, სოფელ ხვანჭკარაში მოდის, "წინანდალი" - მხოლოდ წინანდლის ზვრებში, "ბორჯომი" - მხოლოდ ბორჯომში, "ნაბეღლავი" - ნაბეღლავში და ასე შემდეგ. ეს სახელები მომხმარებელს მინიშნებას აძლევს იმ განსაკუთრებულ თვისებებსა და ხარისხზე, რომელიც განპირობებულია შესაბამისი გეოგრაფიული ადგილის სპეციფიურობით, დამახასიათებელი ბუნებრივი პირობებით, იქ არსებული ტრადიციებით, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაში წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნითა და ოსტატობით.

იმის გამო, რომ გეოგრაფიულ აღნიშვნებზე "მიბმული" ბრენდები მომხმარებელს განსაკუთრებულად იზიდავს, მათ მიმართ გამყალბებელთა ინტერესიც დიდია. შედეგად, ხშირია მაღალი რეპუტაციისა და განსაკუთრებული კომერციული ღირებულებების მქონე გეოგრაფიული აღნიშვნების მითვისება. ამის მაგალითად რუსეთში წარმოებული ქართული ღვინოების მთელი სერია კმარა... იოლი წარმოსადგენია, რა რეაქცია შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერ ქართველს, როცა სადღაც ციმბირში ადგილობრივად წარმოებულ "ბორჯომს" შესთავაზებენ. იგივე რეაქცია ჰქონდათ ფრანგებს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ პრესტიჟულ სასტუმროში იქვე წარმოებული "ბურგუნდიული" შესთავაზეს. სასამართლო დავა იმის გასარკვევად, ჰქონდათ თუ არა ამერიკელებს ამ დასახელების პროდუქციის წარმოების უფლება, დღემდე გრძელდება.

ერთი სიტყვით, ამ თემაზე მსოფლიოში ჯერ კიდევ მსჯელობენ, კამათობენ და ცდილობენ, კანონმდებლობა დაიხვეწოს. ყველაზე ხშირად, გეოგრაფიული აღნიშვნების მითვისების პრობლემა "ბებერი" და ტრადიციული ევროპის ქვეყნებს აწუხებდათ და, შესაბამისად, ყველაზე დიდი გამოცდილებაც აქაა დაგროვილი.

საქართველოში ამ საკითხების მართვას საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - "საქპატენტი" ახორციელებს. სწორედ "საქპატენტისა" და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ინიციატივით, 21-22 ივნისს სასტუმრო "ქორთიარდ-მარიოტში" საგანგებო სემინარი გაიმართება. ამ სემინარზე ევროკომისიის, WIPO-ს და საფრანგეთის სამრეწველო საკუთრების ეროვნული ინსტიტუტის წარმომადგენლები ქართველ კოლეგებს იმ გამოცდილებას გააცნობენ, რაც მსოფლიოში "გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვისა და გამოყენების" თვალსაზრისით არსებობს.

24 საათი

დავით ონოფრიშვილი ელჩობას არ აპირებს

"საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი დავით ონოფრიშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას მისი რუსეთში საქართველოს ელჩის თანამდებობაზე შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ეს ჭორია და იგი კვლავაც აგრძელებს მუშაობას "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის პოსტზე. რუსეთში საქართველოს ელჩი კოტე კემულარია უახლოეს მომავალში საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობას დაიკავებს.

მედია-ნიუსი

"გაურკვეველი მკვლელობის გაბრძელება"

სწორედ, რომ ამ პრინციპით მუშაობენ გურჯაანელი სამართალდამცავები. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ, რამდენიმე დღის წინ სავალალო შედეგი გამოიღო, 29 წლის გოჩა აბაზაშვილი, როგორც მისი ახლობლები ამბობენ, ძმის - კობა აბაზაშვილის უდანაშაულობის დამტკიცებას ემსხვერპლა. ტრაგედიიდან მეოთხე დღეს, კობა აბაზაშვილი, სამთვიანი წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კახეთის რეგიონში კრიმინალური ვითარება საგრძნობლად დაიძაბა. ამ მხრივ ყველაზე საგანგაშო მდგომარეობა გურჯაანის რაიონშია. აქ მკვლელობები სერიალის სახეს იღებს. ამ ყველაფერს კი უკანონო დაპატიმრებებიც ემატება. ამ უკანასკნელი ფაქტების შესახებ "24 საათი" არაერთხელ წერდა. ამჯერად კობა აბაზაშვილი ჩვენი ყურადღების ობიექტი კიდევ ერთხელ ხდება.

"24 საათი" წერდა, რომ აბაზაშვილს ორი თვის წინათ გურჯაანის პოლიციამ ჩხრეკის შედეგად ნარკოტული ნივთიერება აღმოუჩინა, ამ მოტივით მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და კობა აბაზაშვილს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. გუშინ კი რაიონულ სასამართლოში აბაზაშვილის საქმესთან დაკავშირებით პროცესი გაიმართა. მიუხედავად პროკურატურის წინააღმდეგობისა (იმის გამო, რომ ხელახალი დანაშაული არ ჩაიდინოს კობა აბაზაშვილმა), მოსამართლე ნუგზარ ბურდულმა დაზარალებული მხარის, აბაზაშვილის ადვოკატის ავთანდილ ზარდიაშვილის სარჩელი დააკმაყოფილა და ბრალდებული წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა. **"სასამართლომ ეს გადაწყვეტილება კობა აბაზაშვილის ადვოკატის მიერ დაყენებული შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო. აბაზაშვილს დაკავებამდე B-ჰეპატიტი ჰქონდა, გარდა ამისა, სასამართლომ გაითვალისწინა ოჯახის მდგომარეობაც,"** - ამბობს მოსამართლე ბურდული. კობა აბაზაშვილი რომ ავადმყოფობდა და მას ნარკოტიკთან შეხება არ ჰქონდა, ამის შესახებ ბრალდებულის ოჯახის წევრებმა პოლიციას არაერთხელ განუცხადეს. იგივე დაადასტურა ლაბორატორიულმა ექსპერტიზამაც, მაგრმ სამართალდამცავებმა ის მაინც დამნაშავედ მიიჩნიეს.

როგორც "24 საათი" წერდა, სიმართლის დასადგენად კობა აბაზაშვილის ძმამ გოჩამ, არაერთ ინსტანციას მიმართა, მაგრამ სამართალი ვერსად იპოვა. ბოლოს მან დახმარებისთვის იმ პოლიციელს (ზურა შავკაციშვილს) მიმართა, რომელმაც, როგორც აბაზაშვილის ოჯახის წევრები აცხადებენ, კობას ჯიბეში ნარკოტიკი ჩაუდო. სიმართლის დადგენა მას ბოლომდე არ დასცალდა, იგი შავკაციშვილებმა თავიანთი სახლის წინ მოკლეს. ვინ არის მკვლელი, გაურკვეველია, თუმცა პროკურატურაში ირწმუნებიან, რომ მკვლელი ზურაბ შავკაციშვილის მამა, იოსებ შავკაციშვილია და ეჭვმიტანილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე სსკ-ს 108-ე მუხლით აღიძრა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ეჭვს ის გარემოება იწვევს, რომ მკვლელად გამოცხადებული იოსებ შავკაციშვილი ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს და სახლში იმყოფება. ამ ფაქტს პროკურორი რევაზ ჩივიაშვილი ასე განმარტავს: **"საქმის არსიდან გამომდინარე, ასეთი გადაწყვეტილება ჩვენი მხრიდან დასაშვებია, ამას კანონის ნორმები ითვალისწინებს. არ გამოვრიცხავთ, რომ გამოძიების პროცესში მას ბრალდების მუხლი შეეცვალოს,"** - აცხადებს ჩივიაშვილი. გამოძიება ასეთი გადაწყვეტილების მიღებას იმით განმარტავს, რომ გოჩა აბაზაშვილი შაკაციშვილებს თავს დაესხა.

ამ საქმესთან დაკავშირებით ის ფაქტიც საგულისხმოა, რომ კობა აბაზაშვილი გამოძიებამ საშიშ დამნაშავედ ცნო, რადგან მას 15 გრამი ჰეროინი აღმოუჩინა, ხოლო იოსებ შავკაციშვილი, რომელმაც ჩვენება, პროკურორ რევაზ ჩივიაშვილის მოწადინებით, ჟურნალისტებსაც მოგვცა და აღიარა მკვლელობა, კვლავ თავისუფალია.

რაც შეეხება თავად კობა აბაზაშვილის გათავისუფლების ფაქტს, ეს ამბავი ძალოვანებისთვის არასასიამოვნო აღმოჩნდა და ამჯერად გაუგებრობისთვის პოლიციის უფროსი თამაზ მაჭავარიანი, საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელი დავით საგინაშვილი, პროკურატურა და სასამართლო ერთმანეთს ადანაშაულებენ და სიმართლის გარკვევაში დახმარებას ჟურნალისტებს სთხოვენ.

პროკურორი რევაზ ჩივიაშვილი ხაზს უსვამს "24 საათის" დაინტერესებას სიმართლის დადგენით და 12 ივნისს გამოქვეყნებულ სტატიას ასე ეხმიანება: "მკვლელობასთან და კობა აბაზაშვილთან დაკავშირებით, როგორც სტატიაში ირკვევა, ჟურნალისტმა ბევრი რამ იცის და მას აუცილებლად დავკითხავთ," - აცხადებს ჩივიაშვილი.

24 საათი

ბათუმის პორტის ყოფილი უფროსი წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს

ბათუმის საოლქო სასამართლომ ბათუმის პორტის ყოფილი უფროსი ჯამბულ ნინიძე წინასწარი პატიმრობიდან სადავო თანხის - 130 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა.

როგორც ბათუმის სატრანსპორტო პროკურატურაში აცხადებენ, ჯამბულ ნინიძე ბათუმიდან გაუსვლელობის ხელწერილითაა გათავისუფლებული და გამოძიებასთან თანამშრომლობის პირობა აქვს დადებული. ამასთან, პროკურატურაში არ გამორიცხავენ, რომ თუ სადავო თანხის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, ნინიძე, შეთანხმებისამებრ, მასაც დაფარავს. ამის მიუხედავად, ბათუმის პორტის ყოფილი უფროსი პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლდება. მისი საქმე გამოძიების დასრულების შემდეგ სასამართლოში გადაიგზავნება. ჯამბულ ნინიძე ბათუმის რეგიონალური ტრანსპორტის პროკურატურის თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 13 მაისს დააკავეს თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით. კერძოდ, მას პროკურატურა, გამოძიების მასალების შესაბამისად, გადაზიდვებზე ტარიფების ხელოვნურად შემცირების გზით ბიუჯეტისათვის 130000 დოლარის ზარალის მიყენებაში ედავება.

პრაიმ-ნიუსი

აჭარელი მაღალჩინოსანი მეორედ დააკავეს

ბათუმის სატრანსპორტო პროკურატურამ აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულის ნათესავი, რკინიგზის დეპარტამენტის ყოფილი შეფი ნუგზარ ვარშანიძე დააკავა. ვარშანიძეს პროკურატურა ადანაშაულებს თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და 230 ათასი ლარის მაქინაციაში. ნუგზარ ვარშანიძე რკინიგზის დეპარტამენტში არსებული ფინანსური მაქინაციების გამო დაახლოებით ორი თვის წინ, ასლან აბაშიძის მმართველობის დროსაც იყო დაკავებული, თუმცა ავტონომიის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იგი პატიმრობიდან გათავისუფლეს. მაშინ პროკურატურა მას 43 ათას ლარს ედავებოდა. სატრანსპორტო პროკურატურაში აცხადებენ, რომ თანხა, რომელსაც ვარშანიძეს ედავებიან, შესაძლოა, კიდევ უფრო გაიზარდოს.

24 საათი

მესაზღვრეებმა რუსული დროშით მოცურავე გემი დააკავეს

საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამმართველოს თანამშრომლებმა ნაოსნობის საერთაშორისო წესების დარღვევის გამო დააკავეს რუსული დროშით მოცურავე ტვირთმზიდი, გემი "ცირკონი". გემი დატვირთული არ ყოფილა. იგი თურქეთის ქალაქ ხოფადან რუსეთის ფედერაციის ქალაქ ტაგანროგში მიცურავდა და უკანონოდ შეევიდა საქართველო-თურქეთის საზღვაო საზღვრის 119-ე რაიონში, რომელიც ნაოსნობისთვის დახურულია.

საქართველოს კანონმდებლობა აღნიშნული დარღვევისთვის 50-ათას ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. რუსული გემი "ცირკონი", ეკიპაჟის წევრებთან ერთად, ბათუმის პორტშია გადაყვანილი. შეგახსენებთ, ქართველმა მესაზღვრეებმა მიმდინარე წელს სხვადასხვა სახის დარღვევების გამო უცხო ქვეყნის დროშით მოცურავე 11 გემი დააკავეს.

მედია-ნიუსი

როგოზინის "როდინა" აფხაზეთის ბედს ქართული ღვინის თანხლებით წყვეტს

დმიტრი როგოზინს და მის ფრაქციას სურთ, სასურველი რეალობად აქციონ.

რუსეთის პარლამენტის სახალხო-პატრიოტულმა გაერთიანება "როდინამ", აფხაზეთში მოგზაურობის შემდეგ, განცხადებები გააკეთა აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის იურიდიულ პერსპექტივებზე. ფრაქციის ლიდერის დმიტრი როგოზინის კომენტარით, **"იურიდიული თვალსაზრისით პასუხია გასაცემი სსრკ-ს დაშლის დაუმთავრებელ პროცესზე. ცხადია, რომ ამ გადაწყვეტილების მიღების დროს რუსეთმა უნდა იხელმძღვანელოს დემოკრატიული ნორმებით"**. როგოზინს და მის თანამოაზრეებს მხედველობაში აქვთ აფხაზეთში მოსალოდნელი რეფერენდუმი. როგოზინი ამბობს, რომ **"რუსეთის მხარე არ აყენებს საკითხს აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში მიღებაზე. საკითხი დგას შემდეგნაირად: მისცემენ თუ არა აფხაზეთს დამოუკიდებლობას და რა ფორმით."** როგოზინი რატომღაც არ აკონკრეტებს, ვინ უნდა მისცეს დამოუკიდებლობა აფხაზეთს - რუსეთმა, საქართველომ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებმა. ამის ნაცვლად პარლამენტის ვიცე-სპიკერი ამტკიცებს, რომ აფხაზეთის მოსახლეობის 78 პროცენტი უკვე რუსეთის მოქალაქეა.

ასევე აბსურდული ნორმები მოჰყავს როგოზინს სამხრეთ ოსეთის პრობლემასთან დაკავშირებით, როცა ამბობს, რომ **"გასათვალისწინებელია ოსი ხალხის გაერთიანების პერსპექტივა რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებში."** რასაკვირველია, ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობა არ ისურვებს და არც არავინ დართავს ნებას საქართველოს შემადგენლობაში შევიდეს. ფრაქცია "როდინას" მეორე წევრი გენერალი იგორ როდიონოვი აფხაზეთიდან გვარიანად გარუჯული დაბრუნდა. იგი ამტკიცებს, რომ აფხაზეთი დღეს მყარად ადგას საქართველოსაგან დამოუკიდებლად ცხოვრების პოზიციაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეფერენდუმის შედეგი წინასწარ ცნობილია.

"როდინას" კიდევ ერთი წევრი, რომელიც ასევე აფხაზეთში იმყოფებოდა, "რუსეთის კაზაკთა არმიის" გენერალ-მაიორი კონსტანტინ შერსტნიოვია, რომელიც აცხადებს, რომ **"აფხაზეთში სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში, ე.წ. არარეესტრული კაზაკები აფხაზი ძმების მხარეზე იომებენ, რადგანაც ისინი რეესტრული კაზაკებისაგან განსხვავებით, რუსეთის პრეზიდენტის კი არა, მხოლოდ საკუთარი ატამანის მითითებებს ასრულებენ."**

აფხაზეთში შეხვედრების დროს რუსეთის დუმის დელეგაციამ საკუთარი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეისწავლა. როგოზინი კმაყოფილია - იგი ამბობს, რომ **"ეს იყო მოსკოვიდან ჩასული სპეციალისტების პირველი დელეგაცია, რომელმაც, შიდაპოლიტიკურ საკითხებთან ერთად, რეგიონის სოციალური პაკეტიც დაამუშავა".**

აფხაზეთიდან დაბრუნებული "როდინა" კონსულტაციებს დუმის კომიტეტებში აგრძელებს. როგოზინის კომენტარით, ჯერჯერობით არ არის დაგეგმილი რუსეთის საკანონმდებლო ორგანოში აფხაზეთის საკითხის იმ ფორმით განხილვა, როგორც ეს სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მოხდა, მაგრამ დუმის იურისტები აფხაზეთში ჩასატარებელ რეფერენდუმზე უკვე სერიოზულად მუშაობენ.

"როდინას" წევრებთან საუბრის დროს, როგოზინის დაცვამ მის კაბინეტში ქართული ღვინის ბთოლებით სავსე ყუთი შეიტანა. ყუთზე ქართული წარწერები აშკარად ჩანდა...

რუსუდან ნიკურაძე, საკ.კორ.მოსკოვში

ორი შეხვედრა "წყალკანალთან" დაკავშირებით

პარლამენტარები - ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა საქართველოს პარლამენტისგან კანონში ცვლილებების მიღებას და წყლის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ჩამოყალიბებას მოითხოვენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მათ გუშინ პარლამენტში პრესკონფერენცია გამართეს. როგორც კუკავამ აღნიშნა, თბილისის საკრებულო სულ მალე ხელს მოაწერს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, "თბილწყალკანალის" გასხვისება ფრანგულ კომპანია "ჯენერალ დეზოზე" მოხდება.

"აღნიშნული ხელშკრულება კაბალურია. მასში ჩადებულია ისეთი მუხლები, რაც წყლის ტარიფების გაზრდას შეუწყობს ხელს. ეს კი სოციალურად დაუცველი ფენებისთვის მძიმე დარტყმა იქნება. წყლის რესურსების დაცვა სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად უნდა განხორციელდეს, უნდა შეიქმნას მარეგულირებელი ეროვნული კომისია", - მიაჩნია კუკავას.

დეპუტატები აცხადებენ, რომ აუცილებელია პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტებმა მოიწვიონ პარლამენტში პრემიერ-მინისტრი, თბილისის მაჟორიტარი დეპუტატები და მთავრობის სხვა წევრები, რათა "თბილწყალკანალის" პრივატიზაციასთან დაკავშირებით სპეციალური ფართო განხილვა მოეწყოს.

აღნიშნულ საკითხს გუშინ მერიაშიც განიხილავდნენ. მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების ხელმძღვანელებს შეხვდა. ჭიაბერაშვილი საკრებულოს უმრავლესობისა და უმცირესობის მოსაზრებებს გაეცნო. მერისა და საკრებულოს უმრავლესობის პოზიციები თანმხვედრი აღმოჩნდა. ჭიაბერაშვილს მიაჩნია, რომ მსოფლიო ბანკის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომელიც "თბილწყალკანალის" უცხოური კომპანიისთვის მართვაში გადაცემას ითვალისწინებს, ერთადერთი ალტერნატივაა სისტემის სრულყოფილი რეაბილიტაციისა და წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის. **"თუმცა, უცხოურ კომპანიასთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებამდე, რაც, სავარაუდოდ, მიმდინარე თვის ბოლოს მოხდება, მუნიციპალიტეტში პროექტის ხელახალი გადახედვა და ცალკეულ პუნქტებზე მუშაობა ისევ გაგრძელდება",** - განაცხადა მან.

ინტერ-პრესი

აჭარაში არჩევნებს ევროპის საბჭოს კონგრესი დააკვირდება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოწვევით, ევროპის საბჭოს კონგრესი აჭარაში არჩევნებზე დამკვირვებელთა დელეგაციას გამოაგზავნის. დამკვირვებელთა დელეგაცია, რომელსაც ჯოზეფ მორგომი უხელმძღვანელებს, საარჩევნო კომისიებს, ცენტრალურ და რეგიონულ ხელმძღვანელობას შეხვდება. შეხვედრები გაიმართება, აგრეთვე, პოლიტიკურ პარტიებთან, დეპუტატობის კანდიდატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. დამკვირვებელთა დელეგაციის სპეციალური პრესკონფერენცია 21 მაისს ბათუმში გაიმართება.

მედია-ნიუსი

ცხინვალის რეგიონის მოვლენებზე სტრასბურგში იმსჯელებენ

სტრასბურგში ევროპის საბჭოში რუსული და ქართული დელეგაციები "სამხრეთ ოსეთში" შექმნილ ვითარებას განიხილავენ. რუსეთის დუმის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის მიხაილ მარგელოვის შეფასებით, საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენები იმაზე მეტყველებს, რომ ოფიციალური თბილისი სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას არ აპირებს. "თბილისი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემას პოლიტიკური გზით გადაჭრის", - აცხადებს მარგელოვი და დასძენს, რომ რუსეთი დაინტერესებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობით. "საქართველო ჩვენი პარტნიორია სამხრეთ საზღვარზე. რუსეთის ეროვნულ ინტერესებში შედის, აგრეთვე, რომ საქართველოში არ იყოს ომი და დაძაბულობის კერები", - აცხადებს რუსი სენატორი.

მედია-ნიუსი

დუშეთის რაიონში მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მალე დასრულდება

მთიან და მაღალმთიან რეგიონებში ამინდების გამოსწორებისთანავე, დუშეთის რაიონის ბარისახოს საკრებულოში, სოფელ როშკის ტერიტორიაზე კვლავ განახლდა 0.5 მეგავატი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რაც სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის - IFAD-ის მიერ ხორციელდება. ამ დროისთვის დაწყებულია საყრდენი მილების ჩაწყობა, წყალმიღებისა და შენობის მშენებლობა-დამონტაჟება. ამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულება დაგეგმილია მიმდინარე წლის ზაფხულის მეორე ნახევარში, რის შედეგად ხევსურეთისა და ფშავის ხეობის 2 საკრებულოს 18 სოფელი მომარაგდება უწყვეტი ელექტროენერგიით.

ორი საირიგაციო ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები განახლდა, აგრეთვე, ასპინძის რაიონშიც: კერძოდ, სოფელ ხიზაბავრაში, წვერას მთაზე - 300 ათასი კუბური მეტრის მოცულობის წყლის რეზერვუარის, ხოლო სოფელ აწყვიტაში - 32 კმ სიგრძის საირიგაციო არხის. ორივე ობიექტის მშენებლობა მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება. შედეგად, სოფელ ხიზაბავრაში გასარწყავდება 337 მცირე ფერმერის კუთვნილი 426 ჰა სახნავი მიწის ფართობი და სოფელ აწყვიტაში გასარწყავდება 207 მცირე ფერმერის კუთვნილი 334 ჰა სახნავი მიწის ფართობი. ეს სამუშაოები საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ "სიტყვის თავისუფლების შესახებ" კანონპროექტის მიღება საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან "დეპუტატთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე პრესის უფლებების გაზრდა იქნება, რაც პარლამენტის მხრიდან პრესის მიმართ სერიოზული ჟესტია". "ვიმედოვნებ, რომ თავად ჟურნალისტებიც გადმოდგამენ შემხვედრ ნაბიჯებს პარლამენტარებისკენ და ეთიკის კოდექსს შეიმუშავებენ," - აღნიშნა ბურჯანაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტი "საპარლამენტო მდივნის შესახებ" კანონპროექტის მიღებას გეგმავს. როგორც კანონპროექტის ავტორები აცხადებენ, აღნიშნული კანონის მომზადება საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების გამო გახდა აუცილებელი. საპარლამენტო მდივანი არის პრეზიდენტის, მთავრობის და აღმასრულებელი სტრუქტურების სრულუფლებიანი წარმომადგენელი პარლამენტში, რომელიც ხელს უწყობს პარლამენტისა და შესაბამისი სტრუქტურების ურთიერთობის დარეგულირებას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა ექსმინისტრი სერგეი შამბა, რომელიც დაკავებული თანამდებობიდან გუშინ თავად გადადგა, პოლიტიკური ასპარეზიდან წასვლას არ აპირებს. იგი შემოდგომისთვის აფხაზეთში დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობასაც არ გამორიცხავს. შამბას განცხადებით, მის გადადგომას არაერთი მიზეზი ჰქონდა, რომელთა დასახელებისგან იგი თავს იკავებს, მაგრამ იმის დაზუსტებას აუცილებლად მიიჩნევს, რომ გადადგომის შესახებ გადაწყვეტილების მიღება აფხაზეთის გმირის გარი აიბას ტრაგიკულად დაღუპვას არანაირად არ უკავშირდება. "იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთში შემოდგომისთვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩემს კანდიდატურას მხარს მოძრაობა "ერთიანი აფხაზეთი" დაუჭერს, არჩევნებში მონაწილეობაზე უარს არ ვიტყვი," - აღნიშნა შამბამ, რომლის განმარტებით, მისი და მისი თანამოაზრეების მიერ დაფუძნებული მოძრაობა - "ერთიანი აფხაზეთი" საპრეზიდენტო არჩევნებზე თავისი კანდიდატურის დაყენების საკითხზე საბოლო გადაწყვეტილებას აგვისტოს პირველი რიცხვებისთვის დაგეგმილ კონფერენციაზე მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დანიშნულ გენერალ-ლეიტენანტ ანატოლი ზაიცევს თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ სოხუმში საკუთარი სახლი უყიდა. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი "ზაბაიკალსკის" სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი და ცოტა ხნის წინ ამავე ოლქის მეთაურის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ზაიცევი დაინიშნა. 12 წლის წინ აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ჩეჩენ საველე მეთაურს, "აფხაზეთის გმირს" შამილ ბასაევს ეკავა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ფოთის აკვატორიაში დასრულდა სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოს ფოთისა და ბათუმის განყოფილებების ერთობლივი სასწავლო-საწვრთნელი სროლები. წვრთნებში, რომელიც 15 ივნისს დაიწყო, პირადი შემადგენლობა და ათამდე მცურავი საშუალება მონაწილეობდა. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

თბილისი. ბათუმის სატრანსპორტო პროკურატურამ დააკავა აჭარის რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელი ნუგზარ ვარშანიძე, რომელიც წლეულს მარტში, ასლან აბაშიძის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც იყო დაკავებული და ავტონომიის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ორივე შემთხვევაში, დაკავების მოტივი ფინანსური დარღვევები იყო. ვარშანიძის პირველ დაკავებას პოლიტიკური გადაწყვეტილება ეწოდა, ვინაიდან რკინიგზის შეფი აჭარის ხელმძღვანელობას ჩოლოქის საზღვრის გადაკეტვის გამო დაუპირისპირდა. პროკურატურა ვარშანიძეს თანამდებობის ბოროტად გამოყენებას და 230 ათას ლარს ედავება. გავრცელებული ინფორმაციით, ნუგზარ ვარშანიძე აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულის ლევან ვარშალომიძის ახლო ნათესავია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამმართველოს თანამშრომლებმა ნაოსნობის საერთაშორისო წესების დარღვევის გამო რუსული დროშით მცურავი ტვირთმზიდი გემი "ცირკონი" დააკავეს. გემი დატვირთული არ ყოფილა. იგი თურქეთის ქალაქ ხოფადან რუსეთის ფედერაციის ქალაქ ტაგანროგში მიცურავდა და უკანონოდ შეევიდა სა

შეთხელებული პარლამენტი და სექვესტრირებული პროკურატურა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ გიგა ბოკერიას მიერ წარდგენილი, "სიტყვის თავისუფლების შესახებ" კანონპროექტის მიღება საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან "დეპუტატთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე პრესის უფლებების გაზრდა იქნება.

იური ლოგაშვილის ფოტო

"არ იყვნენ ესენი ჩაქვში გასაშვებნი", - თანაფრაქციელების მიმართ უკმაყოფილებას ვერ მალავდა გუშინ "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" ერთ-ერთი წევრი. მართლაც, გასულ ხუთშაბათს ჩაქვში გამგზავრებული საპარლამენტო უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელი ზღვაზე ნებივრობას და გარუჯვას დღემდე განაგრძობს, მაშინ, როდესაც მათ კოლეგებს კვორუმის შესაკოწიწებლად ნერვები აწყდებათ. უკვე ორი დღეა, მანდატურები დეპუტატებს გულმოდგინედ ითვლიან, მაგრამ 118-მდე იშვიათად "აღწევენ".

გიორგი ასანიშვილი

ასეთ ვითარებაში პარლამენტის თავმჯდომარეს ზოგჯერ ნერვები უმტყუნებს ხოლმე. რამდენჯერმე უშედეგოდ გავლილი რეგისტრაციის შემდეგ, ნინო ბურჯანაძემ გუშინ ფრაქციის თავმჯდომარეებისგან უკვე მკაცრად მოითხოვა "პარლამენტარების მობილიზება".

"მულო, შენ გეუბნები, ნადირაძევ, შენ გაიგონეო!" - დაახლოებით ასეთ კონტექსტში ჟღერდა სპიკერის მკვეთრი განცხადება, რადგან სწორედ მაია ნადირაძე იყო ჩაქვში გამგზავრების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი. არადა, ზღვისპირეთში ექსკურსიის (საზოგადოების მოსაჩვენებლად, მას "ფრაქციის გასვლითი სხდომა" დაერქვა) მიზანი, თითქოს, საკმაოდ კეთილშობილური იყო: ახლადარჩეული დეპუტატები ერთმანეთს უკეთ უნდა გაცნობოდნენ და დაახლოებოდნენ. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი - პარლამენტარები ისე დაახლოვდნენ, რომ ერთმანეთთან და ზღვასთან განშორებას ვეღარ ახერხებენ.

ერთი სიტყვით, ახალი მოწვევის დეპუტატებისა და "ძველი გვარდიის" ნაზავმა საკურორტო ცხოვრებას გემო გაუგო - კანონპროექტებზე კირკიტს დასვენება და გართობა ნამდვილად სჯობს.

ვიდრე მავანნი პლაჟზე კოტრიალობენ, სხვები სხდომათა დარბაზში რისხვას აფრქვევენ.

"პარლამენტია თუ საბავშვო ბაღი?" - კითხულობს ლევან გაჩეჩილაძე და, ადგილმდებარეობაში გასარკვევად, გარშემო მყოფთ ყურადღებით აკვირდება.

"ვისზე ნაკლები ვარ? ვინც სხდომაზე არ დადის, ჩემზე მეტი ცოდნა აქვს, გამოცდილება თუ ავტორიტეტი?" - ამას უკვე ღიად, მიკროფონიდან შესჩივის ნინო ბურჯანაძეს "ჩაქვის ქარავანს ჩამორჩენილი" ერთ-ერთი დეპუტატი.

კი შესჩივის, მაგრამ სპიკერმა რა ქნას? მას მხოლოდ შეფარული საყვედურების გამოთქმა შეუძლია "რძლის" მისამართით, რომელიც გუშინდელ სხდომას თავადაც არ ესწრებოდა.

თავისი უძლურებით აღშფოთებული ბურჯანაძე ტარანზე მიდის: იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, იგი თავად არის დაინტერესებული სხდომის ჩაშლით, რათა ამით "ფრაქცი(ებ)ის ლიდერ(ებ)ის" გაკიცხვის საფუძველი ჰქონდეს. მაშინ, როდესაც კვორუმის შევსებას მხოლოდ ორი დეპუტატის შემატებაღა აკლია, ნინო ბურჯანაძე მოულოდნელად აცხადებს, რომ მორიგი რეგისტრაცია ერთი საათის შემდეგ გაიმართება. არადა, ნათელია, რომ ამ ერთი საათის განმავლობაში დეპუტატთა რაოდენობა სხდომათა დარბაზში თუ არ მოიკლებს, ყოველ შემთხვევაში, არც მოიმატებს.

პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას დეპუტატები აპროტესტებენ და საფუძვლიანადაც: რამდენიმე დეპუტატმა პირველის ნახევრისთვის სამსახურში გამოცხადება ინება, კვორუმი შედგა და კანონმდებელთა კოლონას მწვანე შუქი აენთო.

■ ■ ■

გუშინ დეპუტატებმა მეორე მოსმენით განიხილეს კანონპროექტი "სიტყვის თავისუფლების შესახებ", რომელიც კოლეგებს გიგა ბოკერიამ წარუდგინა. იგი პრესას და საერთოდ მასმედიას იცავს იმ შესაძლო შემოტევისგან, რომელიც მძლავრი ფინანსური ჯგუფების მხრიდან "მეოთხე ხელისუფლებაზე" შეიძლება განხორციელდეს. კანონპროექტით ნავარაუდევია, რომ მოდავე მხარეებს შორის მტყუან-მართლის გარკვევა, გაუთავებელი სასამართლო გარჩევების ნაცვლად, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით მოხდება.

"სიტყვის თავისუფლების შესახებ" კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სადავო საკითხების განხილვის დროს, მოპასუხე მხარედ გამოცხადდება არა ესა თუ ის კონკრეტული ჟურნალისტი, არამედ იმ სტრუქტურის ხელმძღვანელი, რომელმაც ის დაიქირავა და რომელთანაც მას კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

დეპუტატ ელენე თევდორაძის თქმით, აღნიშნულ კანონპროექტს შემოწმება ევროსაბჭოში აქვს გავლილი და ექსპერტების მხრიდან დადებითი დასკვნები აქვს მიღებული. "სიტყვის თავისუფლების შესახებ" კანონპროექტს მეორე მოსმენით პარლამენტში დღეს ეყრება კენჭი.

■ ■ ■

პარლამენტართა 1300-ლარიან ხელფასმა სხვა უწყებებში, მათ შორის, პროკურატურაშიც, როგორც ჩანს, ბევრს დაუკარგა მოსვენება. ყოველ შემთხვევაში, გუშინ, "პროკურატურის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებზე მსჯელობის დროს, რამდენჯერმე გაისმა მოსაზრება, პროკურორებს დეპუტატებზე ნაკლები ხელფასი არ უნდა ჰქონდეთ. თუმცა, სამართალდამცავების ასეთი "თავხედური განზრახვა" ხალხის რჩეულებმა ძირშივე აღკვეთეს.

"მალე პოლიციის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების განხილვაც გვიწევს და რა უნდა ვქნათ, პოლიციელებმაც პარლამენტართა ხელფასები რომ მოითხოვონ?" - რკინის არგუმენტს იშველიებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ბეჟან ბუცხრიკიძე.

ხელფასების საგრძნობ მატებას, შესაძლოა, ვერა, მაგრამ თავისი უწყების "სეკვესტრს" პროკურორთა "ამქარი" ნამდვილად მიაღწევს: "პროკურატურის შესახებ" ორგანულ კანონში ნავარაუდევი ცვლილებების მიხედვით, უქმდება უწყებრივი (სამხედრო, სატრანსპორტო, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში კანონიერების ზედამხედველობის) პროკურატურები. თუმცა, განსაკუთრებულ, ფორსმაჟორულ სიტუაციებში (საომარი მდგომარეობა, ეკოლოგიური კატასტროფა და სხვა) გენერალურ პროკურორს უნარჩუნდება სპეციალიზებული პროკურატურების შექმნის უფლება, რომლებიც მხოლოდ დროის გარკვეულ მონაკვეთში იარსებებენ.

კანონპროექტში (პარლამენტმა გუშინ ის პირველი მოსმენით განიხილა) საუბარია, აგრეთვე, პროკურატურის თანამშრომლების მატერიალური ნახალისების ფორმებზე და მათი სოციალური დაცვის გარანტიებზე. გენერალური პროკურორის მოადგილე კახა კობერიძე, კერძოდ, ცუდს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ პროკურატურის მუშაკების მიერ "ამოღებული" სახსრების თუნდაც მეოცედი უწყების თანამშრომელთა მატერიალურ ნახალისებასა და უწყების რეფორმირების საქმეს მოხმარდეს.

"პრემიერ-კონფერენცია" ბრიუსელში

ნიკა იმნაიშვილი
ბრიუსელიდან

გუშინ ევროპის დედაქალაქში (როგორც ბრიუსელს არაოფიციალურად უწოდებენ ევროპელი ბიუროკრატები - თვით ევროპელებისაგან და ძირძველი ბელგიელებისაგან განსხვავებით) გაიხსნა თავისთავად უნიკალური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა იმ ორგანიზაციისა და ქვეყნის წარმომადგენლებმა, ვინც მთელი ამ წლების განმავლობაში მართლაც ფასდაუდებელი დახმარება გაუწია საქართველოს.

მათი ინტერესის ამგვარი ფორმით (ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ეგიდით ჩატარებული კონფერენციით) გამოხატვა ახალი ხელისუფლების და პირადად ზურაბ ჟვანიას ძალიან სერიოზული წარმატებაა, რადგან ამით დადასტურდა, რომ საქართველოსადმი "ნდობის რესურსი" არათუ ამოიწურა, არამედ ჩვენი ქვეყანა კვლავინდებურად იპყრობს "ევროოპტიმისტთა" ყურადღებას.

რაც შეეხება "ევროპესიმისტებს", ისინი ევროპის სასახლეში არ გამოჩენილან. თუმცა, მათ არათუ საქართველოსი, არამედ საკუთრივ ევროპისაც არაფერი სწამთ.

გარდა ამისა, ისიც ნიშანდობლივია, რომ ზურაბ ჟვანიამ ბრიუსელში თავისი პროგრამა (მთავრობის თითქმის სრული შემადგენლობის თანდასწრებით) "დადო" სწორედ მაშინ, როდესაც ევროოპტიმისტები ღრმა ნოკაუტში აღმოჩნდნენ საერთოევროპულ არჩევნებში მათი ოდინდელი მოწინააღმდეგეების გამარჯვების შედეგად.

საოცარი პარადოქსია - ევროპის პარლამენტში უმრავლესობით სწორედ ის ძალები მოვიდნენ, რომლებიც თვით ევროპარლამენტის და ევროკავშირის არსებობის წინააღმდეგნი არიან. ამ ფონზე ზურაბ ჟვანიას ოპტიმისტურმა, ევროპული ცივილიზაციისაკენ ქართველი ხალხის გულწრფელი სწრაფვის ამსახველმა გამოსვლამ პესიმისტურ ატმოსფეროში სულ სხვაგვარად გაიჟღერა და ამას არ შეიძლება, ევროპელთა (ყოველ შემთხვევაში "სამშობლო-ევროპის" იდეის მიმდევართა) მოწონება არ დაემსახურებინა.

რაც შეეხება კონკრეტულ შედეგს, ევროკომისარმა კრის პატენმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ დაადასტურა, რომ ბრიუსელი უკვე წელს 125 მილიონ ევროს გამოყოფს საქართველოში მიმდინარე რეფორმების დასაფინანსებლად, რაკი, კრის პატენის თქმით, "საქართველოში ამჟამად კრიტიკული მომენტია". იგულისხმება, რომ ჩვენი ქვეყანა ეპოქათა და ცივილიზაციათა გზაგასაყართან დგას. ევროპელები ამას პირდაპირ გვეუბნებიან: ან შეძლებთ, დააფუძნოთ ევროპული (ანუ სტაბილური, დემოკრატიული და აყვავებული) სახელმწიფო, ან დარჩებით "გეოგრაფიულ ევროპაში", რომელთანაც ევროკავშირი ითანამშრომლებს მხოლოდ მეზობლობის პრინციპით. მეზობლებს კი, როგორც ცნობილია, არ ირჩევენ.

P. S. როგორც მოგვიანებით დონორთა შეხვედრაზე გადაწყდა, საქართველო 2004-2006 წლებში მილიარდ ამერიკულ დოლარს მიიღებს. თანხა კონკრეტულ პროგრამებს მოხმარდება და ამ მიმართულებით მონიტორინგიც მკაცრი იქნება.

ოსი სპეცრაზმელები ფქვილს და ჰენსიებს სროლით ხვდებიან

გუშინ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა ოსი ეროვნების მოქალაქეებს პენსიები დაურიგა. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრის დავით შერვაშიძის მცდელობას, ადგილობრივი მოსახლეობა სასუქითა და ფქვილით მოემარაგებინა, უშედეგო აღმოჩნდა. როგორც "24 საათს" ბატონმა შერვაშიძემ განუცხადა, ღრმის ხეობაში, სოფელ მეჯვრისხევის შესასვლელთან, სამინისტროს წარმომადგენლებს სპეცრაზმის წევრებმა ისეთი სროლა აუტეხეს, სამშვიდობოებიც კი უძლურნი აღმოჩნდნენ და ჰუმანიტარული აქციის ორგანიზატორებს უკან დახევა ურჩიეს.

ოსეთის სპეცრაზმმა "პრეზიდენტის საჩუქარს" სროლა აუტეხა.

ვერიკო თევზაძე

ოსები საქართველოს ხელისუფლების მიერ გაცემულ პენსიებს ქართულ სოფლებში მათთვის სპეციალურად გახსნილ პუნქტებში იღებდნენ. მიუხედავად ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მუქარისა და დაშინებისა, პენსია სიხარულით აიღო პატარა ლიახვის ხეობის ოსური სოფლების ქსუისის, ვანათის, ხელჩუასა და კიდევ რამდენიმე სოფლის ასამდე მცხოვრებმა. ღრონის ხეობის ტერიტორიაზე არსებულ, გორის რაიონის სოფელ ქვეშის საპენსიო პუნქტში ოსი ეროვნების ოცამდე მოქალაქემ მიიღო პენსია. ყველაზე თამამმა პენსიონერებმა თავიანთი დადებითი განწყობა საჯაროდ დააფიქსირეს, თუმცა ბევრმა, ადგილობრივი ხელისუფლების შიშით, ჟურნალისტებთან კომენტარს დუმილი ამჯობინა. ოსები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საპენსიო თანხას ყოველთვიურად მიიღებენ. სამწუხაროდ, ზოგიერთი პენსიონერი, დიდი სურვილის მიუხედავად, თანხის აღებას შიშით ვერ ბედავს.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით შერვაშიძემ ჩვენთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ სიტუაცია კონფლიქტის ზონაში, წინა კვირასთან შედარებით, მკვეთრად არის გამწვავებული: **"წინა კვირას ჩვენ იქ სასუქის დარიგება მოვახერხეთ. მაშინ მოსახლეობამ გვთხოვა, რომ ფქვილითაც დავხმარებოდით. გასროლა წინა კვირასაც იყო, მაგრამ ოსებმა მოახერხეს სიტუაციის განმუხტვა. ამჟამად "სპეცნაზელები" უკიდურესი აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. მათ კატეგორიულად გამოგვიცხადეს, თუ უკან არ გაბრუნდებით, გესვრითო. სამშვიდობოებიც კი ვერაფერს გახდნენ და გვირჩიეს, დათმობაზე წავსულიყავით."**

როგორც შერვაშიძემ "24 საათს" განუცხადა, სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ მათ ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის საშუალება არ მისცა: **"მოსახლეობის სახელით გაგვესაუბრნენ მამაკაცები. ესენი გადაცმული სამხედროები იყვნენ, რომლებიც აცხადებდნენ, რომ ჰუმანიტარული სასუქი და ფქვილი არ სჭირდებათ. არადა, როგორც უკვე გითხარით, ფქვილი მოსახლეობის თხოვნის შემდეგ შევიტანეთ".**

დავით შერვაშიძე და თანმხლები პირები დედაქალაქში წუხელ დაბრუნდნენ. მათ 10 ტონა ფქვილი და 20 ტონა სასუქი გორში დატოვეს. სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს მესვეურები ოს სეპარატისტებთან შეპუებას არ აპირებენ. დღეს დილიდან, ისინი კონფლიქტის ზონისკენ აიღებენ გეზს და ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოსახლეობას ჰუმანიტარული ტვირთი დაურიგონ.

"აღორძინების" ავტობუსები დემოკრატიის პროპაგანდისთვის

ჰირველი გვერდიდან

რამდენიმე დღით ადრე, როდესაც მიხეილ სააკაშვილი აჭარაში იმყოფებოდა, მან საკმაოდ ხმამაღლა განაცხადა საკუთარი პოლიტიკური სიმპათიების თაობაზე და მოსახლეობას საარჩევნო ბიულეტენებში მეხუთე ნომრით შესული საარჩევნო სუბიექტის ანუ ნაციონალური მოძრაობის შემოხაზვა ურჩია.

ბუნებრივია, ამაში განსაკუთრებული არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: აჭარაში ყოფნის დროს მიხეილ სააკაშვილი არ შეხვედრია საკუთარი საპარალმენტო გუნდის საკმაოდ თვალსაჩინო წარმომადგენლებს - დავით ბერძენიშვილს და თამაზ დიასამიძეს, ანუ იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს აჭარაში სხვა საარჩევნო სუბიექტის - "ბერძენიშვილი - რესპუბლიკელების" ლიდერები არიან (თუმცა არც ერთი მათგანი აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები მონაწილეობას არ იღებს. ისინი პარლამენტში ყოფნას ამჯობინებენ, ხოლო აჭარის დროებითი საპრეზიდენტო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აეკრძალათ იმ პირებს, რომლებიც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრები არიან).

ასე რომ, საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ჩანს, დღესაც მხოლოდ ამომრჩევლებს და საკუთარი გუნდის აქტივისტებს შეხვდება.

ამ შეხვედრების გრაფიკი საკმაოდ დაძაბულია და გუშინ იგი რამდენჯერმე შეიცვალა. წინასწარი ინფორმაციით, პრეზიდენტი აჭარაში მინიმუმ შაბათამდე დაჰყოფს და რეგიონის ყველა რაიონს მოინახულებს.

რაც შეეხება წინასაარჩევნო ფონს, ბათუმში საკმაოდ მშვიდი ატმოსფეროა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით აჭარის რაიონებზე, სადაც არჩევნებში მონაწილე პარტიების წარმომადგენლები საკმაოდ აქტიურობენ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ "რესბულიკელების" გარდა, ისინი აჭარელ "ნაციონალებს" კონკურენციას ვერ გაუწევენ და შვიდპროცენტიან ბარიერთან მიახლოებაც კი გაუჭირდებათ. ამის მიუხედავად, როგორც "რესპუბლიკელებს", ასევე ბლოკ "ძლიერი აჭარა -- ერთიანი საქართველოსთვის" და "ლეიბორისტებს" რამდენიმე ოლქში მაჟორიტარული ომის მოგების იმედი აქვთ.

თავისთავად, 2 ივნისის არჩევნები აჭარაში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის საკმაოდ სერიოზული გამოცდა იქნება, რადგან ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც აჭარის უმაღლეს საბჭოში წევრები კი არ ირჩეოდნენ, არამედ ინიშნებოდნენ, ახლა ნამდვილი არჩევნები გაიმართება თავისი ორთაბრძოლებითა და დაპირისპირებებით. აქვე დავძენთ, რომ აჭარაში ნამდვილად შეიმჩნევა პოლიტიკური სუბიექტების ლიდერთა გარკვეული დაბნეულობა. ასე მაგალითად, სპეციალურად ამ არჩევნებისათვის გამოცემულ უფასო გაზეთში - "საგზური ამომრჩევლისთვის" - საკმოდ ბევრ კურიოზს ვაწყდებით:

რედაქციის მიერ ჩატარებულ გამოკითხვებში (რესპონდენტები კი არჩევნებში მონაწილე პარტიათა აჭარელი ლიდერები იყვნენ), ისეთი უზუსტობებია დაშვებული, რომლებიც თუნდაც პარტიების რეგიონულ წარმომადგენლებს ნამდვილად არ "ეკადრებათ".

რედაქციის კითხვაზე - "დაასახელეთ თქვენი პარტიის სამი ლიდერი" - არასწორი პასუხი ისეთი ორგანიზაციის წარმომადგენელმა გასცა, როგორიც "ედპ-ტრადიციონალისტები-ქრისტიან დემოკრატიული პარტიის" მიერ შექმნილი წინასაარჩევნო ბლოკია. ამ პასუხს თუ ვენდობით, მაშინ ამ პარტიათა ლიდერები აკაკი ასათიანი, ბაჩუკი ქარდავა ან გუბაზ სანიკიძე კი არა, ილია ვერძაძე, ასლან ფაღავა და ზვიად ცისკარიძე ყოფილან.

იგივე სურათი იკვეთება "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" აქტივისთა პასუხებშიც. გოგი თოფაძისა და ზურაბ ტყემალაძის მაგივრად დასახელებულები არიან როსტომ დოლიძე, გურამ აბაშიძე და ირაკლი ჯაში...

მოკლედ, აშკარაა, რომ აჭარის პოლიტიკური სპექტრი არჩევნებში ჯერჯერობით ახალბედაა და მათი მხარდაჭერისა და, გნებავთ, მორალური გამხნევებისათვის პარტიების ცენტრალურმა ოფისებმა უნდა იზრუნონ. ამ მხრივ კი, მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობისა" და "რესპუბლიკელების" წარმომადგენლები აქტიურობენ. არსად ჩანს შალვა ნათელაშვილი, კაკო ასათიანი...

და მაინც, აჭარაში საკმაოდ მაღალია მოსახლეობის აქტივობა. "24 საათთან" საუბრისას თითქმის ყველა რიგითი მოქალაქე ცალსახად აცხადებს, რომ არჩევნებზე მისვლას აპირებს. თავად აჭარის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კი უკანასკნელი წინასაარჩევნო მზადებები მიმდინარეობს.

გუშინ, გვიან ღამით თბილისში გაემგზავრა კომისიის მდივანი გიზო მჭედლიძე, რომელმაც აჭარაში დედაქალაქიდან რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ნაბეჭდი სიები და საარჩევნო ბიულეტენები უნდა ჩაიტანოს.

"ჩვენ დავასარულეთ ძირითადი და დამატებითი უბნების შექმნის პროცესი. სულ გახსნილია 285 ძირითადი და 26 დამატებითი უბანი. ახლა სასწრაფოდ ჩამოსატანია ამომრჩეველთა ნაბეჭდი სიები, რომელიც უბნებზე უნდა გამოიკრას, რათა არჩევნებამდე დარჩენილ ბოლო ორ დღეში ამომრჩეველმა იმის გადამოწმება შეძლოს, არის თუ არა იგი ამ სიაში. 29 მარტის საპარლამენტო არჩევნების დროს სიები უბნებზე ერთი დღით ადრე გაიკრა, ჩვენ კი გვინდა, ეს კენჭისყრამდე ორი დღით ადრე მოხდეს. რაც შეეხება ბიულეტენებს, მას სტამბა "კეგლი" ბეჭდავს. სულ აჭარაში ჩამოვა 483 900 ბიულეტენი. 236 000 - 236 000 ბიულეტენი პროპორციული და მაჟორიტარული არჩევნებისთვის იქნება გამოყენებული", - განუცხადა თბილისში გამგზავრების წინ "24 საათს" კომისიის მდივანმა გიზო მჭედლიძემ.

ხელისუფლებამ პირობა შეასრულა

საქართველოს ხელისუფლებამ ენერგოსექტორის დონორების წინაშე აღებული ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულება შეასრულა. "ენერგოობიექტების ფინანსური პრობლემების მოგვარების მიზნით", საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი მიიღო. ცვლილებათა თანახმად, ამიერიდან მთელი ელექტროენერგეტიკული სექტორის მთავარი მოლარის - საბითუმო ბაზრის ერთიანი სატრანსფერო ანგარიში აღარ დაყადაღდება. შედეგად, ბაზრის სხვადასხვა წევრების მიმართ საგადასახადო დავის არსებობა ელექტროენერგეტიკულ სექტორში თანხების მოძრაობას ხელს აღარ შეუშლის.

იმ შემთხვევაში, თუ საბითუმო ბაზრის რომელიმე წევრის - ჰესის, გამანაწილებელი ან ელექტროგადამცემი კომპანიის მიმართ საგადასახადო დავა იარსებებს, ყადაღა კონკრეტული კომპანიის ანგარიშს დაედება, საბითუმო ბაზარი კი მუშაობას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს. შედეგად, ერთი ენერგეტიკული ობიექტის ფინანსური პრობლემები მთლიანად სექტორზე აღარ აისახება და სხვა ენერგოობიექტების თანამშრომლები "უპასუხისმგებლო კომპანიის" გამო უხელფასობით აღარ გაწვალდებიან. არ შეფერხდება ზამთრისათვის მზადების პროცესიც, რაც, ტრადიციულად, ენერგოგენერაციის ობიექტების მიმდინარე რემონტებს გულისხმობს.

მეორე მთავარი პრობლემა, რომელიც გუშინ პარლამენტმა ენერგოსექტორს გადაუწყვიტა, ენერგოობიექტების სარეაბილიტაციო გეგმის მოსამზადებლად დათქმული ვადის გახანგრძლივებაა. "გაკოტრების შესახებ" კანონში შეტანილი შესაბამისი ცვლილების თანახმად, ენერგოობიექტების რეაბილიტაციისთვის გეგმის შესამუშავებელი ვადა 3-6 თვიდან 9-18 თვემდე გაიზარდა. ანუ, ენერგოვალების მომსახურების საგანგებო სააგენტო, რომელიც ენერგოსექტორის დონორების ფინანსური დახმარებით შეიქმნა, შეძლებს დაწვრილებით შეისწავლოს სექტორში დაგროვილი ვალების წარმომავლობა და შემდეგ მათი გადახდის რეალური გეგმა შეიმუშაონ. **"იმისათვის, რომ ენერგოსექტორში დაგროვილი ვალების საფუძვლიანი შესწავლა მომხდარიყო და შემდეგ ენერგოობიექტების რეაბილიტაციის გეგმა შემუშავებულიყო, ექვსი თვე საკმარისი ნამდვილად არ იყო,"** - განუცხადა "24 საათს" ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ალეკო ხეთაგურმა.

24 საათი

"კა ელ ემი" ქართულ ავიაბაზარზე შემოვიდა

ნინო ნარჩემაშვილი

ავიაკომპანიამ "კა ელ ემ - ჰოლანდიის სამეფო ავიახაზები" გუშინ საქართველოში თავისი პირველი რეისი განახორციელა, რომლითაც თბილისში კომპანიის ხელმძღვანელობა, ჰოლანდიელი ჟურნალისტები და საქართველოს პირველი ლედის - სანდრა რულოვსის მშობლები ჩამოფრინდნენ.

მარიკა ამპრელაშვილის ფოტო

ორი კვირის განმავლობაში, ავიაკომპანიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, საქართველოს მოქალაქეებისთვის სამგზავრო ბილეთები ფასდაკლებით გაიყიდება.

ავიაკომპანია "კა ელ ემი" ამიერიდან რეგულარულად განახორციელებს კვირაში სამ რეისს თბილისი-ამსტერდამის მიმართულებით.

"კომპანიას საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის კარგი სამსახურის გაწევა სურს. როგორც ჰოლანდიაში ამბობენ - "უფასოდ მხოლოდ მზე ამოდის", ჩვენი კომპანიაც ორიენტირებული იქნება მოგებაზე - იხეირებს როგორც თავად კომპანია, ასევე ქართული ავიაბაზარი", - განაცხადა სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე "კა ელ ემის" აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა პოლ გრეგოროვიჩმა

"24 საათის" შეკითხვაზე - რითი შეუძლია "კა ელ ემს" კონკურენცია გაუწიოს ქართულ ავიაკომპანია "აირზენას", რომელიც ანალოგიური მიმართულებით კვირაში ორჯერ უკვე აწარმოებს ავიარეისებს? - პოლ გრეგოროვიჩმა უპასუხა, რომ **"შესაძლებელია ბილეთის საფასური უფრო მეტი იყოს, ვიდრე "აირზენას" აქვს, მაგრამ "კა ელ ემის" უპირატესობა ამსტერდამის ინფორმაციისთვის - ავიაკომპანიებმა "კა ელ ემ"-მა და "ეარ ფრანს"-მა გასულ წელს ოფიციალურად განაცხადეს გაერთიანებისა და წამყვანი ევროპული ავიაჯგუფის შექმნის შესახებ. შედეგად, გაერთიანებამ, მსოფლიო ავიაკომპანიებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ბრუნვის მიხედვით.**

"კა ელ ემის" მფლობელობაშია 540 თვითმფრინავი, რომელთაც ყოველწლიურად 70 მილიონი მგზავრი გადაჰყავს მსოფლიოს ექვსი კონტინენტის 330 ქალაქში. კომპანიაში დასაქმებულია 100 ათასზე მეტი ადამიანი, ხოლო მისი წარმომადგენლობები მსოფლიოს 171 ქალაქში ფუნქციონირებს. უახლოეს მომავალში ავიაკომპანია ცნობილი გაერთიანების "Sky Team"-ის წევრი გახდება, რაც ფრენების არეალის გაზრდის საშუალებას შექმნის და კომპანიის რეისები მსოფლიოს 700 ქალაქში განხორციელდება.

რაში დახარჯავს დედაქალაქი გაზრდილ ბიუჯეტს

თბილისის ბიუჯეტი მესამედით იზრდება

წელს თბილისის ბიუჯეტი უპრეცედენტო მასშტაბებს აღწევს. შარშანდელთან შედარებით დედაქალაქის ბიუჯეტი 70 მილიონი ლარით (30 პროცენტი) იზრდება. შესაბამისად, ზუსტად ამდენითვე მოიმტებს შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობა. ბიუჯეტის პროექტს კვირის ბოლომდე ქალაქის სამსახურები განიხილავენ, მომდევნო კვირაში კი მასზე საკრებულოში იმსჯელებენ.

ეთერ მამულაშვილი

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ დედაქალაქის თვითმმართველობის ორგანოში 2004 წლის ბიუჯეტის "გარჩევა" უხმაუროდ ვერ ჩაივლის. ამის თქმის საფუძველს გასულ თვეებში საკრებულოს ზოგიერთი დეპუტატის მიერ ჩატარებული "ხმაურიანი" პრესკონფერენცია გვაძლევს. თუმცა, ქალაქის ვიცე-პრემიერი თემურ ქურხული ვარაუდობს, რომ საკრებულო უმნიშვნელო ცვლილებებით ახალ ბიუჯეტს თვის ბოლომდე აუცილებლად დაამტკიცებს. ვიცე-პრემიერი იმასაც ირწმუნება, რომ წელს "არნახულად" გაზრდილ ბიუჯეტს თითოეული თბილისელი "საკუთარ თავზე იგრძნობს".

შემოსავლები

"ეს არის აბსოლუტურად რეალური და შესრულებადი ბიუჯეტი", - ამბობს ქურხული. ოპტიმიზმის საფუძველს მას გასული ხუთი თვის მონაცემები აძლევს. შეგახსენებთ, რომ უკანასნელი თვეების განმავლობაში ქალაქის თითქმის ხუთივე რაიონის საგადასახადო სამსახურმა გეგმა 100 პროცენტით, ზოგიერთმა კი გადაჭარბებით შეასრულა. ვიცე-პრემიერი დარწმუნებულია, რომ შემოსავლების ზრდის ტენდენცია დარჩენილი ექვსი თვეც გაგრძელდება და წლის ბოლომდე ქალაქის ხაზინაში 310 მილიონზე მეტი ლარი მობილიზდება. აქედან საგადასახადო შემოსავლებზე 299 მილიონი მოდის, რაც გასულ წელთან შედარებით 105 მილიონით მეტია. ადმინისტრირების გამკაცრებისა და შესაბამის კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების ხარჯზე წელს მარტო საშემოსავლო გადასახადიდან 142 მილიონ ლარს ელოდებიან, რაც შარშანდელთან შედარებით 59 მილიონით მეტია. წელს თითქმის 103 მილიონი ლარის აკრეფა იგეგმება მოგების გადასახადიდან. გასულ წელს ამ გადასახადიდან ბიუჯეტში მხოლოდ 47 მილიონი შევიდა. დახლოებით იმდენივეს (21 მილიონის) მობილიზება არის ნავარაუდევი წელს ქონების გადასახადიდან. თითქმის 12 მილიონს ელოდებიან იმ გადასახადიდან, რასაც ჩვენ გარემოს დაბინძურებისთვის ვიხდით და რომელიც, სავარაუდოდ, მომავალი წლიდან გაუქმდება. არასაგადასახადო შემოსავლებიდან, ბიუჯეტის პროექტის თანახმად, წლის ბოლომდე დაახლოებით 8 მილიონი უნდა მოგროვდეს, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის ოთხჯერ ნაკლებია. 2003 წლის გეგმა 47 მილიონზე მეტი იყო, თუმცა შესრულებამ 28 მილიონი ძლივს შეადგინა. წელს არასაგადასახადო შემოსავლების ასე მნიშვნელოვნად კლებას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: გარე ვაჭრობის აკრძალვა, საპრივატიზაციო ობიექტების კლება, ცენტრალური ბიუჯეტიდან - ტრანსფერისა და კომერციული ბანკებიდან სესხების არარსებობა. სხვათაშორის, პრივატიზაციიდან მისაღები თანხების ოდენობა წელს ბიუჯეტში 3 მილიონი ლარია. გასაყიდად გამზადებული მუნიციპალური ქონების საბოლოო ნუსხას, როგორც ვიცე-პრემიერი გვპირდება, უახლოეს დღეებში ვიხილავთ.

ხარჯები

რაც შეეხება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს: წელს ქალაქის ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების კეთილდეობისთვის 313 მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს. ბიუჯეტის პროექტის თანახმად, წელს ქალაქის ხელისუფლება მთავარ პრიორიტეტად განათლებას ასახელებს, რომლისთვისაც 55 მილიონი არის გამოყოფილი, რაც, თითქმის, 9 მილიონით მეტია გასულ წელთან შედარებით. თბილისელების ჯანმრთელობის დაცავად და სოციალური უზრუნველყოფისთვის წელს 30 მილიონი (შარშანდელზე 4 მილიონით მეტი) არის გათვალისწინებული, აქედან 17 მილიონი ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამებზე მოდის. დამატებით 10 მილიონის დახარჯვას აპირებს წელს ქალაქის ხელისუფლება სხვადასხვა სოციალური ღონისძიებებისთვის; მათ შორის: ხელშეკრულებით მომუშავე "თბილტრანსის" მძღოლთა ოჯახების ბინების კომპენსაციისთვის - 735 ათასი ლარი, კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში მონაწილე მოქალაქეების ბინების კომპენსაციაზე - 700 ათასი, ომის ვეტერანთა შეღავათები ტელეფონის სააბონენტო გადასახადზე 530 ათასი, პენსიონერთა პენსიაზე 3 ლარი დანამატი - 6.5 მილიონი, მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობისათვის - 2.5 მილიონი და სხვა.

ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში წელს ახალი მუნიციპალური კლინიკის გახსნაც იგეგმება, რომელიც სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს უფასოდ მოემსახურება. უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარების პროგრამა წელსაც გაგრძელდება. თითოეულ თბილისელს სამჯერ უფასოდ გამოძახების უფლება ეძლევა, რისთვისაც 2004 წლის ბიუჯეტში დაახლებით 2.5 მილიონი ლარია გათვალისწინებული.

კულტურაზე წელს 12 მილიონი უნდა დაიხარჯოს, სპორტზე - 6 მილიონი, აქედან ზუსტად მილიონი ლარი "დინამოს" სტადიონის მოვლა-შენახვისთვის არის გამოყოფილი, სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის კი მხოლოდ 400 ათასი.

წელს ბიუჯეტიდან "თბილწყალკანალი" შარშანდელზე 6 მილიონით მეტს - 21 მილიონ ლარს მიიღებს, აქედან თითქმის 4 მილიონი (გასულ წელზე ორჯერ მეტი) არის სუბსიდია მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის შეღავათებისთვის.

ქალაქის კეთილმოწყობაზე წელს 42 მილიონი ლარის დახარჯვა იგეგმება. დედაქალაქში კაპიტალური მშენებლობებისთვის კი 12 მილიონი დაიხარჯება, რაც, პირველ რიგში, მიწისძვრით დაზარალებული შენობების რეაბილიტაციას მოხმარდება. მოსახლეობის ამ კატეგორიისთვის წელს ფულადი ან სხვა სახის დახმარება ბიუჯეტით არ არის გათვალისწინებული.

27 მილიონი უნდა დაიხარჯოს წელს გზის საფარის აღდგენით სამუშაოებზე, აქედან 13.5 - ქალაქის ბიუჯეტიდან, დანარჩენის ათვისება კი მსოფლიო ბანკიდან და კუვეიტის ფონდიდან მოხდება. სხვათაშორის, ეს სამუშაოები ქალაქში უკვე დაწყებულია. მერიის სარეზერვო ფონდი, რომელიც გასულ წლებში ხშირად კორუფციასთან ასოცირდებოდა, წელსაც იარსებებს, სადაც წლის ბოლომდე 1.5 მილიონი ლარი მოიყრის თავს.

ქალაქის ვიცე-პრემიერის თქმით, მთავარი საჩუქარი თბილისელებს წლის ბოლოს ელოდებათ, როცა ქალაქში თანამედროვე დონის საპატრულო სამსახური შეიქმნება. თემურ ქურხული ამბობს, რომ ამ სამსახურის მთავარი კომპეტენცია არა დანაშაულის გამოვლენა, არამედ ქალაქში წესრიგის დაცვა იქნება. **"მერწმუნეთ, თითოეული თბილისელი ამოისუნთქავს, ღამით მშვიდად ძილი და სეირნობა გარანტირებული იქნება",** - ირწმუნება ქალაქის ვიცე-პრემიერი. ამ სიამოვნებისთვის კი მთავრობას წელს 17 მილიონი ლარის გაღება მოუწევს.

რკინიგზა არ გაიყიდება

საქართველოს რკინიგზას დსთ-ს ქვეყნების რკინიგზების 37.5 მილიონი შვეიცარული ფრანკი მართებს

დსთ-ს ქვეყნების რკინიგზების ვალები, აღუწერელი ქონება, მოშლილი მმართველობა - ასეთი იყო ის მემკვიდრეობა, რომელიც კაკო ჩხაიძის დროინდელი რკინიგზისგან ჯერ ლევან ვარშალომიძეს, ახლა კი დავით ონოფრიშვილს ერგო მემკვიდრეობად.

საქართველოს რკინიგზის შეფი დავით ონოფრიშვილი 9-11 ივნისს ქალაქ ტაშკენტში გამართულ დსთ-ს ქვეყნების რკინიგზების თანამშრომლობის ორგანიზაციის კომიტეტის სხდომას ესწრებოდა.

"სხვა რკინიგზების მიმართ დავალიანება იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ ჩემთვისაც ახლახან გახდა ცნობილი. შპს "საქართველოს რკინიგზას" დსთ-ს ქვეყნების (მათ შორის - აზერბაიჯანის, რუსეთის, უზბეკეთის, უკრაინის) რკინიგზების 37.5 მილიონი შვეიცარული ფრანკი მართებს, რის გამო აღნიშნული ქვეყნები საქართველოს პრეტენზიებს უყენებენ", - განაცხადა ტაშკენტიდან ჩამოსულმა დავით ონოფრიშვილმა და აქვე აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა ასეთი დონის შეხვედრებში მონაწილეობას არ იღებდა, რის გამოც საქართველოს რკინიგზა აღნიშნული ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პროგრამების მიღმა რჩებოდა.

"ტაშკენტში ვიზიტის დროს გამართული მოლაპარაკებების შემდეგ აზერბაიჯანის მიმართ არსებული დავალიანება - 20-მილიონიანი ვალი - ნახევარ მილიონ შვეიცარულ ფრანკამდე შემცირდა", - განაცხადა რკინიგზის შეფმა..

გარდა ამისა, ტაშკენტში შეთანხმება შედგა ყაზახეთის და უზბეკეთის რკინიგზების ხელმძღვანელებთან, რაც ნიშნავს, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს გავლით უზბეკეთი - ბამბის ტრანზიტს, ხოლო ყაზახეთი ხორბლის ტრანზიტს განახორციელებს.

უახლოეს მომავალში "საქართველოს რკინიგზაში" შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ საკითხებს შეისწავლის.

გუშინ დავით ონოფრიშვილმა კომენტარი გააკეთა "საქართველოს რკინიგზის" შესაძლო პრივატიზაციის შესახებაც და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა რკინიგზის გაყიდვას არ გეგმავს: "მით უმეტეს, რომ რკინიგზის პრივატიზაცია კონსტიტუციით იკრძალება, ვინაიდან სტრატეგიული ობიექტების სიაში შედის".

მისი თქმით, პრივატიზაციამდე, პირველ რიგში, საჭიროა ქონების აღწერა. დღეს არსებული მონაცემებით, რკინიგზის ქონება 300 მილიონ ლარს შეადგენს. **"ეს თანხა არარეალურია, რკინიგზის ქონება რამდენჯერმე უფრო მეტია, ამიტომ საჭიროა საწაროში აუდიტის ჩატარება" ,**- აღნიშნა ონოფრიშვილმა.

24 საათი

ენერგეტიკაში ისევ კრიზისია

საქართველოს ენერგოსისტემას ისევ დეფიციტურ რეჟიმში უხდება მუშაობა. 16 ივნისს, გვიან ღამით, ავარიულად გამოირთო გადამცემი ხაზი "სალხინო", რომლითაც "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" რუსეთიდან 60 მეგავატი სიმძლავრის ელექტოენერგია შემოჰქონდა. ამასთან, "ენგურჰესზე" აფხაზების მიერ აბესალომ ჯაბუას გატაცებამ სარემონტო სამუშაოები შეაფერხა, რის გამოც ახლა სადგურში მხოლოდ ორი აგრეგატი მუშაობს, რაც ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის.

ენერგოსისტემას გამართული მუშაობისთვის 200 მეგავატი სიმძლავრე აკლია. დეფიციტური რეჟიმი, სავარაუდოდ, თვის ბოლომდე, "ენგურჰესზე" აღდგენითი სამუშაოების დასრულებამდე გასტანს.

დენის დეფიციტმა, ბუნებრივია, გაზზე მოთხოვნილების ზრდა განაპირობა. შედეგად, დიდი დავალიანების გამო, "თბილგაზი" ამჟამად გაზს არ აწვდის თბილისის ორ რაიონს - ისანი-სამგორსა და ნაძალადევს. ეს შეზღუდვა "თბილგაზს" საშუალებას აძლევს, ძალიან არ ინერვიულოს იმაზე, რომ "გაზექსპორტი" უკვე თვენახევარია, მას გაზის საჭირო ოდენობის მხოლოდ ნახევარს აწვდის. "გაზექსპორტში" აცხადებენ, რომ დავალიანების გადახდისთანავე "თბილგაზის" გაზომარაგება "სრული რეჟიმით აღდგება". თუმცა, მანამდე, "გაზპრომის" მიმართ არსებული დავალიანება იქნება დასაფარი.

პრობლემებია ცხინვალის რეგიონის გაზომარაგებაშიც, პრობლემების სათავე კი უკვე ჩვეული - დავალიანების თემა. "იუგოოსეტგაზს" თავისმა მთავარმა მომმარაგებელმა "იტერამ" გაზის მიწოდება 126 ათასი ლარის ოდენობის დავალიანების დაგროვების გამო შეუწყვიტა. **"ჩვენი გადაწყვეტილება გაზის მიწოდების შეწყვეტის თაობაზე პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე არ არის ნაკარნახევი. უბრალოდ, "იტერას" თავისი ფინანსური ვალდებულებებიც შესასრულებელი აქვს. "იუგოოსეტგაზს" კი აპრილის თვიდან მოხმარებული გაზის საფასური არ გადაუხდია. თანხას დაფარავენ თუ არა, გაზომარაგება ისევ აღდგება,"** - განუცხადა "24 საათს" "იტერას" წარმომადგენელმა საქართველოში თამაზ პატარიძემ.

"იუგოოსეტგაზი" გაზს საქართველოს ტერიტორიის გავლით, "იტერა-ჯორჯიასგან" იღებს.

24 საათი

ლარი პოზიციებს იმყარებს

"ლარმა სამცხე-ჯავახეთშიც საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი," - ასეთია ეროვნული ბანკის მიერ სამცხე-ჯავახეთში ფულის მიმოქცევის საკითხების შესწავლის შემდეგ გაკეთებული დასკვნა. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გვპირდება, რომ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ლარი ერთადერთი საგადამხდელო საშუალება გახდეს.

სოფიკო ოხანაშვილი

ეროვნული ბანკის მიერ ჩატარებული ინსპექტირებისას განსაკუთრებული აქცენტი ახალქალაქის რაიონზე გაკეთდა, სადაც წინა წლებში ეროვნული ვალუტის მიმოქცევის არეალი საგრძნობლად შეზღუდული იყო და ძირითად საგადამხდელო საშუალებად რუსული რუბლი ითვლებოდა. ეროვნული ბანკის მიერ ფულის მიმოქცევის შესწავლამ აჩვენა, რომ რეგიონში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. წინა წლებისგან განსხვავებით, ახალქალაქის რაიონის ცენტრალურ მარკეტებსა და ბაზრობებზე საქონელი ლარებში იყიდება.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე რეგიონში ლარის არეალის გაფართოების მთავარ მიზეზად იმას ასახელებს, რომ გასული წლის ნოემბრიდან სამცხე-ჯავახეთში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის მოსამსახურეები ანაზღაურებას ლარებში იღებენ. ფულის მიმოქცევის საკითხების შესწავლის თანახმად, ბაზარზე ლარის მომძლავრებას ხელი შეუწყო ხელფასების, პენსიებისა და სტიპენდიების დროულად გაცემამაც. ახალქალაქის ბაზრობის მოვაჭრეების თქმით, უკვე დიდი ხანია ყიდვა-გაყიდვა ლარით ხორციელდება, თუმცა ისიც ფაქტია, რომ, ჯერჯერობით, სომეხი ეროვნების მოქალაქეებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონში აშშ დოლარი და რუსული რუბლიც ბრუნავს. სპეციალისტების განმარტებით, რეგიონში ბაზარზე რუბლი, ძირითადად, სომხეთიდან შემოდის, რაც იმითაა განპირობებული, რომ ამ სახელმწიფოში მდებარე რუსეთის ბაზებზე ხელფასებს ისევ რუსულ რუბლში გასცემენ.

მანაგაძის განცხადებით, ამ რეგიონის ბაზარზე ეროვნული ბანკი უფრო აქტიურად იმუშავებს ლარის მიმოქცევის გაუმჯობესების თვალსაზრისით და ყველაფერს გააკეთებს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გასატარებლად, რათა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ლარი ერთადერთი საგადამხდელო საშუალება გახდეს.

შეგახსენებთ, რომ სამხედრო ბაზებისთვის თანხის საქართველოს ეროვნულ ვალუტაში გადახდასთან დაკავშირებით შეთანხმება საქართველოს ეროვნულ ბანკსა და რუსეთის ცენტრალურ ბანკს შორის შარშან გაფორმდა. მანაგაძის შეფასებით, ამ გადაწყვეტილებამ ხელი შეუწყო ლარის ბაზარზე დამკვიდრებას და ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვიც დამატებით 11,63 მლნ აშშ დოლარითაც შეავსო. სამხედროების ხელფასებისთვის განკუთვნილი რუსული რუბლი ლარებში კონვერტაციის შემდეგ სამხედრო მოსამსახურეებს ურიგდებათ, ხოლო რუსული რუბლი კი გადაირიცხება რუსეთის ცენტრალურ ბანკში გახსნილ საქართველოს ეროვნული ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე და კონვერტირდება აშშ დოლარში.

P.S. ინსპექტირებისას ეროვნული ბანკის წარმომადგენლობამ მოსახლეობას ყალბი ფულადი ნიშნების ამოცნობისთვის საჭირო განმარტებითი მასალებიც დაურიგა.

ერაყიდან ნავთობის ექსპორტი გაურკვეველი ვადით შეჩერდა

ერაყის სამხრეთით მდებარე ერთ-ერთ უდიდეს ნავთობსადენზე მომხდარი აფეთქების გამო ერაყიდან ნავთობის ექსპორტი გაურკვეველი ვადით შეჩერდა. სპეციალისტთა შეფასებით, დივერსიამ საერთაშორისო ბაზარს დღე-ღამეში 1.6 მილიონი ბარელი ნავთობი დააკლო. როგორც ერაყის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, ნავთობმომპოვებელ სექტორში მომხდარი საბოტაჟის ფაქტები ქვეყანას ბოლო შვიდი თვის მანძილზე 200 მილიონი დოლარი დაუჯდა.

დიანა ჩაჩუა

მიუხედავად იმისა, რომ ერაყის ახალმა ხელისუფლებამ ნავთობის სექტორის ობიექტების დასაცავად 14-ათასიანი კორპუსი შექმნა, ერაყის ნავთობის ექსპორტის მოცულობამ ჯერაც ვერ მიაღწია ომამდელ დონეს. მეტიც, 15 ივნისს ერაყის სამხრეთით მდებარე უდიდეს ნავთობსადენზე დივერსია განხორციელდა, რამაც ქვეყნიდან ნავთობის ექსპორტის მთლიანად შეჩერება გამოიწვია. ერაყის დროებითი მთავრობის განცხადებით, ზარალმა 200 მილიონი დოლარი შეადგინა.

ერაყის ნავთობის მინისტრის ტამირ გადბანის განცხადებით, ბოლო დღეებში მომხდარი სამი აფეთქებით სწორედ ის მილია დაზიანებული, რომლითაც ნავთობი თავისი მოპოვების ადგილიდან - ქვეყნის სამხრეთიდან, ბასრას ტერმინალს მიეწოდებოდა. შესაბამისად, ბასრას ტერმინალისთვის ნავთობის მიწოდება თითქმის შეჩერებულია.

მენავთობეები შეეცადნენ რეზერვის სახით ძველი ნავთობსადენი გამოეყენებინათ, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს მასში საჭირო წნევის შენარჩუნება. ერაყელების შეფასებით, ნავთობსადენის აღდგენას 10 დღე დასჭირდება, ხოლო ნავთობსადენის შეფერხებით გამოწვეული ზარალი დღეში 60 მილიონი დოლარი იქნება.

სავაჭრო ბირჟის მონაწილეები შეშფოთებულნი არიან ერაყიდან ნავთობის მოწოდების უსაფრთხოების დაუცველობის გამო. ამჟამად ერაყში ნავთობის მოპოვების საერთო მოცულობა დღეში 2,1 მილიონ ბარელს აღწევს, ხოლო ნავთობსადენზე აღნიშნული დარტყმის შემდეგ ბასრადან ექსპორტის მოცულობა ერთი მილიონი ბარელამდე შემცირდა.

სპეციალისტების აზრით, ერაყის ნავთობის სექტორი შეტევებისა და საბოტაჟებისთვის იმიტომ არის ყველაზე მიმზიდველი, რომ ნავთობის საზღვარგარეთ გასატანად ქვეყანას მხოლოდ ორი მარშრუტი გააჩნია: სამხრეთით - ბასრას და ხორ ალ ამაიას ტერმინალების და ჩრდილოეთით - თურქული პორტის - ჯეიჰანის გავლით.

აფეთქებების შემდეგ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასმა სამი პროცენტით მოიმატა, თუმცა შემდეგ ოდნავ დაიკლო. ამჟამად ერთი ბარელი ბრენტის სახეობის ნავთობის ფასი 35,02 დოლარს შეადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ზემოთ ნახსენები მოვლენების ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს ერაყის ქალაქ კირკუკში ადგილობრივი ჩინოვნიკის მკვლელობა, რომელიც ერაყის ჩრდილოეთით ნავთობის ინდუსტრიის უზრუნველყოფაზე აგებდა პასუხს.

რუსეთში შეიარაღებული ძალების რეფორმა დაიწყო

რევაზ ბახტაძე

რუსეთში თავდაცვის სისტემის რეფორმა დაიწყო. კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, გენერალურ შტაბს უფლებები ეზღუდება და, სანაცვლოდ, თავდაცვის სამინისტრო ძლიერდება. თუმცა, რეფორმების რეალურობაში ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ.

გასულ კვირას სახელმწიფო დუმამ საბოლოოდ დაამტკიცა კრემლის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები თავდაცვის, სამხედრო სამსახურისა და სამხედრო პერსონალის შესახებ კანონპროექტში. ამ ცვლილებებს პარლამენტართა დიდმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი და მათში არანაირი წინააღმდეგობა ან დებატები არ გამოუწვევია. ახლა კანონი ფედერალურმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს, რის შემდეგაც პრეზიდენტი პუტინი მოაწერს ხელს და იგი ძალაში შევა.

1990-იან წლებში ფედერალური საბჭო, რომელიც გუბერნატორებისა და ყველა რეგიონული საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელისაგან შედგებოდა, აღმასრულებელი ხელისუფლების უზარმაზარ ძალაუფლებას, გარკვეულწილად, აბალანსებდა. 2000 წელს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პუტინმა კონსტიტუცია დაუყოვნებლივ შეცვალა და ზედა პალატა, ფაქტობრივად, დაიქვემდებარა. ახლანდელ ფედერალურ საბჭოში დანიშნული წევრებიც არიან, რომლებიც ნომინალურად წარმოადგენენ რეგიონებს და, რეალურად, კრემლის ნება-სურვილს ემორჩილებიან.

სწორედ ამიტომ მოსალოდნელია, რომ კანონს არც ზედა პალატაში შეექმნება რაიმე პრობლემა. ახალი კანონის თანახმად, სამხედრო უწყების სტრუქტურა ძირეულად იცვლება. დღემდე, რუსეთს ძალიან ძლიერი, პრუსიული ყაიდის გენერალური შტაბი ჰყავდა, რომელიც შეიარაღებული ძალების ყველა შტოს აკონტროლებდა და პოლიტიკური ჩარევისაგან მეტ-ნაკლებად თავისუფალი იყო.

ახლა, სამხედრო დაზვერვა ანუ "გრუ", დაახლოებით, იმავე სიდიდის სტრუქტურაა, როგორც ყოფილი "კაგებე" და ოპერაციებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აწარმოებს. "გრუც" გენერალური შტაბის განუყოფელი ნაწილია. თავდაცვის სფეროში შესყიდვების, დაგეგმვის, საფრთხეების შეფასების დროს და სხვა ძალზე მნიშვნელოვან საკითხებში სწორედ გენერალური შტაბი ფლობს იმ ინფორმაციას, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. "გრუს" ყოფილი მაღალჩინოსნები ამბობენ, რომ საბჭოთა პერიოდში გენერალური შტაბი "გრუს" ინფორმაციას განზრახ იყენებდა, რათა კრემლი შეცდომაში შეეყვანა და ამ უკანასკნელს თავდაცვის ხარჯები მუდმივად გაეზარდა. როგორც რუსი ექსპერტები შენიშნავენ, საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, რომ ამგვარი პრაქტიკა ახლაც გრძელდება.

ახალი კანონი სერგეი ივანოვს აძლიერებს

კანონის ახალ ვერსიაში გენერალური შტაბის როლის შესახებ საერთოდ არაფერი არის ნათქვამი. სამაგიეროდ, იქ ნათლად არის აღნიშნული, რომ შეიარაღებულ ძალებზე სრულ კონტროლს უკვე თავდაცვის სამინისტრო განახორციელებს. ამიერიდან, გენერალური შტაბი სამხედროების "ოპერატიული მართვის ორგანო" აღარ იქნება.

რუსი მიმომხილველების უმრავლესობამ აღნიშნული ცვლილებები თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის გენერალური შტაბის უფროს ანატოლი კვაშნინზე გამარჯვებად აღიქვა. ეს ცვლილებები, აგრეთვე, წარსულ ტრადიციაზე საბოლოოდ უარის თქმად შეაფასეს, რომლის შემდეგ, რუსეთის შეიარაღებულ ძალებში დასავლური ყაიდის რეფორმა გატარდება. გასულ თვეს, პუტინმა შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლის უზრუნველყოფა საჯაროდ მოითხოვა. ეს კი განუხორციელებელ მიზანს წარმოადგენს მანამ, სანამ გენერალური შტაბი ყველაფერს გააკონტროლებს.

რუსი ანალიტიკოსების ერთი ნაწილი, მათ შორის, ცნობილი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენჰაუერი, ეჭვობენ, რომ კანონში ცვლილებების შეტანა რეალურ ცვლილებებს მოიტანს. მათი თქმით, მანამ, სანამ გენერალურ შტაბს ფუნქციებს შეუკვეცენ, მისი ალტერნატიული სტრუქტურა უნდა შეიქმნას. ამგვარი სტრუქტურა კი თავდაცვის სამინისტროს არ გააჩნია. სამინისტროს სტრუქტურა, ფაქტობრივად, გენერალური შტაბისას იმეორებს. ამას გარდა, თავად სერგეი ივანოვის პიროვნება სამხედროებში დიდი მოწონებით არ სარგებლობს. ივანოვი საგარეო დაზვერვის ყოფილი ოფიცერია. სამხედროებსა და დაზვერვას შორის არსებული დაძაბულობა კი საყოველთაოდ არის ცნობილი. ივანოვმა, შესაძლოა, გენერლები ვერ დაიმორჩილოს.

ესეც არ იყოს, რუსეთში კანონი ხშირად ბევრს არაფერს ნიშნავს. ბიუროკრატია კანონებს ისეთ ინტერპრეტაციას უკეთებს, როგორც მას ხელს აძლევს და შესაბამის ბრძანებულებებს აქვეყნებს. პარლამენტის საზედამხედველო ფუნქცია კი მკვეთრად შეზღუდულია.

ჯერჯერობით, დანამდვილებით იმის თქმა შეუძლებელია, ახალი კანონი ძირეული ცვლილებების დასაწყისს მოასწავებს თუ ყველაფერი ისევ ძველებურად დარჩება. აქამდე ნეგატიური მაგალითები ჭარბობს. შარშან პუტინმა სასაზღვრო დაცვის სამსახური გააუქმა, რაც არსებულ კანონს ეწინააღმდეგებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ, ხელისუფლებას პრეზიდენტის ინიციატივით მიღებული კანონის შეცვლა მოუწია.

თავად რუსულ არმიაში უარყოფითი ტენდენციები შეინიშნება და მას რეფორმა ნამდვილად სჭირდება. 2004 წლის პირველ ნახევარში, უბედური შემთხვევის და დანაშაულის გამო, 180 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. წელს, მარტში და აპრილში გარდაცვლილი ჯარისკაცების 50-მა პროცენტმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ეს ყველაფერი არმიის არაეფექტურობაზე მეტყველებს.

ინტერნეტ-გამოცემა "გრანი.რუს" თანახმად, მთავარმა პროკურორმა ალექსანდრ სავენკოვმა თავდაცვის მინისტრს სერგეი ივანოვს მოახსენა, რომ დანაშაულის რაოდენობა შეიარაღებულ ძალებში განუხრელად იზრდება. მისი თქმით, 2004 წლის პირველ კვარტალში რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქში დანაშაულების რაოდენობა 43.8 პროცენტით გაიზარდა. მებრძოლების ჩეჩნეთში გაწვევა, ძირითადად, აქედან ხდება.

ამგვარი პრობლემების არსებობა რუსეთის ყველაზე ბრძოლისუნარიან დანაყოფებშიც კი ცხადყოფს, როგორ შორს არის სამხედრო ძალები რეფორმისაგან. ყველაზე დიდ პრობლემას ძალოვან მინისტრებსა და ბიუროკრატიას შორის დაპირისპირება და პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაქსაქსულობა წარმოადგენს, რომლებსაც შეიარაღებული ძალების რეფორმის ერთიანი ხედვა არ აქვთ. ამიტომ, იქმნება უამრავი გეგმა და კანონი, რომელთაც საბოლოოდ შედეგი არ მოაქვთ.

"ჯეიმსთაუნის ფონდის" ექსპერტის როჯერ მაკდერმოტის აზრით, რუსეთის არმიას პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებაც ვერ უშველის, რადგან "რუსული არმიის ტვინი" გაყინულია. მათ დასავლეთთან ტოტალური ომის საშიშროება ელანდებათ, რაც აბსოლუტურად არარეალურია და ისინი ჩეჩნეთში ტაქტიკის შეცვლას არ აპირებენ. სამხედრო დანაშაულების მაღალი მაჩვენებელი, დეზერტირობა, თვითმკვლელობები, "დედოვშჩინა" და დაქვეითებული საბრძოლო სულისკვეთება გადაწყვეტილების მიმღებთა უუნარობაზე მეტყველებს, რომლებიც მათ შინაშე არსებულ საფრთხეებს სათანადოდ ვერ აფასებენ. სწორედ ამის გაცნობიერების საფუძველზე უნდა მოხდეს კონსენსუსის მიღწევა და თავდაცვის სისტემის რეფორმირების ერთიანი პროგრამის შემუშავება.

ედუარდ კოკოითს შანსს უტოვებენ

სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების შესაძლებლობას მოსკოვში სერიოზულად განიხილავენ

ასეთი პროვოკაციული სათაურით დაიბეჭდა გუშინ "ნეზავისიმაია გაზეტაში" ელენა ბაიკოვასა და ანატოლი გორდიენკოს სტატია. თავად სტატიის შინაარსი ნაკლებად აგრესიულია, მაგრამ აღშფოთების საფუძველს მაინც იძლევა. ბოლო დროს, რუსულ მედიაში საქართველოს შესახებ გესლიანი ინფორმაციის გავრცელება, თითქოს, შესუსტდა. თუმცა, როგორც ჩანს, რუს ჟურნალისტებს დროდადრო ცდუნება მაინც სძლევთ ხოლმე. რასაკვირველია, რუსეთს დღესაც იგივე სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებს და ნათელი ხდება, რომ რუსული პროპაგანდის შენელება მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. გთავაზობთ აღნიშნული სტატიის თარგმანს. იმის განსჯა, თუ რამდენად კეთილგანწყობილნი არიან რუსი ჟურნალისტები საქართველოს მიმართ, მკითხველისთვის მიგვინდია.

მოსკოვი და თბილისი ამ დღეებში უმნიშვნელოვანეს საკითხს წყვეტენ: აქვს თუ არა რუსეთს სამხრეთ ოსეთის ანექსიის უფლება? ეს არაღიარებული რესპუბლიკა, რომელიც დე-იურედ საქართველოს ნაწილია, მთელი გასული კვირა აქტიურ მცდელობებს არ აკლებდა, რათა მოსკოვისაგან რუსეთის ფედერაციაში გაწევრიანების უფლების აღიარება მიეღო. სულ ცოტა ხნის წინ, მოვლენების ამგვარი შემობრუნება თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობებში აბსოლუტურად წარმოუდგენელი იყო. იმას, რომ უკანასკნელ დღეებში საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობებში რაღაც შეიცვალა, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ელჩის კონსტანტინე კემულარიას ზომიერად მკვეთრი განცხადებები ირიბად ადასტურებს. რუსეთის მედიაში იგი აქტიურად გამოდიოდა სახელმწიფო დუმის მიერ სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების თავად საკითხის დაყენების წინააღმდეგ. პროფესიონალი იურისტი კემულარია მიიჩნევს, რომ წარმოქმნილი კოლიზიის ახსნა მხოლოდ ერთი ფაქტორით შეიძლება - იურიდიული ცოდნის დეფიციტით. "თავად რუსეთის კანონმდებლობითაც ხომ აკრძალულია ქვეყნისათვის სხვა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის მიერთება", - ხაზს უსვამს ქართველი ელჩი რადიოსადგურ "ეხო მოსკვი"-სთან ინტერვიუში.

გასულ კვირას, სიტუაციის აფეთქება სამხრეთ ოსეთის მხარემ გამოიწვია, რომელმაც მოსკოვს ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა "ქართველთა მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისაგან იქ (სამხრეთ ოსეთში) მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეთა დაცვის" თხოვნით. პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი, ასევე, სთხოვს რუსეთის ხელმძღვანელობას, ცნოს საქართველოს ყოფილი ავტონომიის დამოუკიდებლობა და იგი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მიიღოს. ეს დოკუმენტი სათათბიროს სამი კომიტეტის - დსთ-ს საქმეთა, საერთაშორისო საქმეთა და უშიშროების - ერთობლივ სხდომაზე განიხილებოდა. როგორც სათათბიროს დსთ-ს საქმეთა და თანამემამულეებთან კავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ ანდრეი კოკოშინმა ჟურნალისტებს განუცხადა, "დეპუტატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რუსეთის პრეზიდენტის მხრიდან გადამჭრელი ზომების მიღებას ამ რეგიონში რუსეთის სტრატეგიული, სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ღირსებისა და პატივის, ქონების დასაცავად, ვითარებიდან გამომდინარე, მათთვის ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარების აღმოსაჩენად".

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსკოვში არ გამორიცხავენ რაიმენაირ "მკვეთრ ჩარევას" უკვე დიდი ხნის მანძილზე ერთ ადგილზე მდგარი ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პროცესში. მაგალითად, გეოპოლიტიკურ პრობლემათა რუსეთის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ლეონიდ ივაშოვმა "ნგ"-ს კორესპონდენტს დაუდასტურა, რომ, საბოლოო ჯამში, სამხრეთ ოსეთს შეუძლია, რუსეთის ტერიტორიის ნაწილი გახდეს. "მოვლენების ამგვარი განვითარება შესაძლებელია, - ამბობს იგი, - ერთა შორის, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში უმთავრესად ითვლება ორი პრინციპი: ერთა თვითგამორკვევის უფლება და საზღვრების ურღვევობა. ამავდროულად, დღეს ჩვენ მრავალი მაგალითი გვაქვს იმისა, როცა დიდი სახელმწიფოები, მაგალითად - იუგოსლავია, მცირე ნაწილებად იშლებიან". თუმცა, ლეონიდ ივაშოვი იქვე აზუსტებს: "პროცესი თანდათანობითი უნდა იყოს და, რა თქმა უნდა, თბილისის მონაწილეობით. ვითარება, რომელშიც დღეს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იმყოფებიან, მიჩნეული უნდა იქნეს გარდამავლად. შემდეგ კი აუცილებელია, მიღებული იქნეს გადაწყვეტილება, თუ რა მიმართულებით დაიწყოს მოძრაობა". "მთავარია, არაღიარებული რესპუბლიკების მოსახლეობის ნება, გამოხატული რეფერენდუმზე", - ასე თვლის რუსი ექსპერტი. შეგახსენებთ, 1992 წლის რეფერენდუმზე სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ რუსეთთან შეერთების სურვილი გამოთქვა.

ამასობაში, ფედერაციის საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროში სამხრეთ ოსეთის პრობლემის განხილვის თავად ფაქტი ცხინვალში კარგ ნიშნად აღიქვეს. ყოველ შემთხვევაში, სამშაბათს ღამით, ქართულ სოფელ ერედვზე სამხრეთ ოსეთის შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმმა რეიდი განახორციელა. აღნიშნულ მანევრს საფრთხეს ჰმატებდა ისიც, რომ ამ სოფლის შემოგარენში საქართველოს შსს-ს დიდი ძალებია თავმოყრილი, რომლებიც წინა დღეს გახსნილი ახალი საავტომობილო გზის დასაცავად ქვეყნის შიდა რაიონებიდან გადმოისროლეს. დაძაბული დაპირისპირება რამდენიმე საათს გრძელდებოდა და სამხრეთ ოსეთის სპეცდანიშნულების რაზმები უწინდელ პოზიციას მხოლოდ დილით დაუბრუნდნენ.

ჩეჩნეთის ახალი "მეფისნაცვალი"

მოსკოვმა კადიროვის შემცვლელი მოძებნა

ნიკა თარაშვილი

სამშაბათს ალუ ალხანოვი ოფიციალურად გახდა მთავარი კანდიდატი ჩეჩნეთის პრეზიდენტის პოსტზე. მართალია, ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ჯერ საარჩევნო კომისიაშიც არ გაუვლია რეგისტრაცია, მაგრამ მან უფრო მთავარი "რეგისტრაცია" მოსკოვში, ვლადიმირ პუტინთან გაიარა. ეს კი, ჩეჩნური სინამდვილიდან გამომდინარე, გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ამომრჩევლების მხარდაჭერა.

კრემლში, პუტინის გვერდით მჯდომმა გენერალმა ალხანოვმა განცხადება გააკეთა, რომლის მთავარი აზრიც იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ეცდება, მოკლული კადიროვის ადგილი დაიკავოს.

გუშინ გაზეთი "კომერსანტი" იმასაც ამბობდა, რომ ალხანოვი, ფაქტობრივად, უკვე "დანიშნულია" ჩეჩნეთის პრეზიდენტად და თავის ამგვარ კატეგორიულობას პუტინის მიერ ნათქვამი სიტყვებით ამყარებდა: "თქვენ აღნიშნეთ, რომ თქვენი წამოყენების წინადადება სხვადასხვა რაიონებიდან მოდიოდა, - მიმართა რუსეთის პრეზიდენტმა ალხამოვს, - ჩვენ ხშირად გვისაუბრია ჩეჩნეთის განვითარებაზე".

რუსული გავლენიანი გაზეთის აზრით, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც ალხანოვის სასარგებლოდ მეტყველებს, ხელისუფლების მემკვიდრეობითობაა. "ჩეჩნებს, რომელთაც მე წამომაყენეს, ახმად-ჰაჯის კურსის გაგრძელება უნდათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩემთვის ნაცნობია სიტუაცია რესპუბლიკაში, ვფიქრობ შევძლებ ამ გზის გაგრძელებას," - აცხადებს ალხანოვი, და მრავალ დამკვირვებელს უფანტავს ეჭვებს მის არჩევა-არარჩევასთან დაკავშირებით. ალხანოვს მოკლული პრეზიდენტის ვაჟი, რამზან კადიროვიც ღირსეულ მემკვიდრედ მიიჩნევს - "ალუ ალხანოვი ახმად კადიროვის ღირსეული თანამებრძოლია. მისი კანდიდატურა ცხონებული პრეზიდენტის გუნდმა ერთხმად აირჩია და მხარს მისი მრავალრიცხოვანი მომხრენი უჭერენ," - ამბობს რამზან კადიროვი.

გასულ წელს პუტინმა თავისი არჩევანი ახმად კადიროვზე შეაჩერა და იგი უპრობლემოდ გახდა პრეზიდენტი. მაშინ კადიროვმა ხმების 80 პროცენტი დააგროვა. რა მნიშვნელობა აქვს უცხოელი დამკვირვებლების აზრს, რომ არჩევნები ტოტალურად გაყალბდა. მთავარი ხომ შედეგი იყო.

ასეა დღესაც, ალხანოვი თავიდანვე თვითდაჯერებულია. "ნებისმიერ არჩევნებში რთულია ბრძოლა, განსაკუთრებით - ჩეჩნეთში, თუმცა ეს გამარჯვებას უფრო სასიამოვნოს ხდის," - აცხადებს გენერალი.

არჩევნები აგვისტოს ბოლოს არის დანიშნული. მათ შედეგებს კრემლის სტრატეგიისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. იგი კი იმაში მდგომარეობს, რომ მოსკოვი დაუმორჩილებელ რესპუბლიკას გულდასმით შერჩეული, ნდობით აღჭურვილი პირების საშუალებით მართავს, რომლებიც მოსკოვის ნებას აღასრულებენ, თუმცა ფორმალურად, ადგილზე ლეგიტიმურ ხელისუფლად ითვლებიან.

გენერალი ალხანოვი კადიროვისაგან, შესაძლოა, პრინციპულად განსხვავდებოდეს - კადიროვი ხომ პირველი ჩეჩნური კამპანიის დროს რუსების წინააღმდეგ იბრძოდა, რამაც, ერთის მხრივ, რუსებში ნაციონალისტის სახელი დაუმკვიდრა, ხოლო შემდგომში, ჩეჩნებში - ერის მოღალატის. მისგან განსხვავებით, ალხანოვი დამოუკიდებლობის მოსურნე თანამოძმეებს ორივე ომის დროს რუსებთან ერთად ებრძოდა.

მიუხედავად მისი წარსულისა, კადიროვს "კრემლის კაცობა" აშკარად ეტყობოდა და გენერალი ალხანოვიც სწორედ ამ კურსის გაგრძელებაზე ლაპარაკობდა. მისი თქმით, ჩეჩენ ხალხს ფედერალური ცენტრის პოლიტიკისა და კადიროვის კურსის გაგრძელება სურს. მისი თქმით, ძნელი სათქმელია, ჩეჩნების უმრავლესობას გაუნელდა თუ არა თავისუფლებისაკენ სწრაფვის წყურვილი. ალხანოვის მოსაზრებაში დასაეჭვებლად ისიც კმარა, რომ ჩეჩნეთში აფეთქებებისა და სროლის ხმა დღესაც ისმის. ნიშანდობლივია, რომ იმ დროს, როცა პუტინი თავის არჩევანს ქვეყანას აცნობდა, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა კიდევ ერთი სისხლიანი შეტაკების შესახებ გაავრცელეს ცნობა. იმავე დღეს რკინიგზაზე ხუთი ნაღმის აღმოჩენაც ამცნეს საზოგადოებას.

არც საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები არიან განწყობილნი ჩეჩნეთში ვითარების სწრაფი გაუმჯობესებისადმი ოპტიმისტურად. მეტიც, მათი უმეტესობა ერთადერთ გამოსავლად დანიშნული არჩევნების გადადებას და ფართო ამნისტიის გამოცემას მიიჩნევს.

ამასობაში, ჯერჯერობით არაკანდიდატი ალხანოვი უკვე ჩეჩნეთის მომავალ "ხელისუფლად" მიიჩნევა. ეს ისე, ფორმალურად, - რეალური ხელისუფალი კვლავ კრემლი იქნება. მართალია, ჩეჩნეთის ნომერ პირველი პოლიციელი კონკურენტების სიმცირეს არ უჩივის, მაგრამ ექსპერტთა შეფასებით, ერთადერთი რეალური მოწინააღმდეგე მოსკოველი ბიზნესმენი მალიკ საიდულაევია, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა არჩევნებისას იგივე საიდულაევმა თავისი კანდიდატურა კრემლის ზეწოლით მოხსნა, გამორიცხული არ არის, ახლაც ანალოგიური სიტუაცია განმეორდეს. კიდევ ერთი უზარმაზარი უპირატესობა - ალხანოვმა არჩევნებში მონაწილეობის მიზეზით დროებით კი დატოვა თანამდებობა, მაგრამ პუტინის თხოვნით იგი კვლავ რჩება ჩეჩნეთის აღდგენისათვის გამოყოფილი თანხების განმკარგავად, ეს კი ფრიად სოლიდური თანხებია, თუნდაც საარჩევნო კამპანიის საწარმოებლად.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაკვირვების შესახებ - ჯერჯერობით, მოსკოვის პოლიტიკას ჩეჩნეთში წარმატებულს ვერ დავარქმევთ. კადიროვმა ვერ გაამყარა რუსეთის გავლენა ჩეჩნეთში და დაიღუპა. სხვა საკითხია, რეალურად რას შეეწირა იგი - ბევრის აზრით, კადიროვი კრემლისაგან დამოუკიდებელი თამაშის დაწყების მცდელობამაც გადაიყოლა. ყველას ერთი კითხვა უჩნდება: იგივე გზაზე სიარული და ჩეჩნეთში ისეთივე "მეფისნაცვლის" დანიშვნა რუსეთისთვის რამდენად მომგებიანი იქნება?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ინფორმაცია

საერთაშორისო კონფერენციის შესახებ

“გლობალიზაცია და რეგიონალური ეკონომიკის განვითარება”

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის N17/21 გადაწყვეტილებით, 2004 წლის ნოემბერში აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტში გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია - **“გლობალიზაცია და რეგიონალური ეკონომიკის განვითარება”.** კონფერენციის მიზანია სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერთა მოსაზრებების ურთიერთგაზიარება ამ პრობლემასთან დაკავშირებით და ეკონომიკის განვითარების პროგრამებში მოცემული წინადადებების გამოყენება.

კონფერენციის ორგანიზატორების მიერ მიმდინარეობს საერთაშორისო საზოგადოებების, სამეცნიერო და საგანმანათლებლო წრეების ინფორმირება კონფერენციის შესახებ და მასზე დაინტერესებული პირების მოზიდვა კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით.

კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების მსურველთა მიერ სტატიის მომზადებისათვის სავალდებულო მოთხოვნები:

1. ავტორს მხოლოდ ერთი სტატიის დაწერის უფლება აქვს;
2. ავტორმა უნდა წარმოადგინოს თავისი CV და მიუთითოს მისამართი;
3. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს აზერბაიჯანულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე;
4. სტატია უნდა იყოს მაქსიმუმ 4 (ოთხი) გვერდი (A4 ფორმატი) და დაბეჭდილი უნდა იყოს შრიფტით “Times New Roman”, ზომა - 12;
5. სტატია უნდა დაიბეჭდოს 1,5 ინტერვალით, დაშორება მარცხენა მხარეს უნდა იყოს 15 მმ., ხოლო მარჯვენა მხარეს 30 მმ. და ფურცლის ზედა და ქვედა საზღვარი უნდა იყოს 20 მმ.
6. სტატიის წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 16 ივლისი;
7. თქვენი სტატია შეგიძლიათ გადააგზავნოთ ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართებზე: **elm@aseu.ab.az rus-lanatakishiyev@yahoo.com / rusbehbexkun@mail.ru** ან საფოსტო მისამართზე **Azerbaijan, Baku, Istiqlaliyyat str.6. / AZ1001** ან გადააგზავნოთ ფაქსით **(99412) 92-72-98**
8. სტატიები უნდა გაუგზავნოთ ბატონ ნოვრუზ კოლიევს **(Mr. Quliyev Novruz)** ან ბატონ რუსლან ატაკიშიევს **(Mr. Ruslan Atakishiyev)**
9. გამოქვეყნდება იმ ავტორის სტატია და კონფერენციაზე მოწვეული იქნება ის პიროვნება ვისზეც არჩევანს შეაჩერებს კომისია;
10. დამატებითი და დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ვებგვერდი: **http://new.aseu.ab.az** ან დარეკეთ ნომერზე (994 12) 92-72-98;

ქვეყნის გადარჩენა განათლებაში, მეცნიერებასა და ცოდნაშია

დღეს უკვე მსოფლიო ქვეყნებს ყოფენ არა მარტო მდიდარ და ღარიბ, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებად, არამედ იმის მიხედვითაც, თუ როგორი ტემპით ვითარდებიან ისინი. აქ იგულისხმება სტრუქტურული გარდაქმნების სისწრაფე სოციალურ დროში, რომელიც განაპირობებს თვისებრივ გარდაქმნებს. ასეთი ტრანსფორმაცია უფრო მეცნიერულ-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მიღწევებს ეყრდნობა და არა იმდენად ბუნებრივ რესურსებს. სწორედ აქედან ჩამოყალიბდა აქსიომა, რომ მომავალი განათლებას, მეცნიერებასა და ცოდნას, მათზე დაფუძნებულ ინოვაციურ ეკონომიკას ეკუთვნის და არა ბუნებრივ რესურსებს (თუმცა, ბუნებრივი რესურსები სერიოზული არგუმენტია). მდიდარი იქნება ქვეყანა, რომელსაც მძლავრი სამეცნიერო პოტენციალი აქვს და არა ბევრი ბუნებრივი რესურსი.

მომავალი ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას ეკუთვნის.

ამდენად, თუ XXI საუკუნემდე განვითარება ევოლუციური გზით მიმდინარეობდა, ახალი ათასწლეული ნახტომისებური განვითარებისა და ელვისებური, ეკონომიკური ეფექტების საუკუნე იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ შესაძლებლობებს, რომელსაც ეკონომიკისა და აზროვნების გლობალიზაცია იძლევა. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ მსოფლიოში შექმნილი გარემო თანაბარ შანსებს აძლევს მდიდარსაც და ღარიბსაც. მთავარია საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალი, მისი ეფექტური გამოყენებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და საზოგადოების სასარგებლოდ წარმართვა; და თუ როგორ იქნება ის, რეალიზებული ქვეყნის დემოკრატიის ხარისხზე და ერის მზაობაზე იქნება დამოკიდებული.

საქართველოში მოქმედმა 150-ზე მეტმა უნივერსიტეტმა, რომელიც ხელისუფლებამ მხოლოდ იმ საბაბით დაუშვა, რომ სოციალური აფეთქება არ მომხდარიყო, უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ საზოგადოებას.

გაუფასურდა დიპლომი, ცოდნისა და, თუნდაც, ელემენტარული განათლების მიღება შეუძლებელი გახდა, რადგან თბილისიდან გამგზავრებას რაიონულ უმაღლესებში ლექტორები ვერ ახერხებენ. მიზეზი მრავალია, მაგრამ უმთავრესია ის, რომ სახელოვანი პროფესურა ერთდროულად რამდენიმე სოფელსა და ქალაქში ლექციების კითხვას ვერ ახერხებს. ზოგს მგზავრობას ასაკი უშლის, ვისაც ასაკი ჯერ არა აქვს, იმას შესაბამისი ცოდნა და გამოცდილებაც აკლია, ფული კი, ისევ როგორც სიყვარული, ყველას უნდა!

ახალგაზრდები აბუჩად იგდებენ ლექტორებს, რადგან იციან, რომ ფულით შესაძლებელია იყიდონ ჩათვლა, გამოცდა, დიპლომი. ილახება ცოდნა, არ არსებობს პატივისცემა უფროსი თაობისადმი, რაც, შესაბამისად, საზოგადოებაში გათიშულობასა და მტრობის გაღვივებას უწყობს ხელს.

შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია:

1. გაუქმდეს ყველა კომერციული უნივერსიტეტი, რომელიც 1990 წლის შემდეგ შეიქმნა (აეკრძალოთ 2004 წ. აბიტურიენტებისმიღება);

2. გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ რამდენიმე საერთაშორისო უნივერსიტეტი, თუმცა ეს ღიად, გამჭვირვალედ უნდა მოხდეს, რათა კორუფციული გზით მავანმა ლიცენზია არ შეინარჩუნოს;

3. მოსწავლე-ახალგაზრდობა, რომელიც აღნიშნულ ფაკულტეტზე სწავლობს, გადანაწილდეს სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ფასიან ფაკულტეტებზე და მათ მიეცეთ უმაღლესი სასწავლებლის დასრულების საშუალება;

4. პედაგოგები, რომლებიც მათ ასწავლიდნენ (პროფესიონალიზმის გათვალისწინებით), ხელშეკრულების საფუძველზე დაასაქმონ სახელმწიფო უნივერსიტეტებში, თუნდაც - სიმბოლური ანაზღაურებით;

ხელისუფლების მიერ გადადგმული ყველა ეს ნაბიჯი მუდმივად გაშუქდეს პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით, რათა თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი მღელვარებანი ან სოციალური გამოსვლები.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მსგავსი დიპლომების პატრონი საქართველოში ვერ დასაქმდება. უპირატესობა მიეცემათ მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტების დონესთან მიახლოებული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებს. ამ თემაზეც ხშირად უნდა ისაუბრონ ხელისუფლებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ტელეეკრანებიდან.

თუ ხალხი დარწმუნდება, რომ მსგავსი დიპლომები მათ შვილებს არაფერში გამოადგებათ, "სწავლას მოწყურებულთა" ნაკადი დაიკლებს. თუმცა, ის გლეხები, რომლებსაც აუხდენელ ოცნებად დარჩათ თბილისში განათლების მიღება, შეეცდებიან, დიპლომი შვილებს რამდენიმე ძროხის საფასურად მაინც უყიდონ, მაგრამ მათი რაოდენობა ძალიან მცირე იქნება.

5. აღნიშნული პროცესები წარმატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება, თუ საქართველოს პრეზიდენტი გამოიყენებს თავის გავლენას მასებზე, რომელიც ამჟამად აქვს და მშობლებს მიმართავს: ნუ დაღუპავთ თქვენს შვილებს, ნუ გადაყრით ფულს. ასეთი უმაღლესი განათლება საქართველოს არც ახლა და არც მომავალში არ გამოადგებაო! საზოგადოებამ იცის, სჯერა, ხედავს, რომ პრეზიდენტი განათლებულია, ამიტომ მის სიტყვას ენდობა და თავად მოითხოვს ზემოთ ხსენებული უნივერსიტეტების დახურვას;

6. პრეზიდენტმა, ასევე, უნდა გამოიყენოს თავისი დიდი მომხიბვლელობა და (კანონის შესაბამისობაში მყვანით) მიმართოს ასაკოვან პედაგოგებს (რომლებსაც აღარ ახსოვთ, რომელ საგანს ასწავლიან, მაგრამ მაინც, შვილიშვილების დახმარებით, ბეჯითად დადიან სკოლებსა და უნივერსიტეტებში), გზა დაუთმონ ახალგაზრდებს და მისცენ საშუალება, აღზარდონ ღირსეული თაობა. თუ სკოლებში მაინც მცოდნე კადრები არ მივიდნენ, მდგომარეობა მართლაც კატასტროფულია, რაც ბოლოდროინდელმა სოციოლოგიურმა კვლევებმაც დაადასტურა.

მასწავლებლების პენსიაზე გაცილება, შესაძლოა, დაამთხვიონ სკოლაში ბოლო ზარს - დღესასწაულს; მოეწყოს სპეციალური საღამო, რომელზეც მივლენ მთავრობის წევრები, პრეზიდენტი; გადასცენ სამახსოვრო საჩუქრები; ყველა ღონისძიება გაშუქდეს ელექტრონული მედიის საშუალებით.

საქართველოს შეცდომების დაშვების უფლება არ აქვს. ამისათვის კი მას ჩვეულებრივ განათლებული ადამიანები კი არა, ვარსკვლავები სჭირდება.

პაატა კოლუაშვილი
პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ყველა გზა კონცეფციასთან მიდის

ზაზა ფაჩუაშვილი

"აფხაზური კლუბის" გუშინდელმა შეხვედრამ ცხადყო, რომ დღეს ყველა გზა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ კონცეფციამდე მიდის. აფხაზეთის საკითხის მოგვარების კონცეფცია, რომელიც ექსპერტთა 7-კაციანმა ჯგუფმა შარშან შექმნა და სახელმწიფო მინისტრს გოგა ხაინდრავას ორი თვის წინათ გასაცნობად გადასცა, უარყოფითი კუთხით, სულ უფრო პოპულარული ხდება. გუშინ კლუბში მოწვეულნი იყვნენ პარლამენტის წევრები - დავით ზურაბიშვილი და ნიკა გვარამია, რომლებმაც დიდი ინტერესიც გამოიწვიეს და შესაბამისი მოწონებაც დაიმსახურეს. სხდომას ესწრებოდა სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძეც.

კონცეფციის კრიტიკოსთა განცხადებით, ვითარების გამწვავება განაპირობა გოგა ხაინდრავას განცხადებამ იმის შესახებ, რომ აღნიშნული კონცეფცია მისი კურსის განმსაზღვრელი იქნება.

გიგიჩა ბუხაიძის ფოტო

"აფხაზურ კლუბის" წინა შეხვედრებზე ითქვა, რომ კონცეფციის გარშემო დისკუსია გაიმართოს მხოლოდ მისი გამოქვეყნებისა და ავტორთა ჯგუფის მოწვევის შემდეგ, მაგრამ ეს სიტყვიერი შეთანხმება ყოველ შეხვედრაზე ირღვევა. როგორც აღმოჩნდა, დევნილ პოლიტიკოსებს და აფხაზეთის საკითხში მოღვაწე სხვა პირებს დღეს ყველაზე მეტად სწორედ კონცეფციის რაობის საკითხი აწუხებთ. იმის მიუხედავად, რომ კონცეფცია სრულყოფილად გამოქვეყნებული არ არის და, შესაბამისად, წაკითხულიც არავის აქვს, "აფხაზური კლუბის" წევრებს მისადმი უარყოფითი პოზიცია უკვე გამოკვეთილი აქვთ. მათი თქმით, კონცეფციის 4-გვერდიანი ვარიანტიც კი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მას მოღალატური დოკუმენტის იარლიყი მიეკეროს.

კონცეფციის კრიტიკოსთა განცხადებით, ვითარების გამწვავება განაპირობა გოგა ხაინდრავას განცხადებამ იმის შესახებ, რომ აღნიშნული კონცეფცია მისი კურსის განმსაზღვრელი იქნება.

ნიკა გვარამია: "ამ კონცეფციაზე მაქვს გარკვეული, თუმცა არასრული წარმოდგენა. იქ არის მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა გაზიარება არ შეიძლება. მაგალითად, მე ვერ გავიზიარებ, რომ ვიღაცას აფხაზეთში დაბრუნების უფლება არ ექნება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში სამშობლოს დაცვა სირცხვილია. ეს იდეა, თავისთავად, განწირულია. ასევე, მიუღებელია რეგიონში ხელოვნური ბალანსის შენარჩუნება აფხაზებისათვის ვეტოს უფლების მინიჭებითა და მათ სასარგებლოდ სხვა შეზღუდვების დაწესებით.

გოგა ხაინდრავა ამბობს, რომ ეს კონცეფცია მისი კურსის განმსაზღვრელი იქნება. ვფიქრობ, კონცეფციის საჯარო განხილვამდე სახელმწიფო მინისტრი ასეთ განცხადებას არ უნდა აკეთებდეს".

უპრიანი იქნება, აქვე მივცეთ გოგა ხაინდრავას მოკლე კომენტარი, რომელიც ეთანხმება ოპონენტს იმაში, რომ საჯარო განხილვამდე ასეთი განცხადებები მართლაც არ უნდა კეთდებოდეს; მით უმეტეს, რომ გოგა ხაინდრავას თქმით, ასეთი აზრი არც მას გამოუთქვამს.

" მე ვარ მთავრობის წევრი და რა უფლება მაქვს, დავეყრდნო კონცეფციას, რომელიც ჯერ მთავრობაში არ განხილულა. არსებობს არასამთავრობოების მიერ გაკეთებული რამდენიმე კონცეფცია და მე ვთქვი, რომ დავეყრნობით არასამთავრობოების აზრს და არა რომელიმე კონკრეტულ კონცეფციას", - გვითხრა გოგა ხაინდრავამ, მაგრამ ეს "კლუბის" სხდომის შემდეგ იყო. მანამდე ოპონენტები რიგ-რიგობით ასამარებდნენ ხსენებულ კონცეფციას.

ნოდარ ნათაძე: "აფხაზეთი საბოლოოდ იმიტომ არ დავკარგეთ, რომ მას საქართველოდან გამოყოფის იურიდიული საფუძველი არ გააჩნია. თუ ხელისუფლებამ ეს კონცეფცია მიიღო, ჩვენ ამ უპირატესობას დავკარგავთ. ასევე, მიუღებელია ის აზრი, რომ ერთი აფხაზის ხმა გაცილებით უფრო ღირებულია, ვიდრე ქართველის ხმა. ეს არის ანტიდემოკრატიული და აპარტეიდული იდეა".

ბორის კაკუბავა: "ამ კონცეფციის გამო, თბილისში ჩამოვიყვან ათასობით დევნილს და გავმართავ დიდ აქციებს, რათა მსოფლიომ დაინახოს, რომ ეს ჩვენი კონცეფცია არ არის".

რაულ კუპრავა: "მე არ მივიჩნევ ამ კონცეფციას სერიოზულად, მაგრამ როცა სახელმწიფო მინისტრი ასეთ განცხადებას აკეთებს, ვითარება თავისთავად იძაბება".

ბოლოს გაკეთდა დასკვნა, რომ აღნიშნული კონცეფციის განხორციელება სახელმწიფო ღალატი იქნება და ამ აზრს არავინ შესწინააღმდეგებია. ითქვა მხოლოდ ის, რომ დასკვნების გაკეთება კონცეფციის სრულად გამოქვეყნების შემდეგ უფრო უპრიანი იქნება.

რაც შეეხება გამოქვეყნებას, ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთმა ავტორმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ კონცეფციის შემოქმედებითი ჯგუფი მის გამოქვეყნებას მომავალ კვირაში გეგმავს.

რამდენად გამართლდება მისი ვარაუდი, არ ვიცით, მაგრამ ერთი რამის თქმა შეგვიძლია - კონცეფცია "24 საათში" გამოქვეყნდება.

Სახელმწიფო და აფხაზეთი

დაბოლოს გთავაზობთ აფხაზეთის საკითხში სახელმწიფო პოზიციას, რომელიც დავით ზურაბიშვილმა ჩამოაყალიბა:

"აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი და ის მუდამ საქართველოს შემადგენლობაში უნდა იყოს. ამის თაობაზე არ არსებობს არანაირი ვაჭრობა, არანაირი ეჭვები და ეს არ ექვემდებარება არანაირ განხილვას.

რა თქმა უნდა, უპირატესობას ვანიჭებთ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გზას. მივესალმებით სამოქალაქო დიალოგში დევნილების გააქტიურებას, მაქსიმალურად გავითვალისწინებთ აფხაზთა ინტერესებს და მივცემთ მათ უსაფრთხოების მყარ გარანტიებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმ ვალდებულებას, რომ ჩვენ არასოდეს გამოვიყენებთ სამხედრო ძალას. იმ შემთხვევაში, თუ ყველა სამშვიდობო რესურსი ამოიწურება, თავმოყვარე სახელმწიფოს უნდა შეეძლოს შესაბამისი ძალისმიერი რეაგირება.

ვაპირებთ საერთაშორისო არენაზე გააქტიურებას და იმ დოკუმენტების გადახედვას, სადაც ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია გამორჩენილი. სახელმწიფო ამ ფარგლებში იმოქმედებს".

ქართული სულის "ამერიკული აკადემია"

გუშინ "თბილისის ამერიკულ აკადემიაში" საზეიმოდ დაიხურა 2003-2004 სასწავლო წელი. ცერემონიაში მონაწილეობდნენ "აკადემიის" ქართველი, ამერიკელი და ჰოლანდიელი სტუმრები. დახურვაზე შედგა აკადემიის ფოლკლორული ანსამბლის პრეზენტაციაც.

ლელა მარგიანი

"შენობაში შესვლისთანავე მოულოდნელად შემოგვესმა კლასიკური მუსიკის ჰანგები. მუსიკას ისმენდნენ მოსწავლეებიც, რომლებიც პირველ გაკვეთილზე მიიჩქაროდნენ. არავითარი "როლინგ სტოუნი", არა ბრიტნი სპირსი, არც უოქმენი და მობილური. ამერიკულ აკადემიაში ყოველი დღე განსაკუთრებული ჰანგებით იწყება. ჩვენ ვესწრებოდით გაკვეთილებს, გვქონდა საუბრები მოსწავლეებთან და შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი მოსწავლეები მაღალი მოტივაციის მქონენი, მომხიბვლელები და გონებაგახსნილები არიან, - ასე იგონებს თავის სტატიაში, "თბილისში მოგზაურობა," ამერიკელი პიტერ გრიერი ქართველ მოსწავლეებს.

ამერიკელი სტუმრის პატარა ქართველ მეგობრებს, სწორედ იმ "მაღალი მოტივაციის, მომხიბვლელ და გონებაგახსნილ" მოსწავლეებს, გუშინ წლევანდელი სასწავლო წლის "ბოლო ზარი" ჰქონდათ. მათი წარმატებების შესაჯამებლად და წარმოსაჩენად შეიკრიბნენ მასწავლებლები, მშობლები და საპატიო სტუმრები.

საქართველოში ამერიკის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი ქალბატონი როუენა ქრის-ნაჯაფი სტუდენტებს ქართულ ენაზე მიესალმა. მისმა ქართულმა საუბარმა ახალგაზრდებისა და სტუმრების განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია.

აკადემიის ტრადიციისამებრ, სასწავლო წლის განმავლობაში გამოჩენილი წარმატებისთვის სტუდენტები დაჯილდოვდნენ წიგნებით, ხოლო განსაკუთრებით წარმატებულ რამდენიმე სტუდენტს საპატიო სიგელები თავად "აკადემიის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა გადასცეს.

"საქართველოს ბანკის" პრეზიდენტი ბატონი ვლადიმერ პატეიშვილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და "აკადემიის" მშობელია (მისმა ვაჟმა გუშინ მეთერთმეტე კლასი დაამთავრა).

ბატონმა ვლადიმერმა "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, რომ კარგი ქართველის - გივი ზალდასტანიშვილის მიერ ძალიან კარგი სკოლა დაფუძნდა. **"სპონსორები ვცდილობთ, ყველანაირად ხელი შევუწყოთ სკოლას. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლაში უკვე 200 სტუდენტი ისწავლის. სკოლის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა, ამერიკის მხარის დახმარების გარეშე. სკოლა ამერიკული და ქართული მხარის ერთობლივი პროექტია. მიუხედავად იმისა, რომ სწავლა, ძირითადად, ინგლისურად მიმდინარეობს, სკოლაში არის ქართული სული და ეს ყოველთვის ასე იქნება. ბევრი ამ სკოლადამთავრებული, ალბათ, წავა უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ყველა უკან დაბრუნდეს და თავის ქვეყანას მოახმაროს იქ შეძენილი ცოდნა",** - თქვა მან.

თავისი აღსაზრდელებით კმაყოფილია "ამერიკული აკადემიის" ამერიკელი დირექტორი ბატონი დონალდ თომასი: **"ვფიქრობ, ეს წელი ძალიან კარგი იყო. ძლიერი სტუდენტები გვყავს. დისციპლინა და აკადემიური მოსწრება მაღალ დონეზე იყო. შემდეგ წელს მეთორმეტე კლასელებს მოვამზადებთ ამერიკული უნივერსიტეტებისთვის და, ვფიქრობთ, ჩვენს წარმატებულ სტუდენტებს არ გაუჭირდებათ სწავლის უცხოეთში გაგრძელება".**

ჩინოვნიკის საქალაქლდე

ერთი, 10 ათასიდან გამორჩეული განცხადება

ქ.თბილისის მერს ზურაბ ჭიაბერაშვილს
ვაზისუბნის დასახლებაში
მცხოვრები როზა ბეგიაშვილის

განცხადება

ჩემი ძმა შალვა ბეგიაშვილი ჯართის მოგროვების დროს აფეთქდა და ორი ხელი, ფეხი და მხედველობა დაკარგა. ჰყავს მეუღლე და მცირეწლოვანი ტყუპები. ოჯახის ერთადერთი საარსებო წყარო 18-ლარიანი პენსიაა. გთხოვთ, გაგვიწიოთ მატერიალური დახმარება.

ნანა ქადაგიშვილი

ისანი-სამგორის რაიონის გამგეობაში, ერთჯერადი დახმარებების მოთხოვნით, აპრილ-მაისის თვეებში შესული 10 ათასი განცხადება დევს. მათგან ერთი, როზა ბეგიაშვილის ხელმოწერით, ამა წლის აპრილიდან უკვე მოეთხედ შეიტანეს გამგეობაში. ათასობით უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქის განცხადებებს შორის აღნიშნული განცხადება მაინც გამოირჩევა. რამდენიმე უწყებისა და კერძო კომპანიის მხრიდან მიღებული დახმარების მიუხედავად, ბეგიაშვილების ოჯახს ხელისუფლებისათვის მაინც ბევრი სათხოვარი აქვს.

განცხადებაში აღნიშნული უბედური შემთხვევა, რომელიც ამა წლის 30 მარტს მოხდა, საზოგადოებას კარგად ახსოვს. მაშინ ბეგიაშვილების ოჯახს ყოფილმა მერმა ვანო ზოდელავამ 1000 ლარი მისცა, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობამ - ერთჯერადი დახმარების სახით - 200 ლარი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ პროტეზი გაუგზავნა, ფარმაცევტულმა ფირმა "ავერსმა" - 1700 ლარის ღირებულების მედიკამენტები. თუმცა, ამ დახმარებების მიღების შემდეგ დაზარალებულის დმ როზა ბეგიაშვილმა, მატერიალური დახმარების მოთხოვნით, სხვადასხვა ინსტანციაში რამდენიმე განცხადება კიდევ შეიტანა. ყველა მათგანმა ბოლოს ისანი-სამგორის რაიონის გამგეობაში მოიყარა თავი. ბოლო, ქალაქის მერის სახელზე დაწერილი განცხადება გამგეობაში მაისის თვეში შევიდა. **"ერთჯერადი დახმარებებით შორს ვერ წავალთ. მოვახერხოთ მუდმივი საარსებო წყაროს ორგანიზება. შეხვდით ოჯახის წევრებს და მოიფიქრეთ რომელიმე მათგანის დახმარების საკითხი"**, - ქალაქის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ აღნიშნული განცხადება ასეთი შინაარსის წარწერით გადაუგზავნა რაიონის გამგებელს.

წელს ისანი-სამგორის რაიონში ერთჯერადი მატერიალური დახმარებების გასაცემად კომისია უკვე მეორედ შედგა. ბოლო, 9 ივნისს ჩატარებულ კომისიაზე იანვარ-თებერვლის თვეში შეტანილი 500 მოქალაქის განცხადება განიხილეს და 470 დაკმაყოფილეს (დახმარების მინიმალური ოდენობა 30 ლარია, მაქსიმალური - 150 ლარი). ბეგიაშვილების ბოლო განცხადება გამგეობაში მაისის თვეში შევიდა. ასე რომ, მას კომისიაზე, სავარაუდოდ, ერთ-ორ თვეში განიხილავენ. თუმცა, გამგეობას მისი დაკმაყოფილება, ალბათ, ძალიან გაუჭირდება. **"მატერიალურ დახმარებას ვეღარ მივცემთ, რადგან ერთი და იგივე პიროვნებაზე დახმარების გაცემის უფლება წელიწადში მხოლოდ ერთხელ გვაქვს. ბეგიაშვილებს კი მაქსიმალურზე მეტი ოდენობის თანხა მივეცით. რაც შეეხება დასაქმებას, ჩვენს ქვეყანაში ეს საკითხი ასე იოლი მოსაგვარებელი არა არის"**, - აცხადებს გამგეობის ხელმძღვანელობა.

ბეგიაშვილების ოჯახი ვაზისუბნის დასახლების 24-ე, ავარიული კორპუსის მესამე სართულზე ცხოვრობს. ოთხსართულიან კორპუსს სახურავი აქვს შესაკეთებელი. ზედა სართულზე, ბეგიაშვილების ბინის თავზე, არავინ ცხოვრობს და წვიმის დროს წყალი მესამე სართულზე ჩადის. შალვა ბეგიაშვილი საკუთარი და დის ოჯახების ერთადერთი მარჩენალი და პატრონი იყო. **"ადრე სახურავს შალვა აკეთებდა. ახლა წვიმის მოსვლის გვეშინია. უბედური შემთხვევის შემდეგ ქალაქის ხელმძღვანელობა მართლაც დაგვეხმარა, მაგრამ საავადმყოფოში მხოლოდ ერთ დღეში 500 ლარი დავხარჯეთ. ჩვენი ოჯახის ძირითადი შემოსავალი 18-ლარიანი პენსიაა. თუმცა, "ავერსმაც" დაგვინიშნა პენსია 50-100 ლარის ოდენობით. სანამ ჩვენი ფირმა იარსებებს, ამ თანხას მიიღებთო, - შეგვპირდნენ. ყველაფრისთვის მადლობლები ვართ, მაგრამ ოჯახისთვის, რომელსაც ორი მცირეწლოვანი ბავშვი და ერთადერთი მარჩენალი ინვალიდი ჰყავს, ეს დიდი ვერაფერი შეღავათია. ახლა სახლის სახურავის პრობლემაც დაგვემატა. ხელისუფლებას ვთხოვთ, ან კორპუსის სახურავი შეგვიკეთოს, ან სადმე პირველ სართულზე გამოგვიძებნოს ბინა. ინვალიდი ბიჭისთვის ზედა სართულზე ცხოვრება ძალიან ძნელია"**, - ითხოვენ ბეგიაშვილები.

სამშენებლო კომპანია "ბურჯი" აცხადებს კონკურსს შემდეგ სპეციალისტებზე

გვესაჭიროება ენერგიული, კომუნიკაბელური კადრები საპროექტო ჯგუფში, საწარმოო ტექნიკურ განყოფილებაში და სამშენებლო ობიექტებზე სამუშაოდ, მაღალი ანაზღაურებით. სამშენებლო ობიექტები განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საპროექტო ჯგუფი:
1. ელექტრო ინჟინერი (პროექტანტი);
2. წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი (პროექტანტი);
3. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი (პროექტანტი).

საწარმო ტექნიკური განყოფილება:
1. მშენებელ ინჟინერი (სტგ-ში მუშაობის გამოცდილებით);
2. ელექტრო ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება);
3. წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება);
4. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი (საწარმოო გამოცდილება).

სამუშაოთა მწარმოებელი:
1. ინჟინერ მშენებელი;
2. ელექტრო სამონტაჟო;
3. წყალმომარაგება კანალიზაციის;
4. თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების.

მოთხოვნები:
1. უმაღლესი ტექნიკური განათლება (შესაბამისი სპეციალობით);
2. საწარმოო და საპროექტო (მოთხოვნის შესაბამისად) გამოცდილება არანაკლებ 5 წელი;
3. დარგში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მასალების ღრმა ცოდნა;
4. სათანადო კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (საპროექტო ნაწილისთვის);
5. სასურველია საერთაშორისო და საზღვარგარეთის ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება.

წარმოსადგენი საბუთები:
1. CV
2. განხორციელებული პროექტების დეტალური აღწერა.

საბუთები მიიღება 2004 წლის 15 ივლისამდე შემდეგ მისამართზე:
ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ.N39ა მისაღები (მიანიშნეთ შპს "ბურჯი" კონკურსისათვის)
ტელ.: 25-34-86, 25-34-87
FAX: 25-34-93
E-mail:office@inter-servise.com.ge

ორგანიზაცია არ გასცემს ახსნა-განმარტებებს კონკურსის შედეგების შესახებ

მთავარი სპეციალისტი (ელექტრო ინჟინერი; წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი; თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი, ავტო ტრანსპორტისა და მექანიზმების ინჟინერი)

გვესაჭიროება ენერგიული, კომუნიკაბელური კადრები მაღალ ანაზღაურებად სამუშაოზე. სამშენებლო ობიექტები განთავსებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები:
1. უმაღლესი ტექნიკური განათლება - ელექტრო ინჟინერი; წყალმომარაგება კანალიზაციის ინჟინერი; თბოაირმომარაგება, ვენტილაცია, კონდენცირების ინჟინერი, ავტო-მექანიკოსი (შესაბამისი სპეციალობით);
2. საპროექტო და საწარმოო მუშაობის გამოცდილება სპეციალისტად ან ხელმძღვანელად არანაკლებ 5 წელი;
3. დარგში თანამედროვე ტექნოლოგიების, საპროექტო გადაწყვეტების და მასალების ღრმა ცოდნა;
4. უცხოურ ფირმებში მუშაობის ან თანამშრომლობის გამოცდილება 1999წ.-დან 2004წ.-მდე;
5. სათანადო კომპიუტერულ პროგრამების ცოდნა Windows XP, MS Office, MS Internet Explorer, AutoCAD;
6. ინგლისური და რუსული ენების კარგი ცოდნა;

სამუშაოს შინაარსი:
პროექტის შესაბამის ნაწილში პრინციპული სქემების შემოწმება და გადაწყვეტილებების მიღება, საპროექტო დავალებების გაცემა შესაბამისი სპეცილობების პროექტანტებისთვის და მათი ხელმძღვანელობა. მონაწილეობის მიღება მომარაგების სამსახურთან ერთად საჭირო მასალების და დანადგარების მოძიებაში. მიღებული მასალების და დანადგარების კომპლექტაციის და ხარისხის შემოწმება. სამუშაოთა მწარმოებლებზე საჭირო რეკომენდაციების, სამონტაჟო სქემების გაცემა და სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობა. პირადი პასუხისმგებლობა მთელი ტექნიკური ციკლის ხარისხიან და დროულ შესრულებაზე.

ავტო ტრანსპორტისა და მექანიზმების ინჟინერისათვის: ავტო ტრანსპორტისა და მექანიზმების მომსახურებისა და ექსპლოატაციის კოორდინირება და მათი ხელმძღვანელობა მონაწილეობის მიღება მომარაგების სამსახურთან ერთად საჭირო მექანიზმებისა და სათადარიგო ნაწილების მოძიებაში. მიღებული მექანიზმებისა და სათადარიგო ნაწილების კომპლექტაციის და ხარისხის შემოწმება.

წარმოსადგენი საბუთები:
1. CV
2. განხორციელებული პროექტების დეტალური აღწერა.

საბუთები მიიღება 2004 წლის 15 ივლისამდე შემდეგ მისამართზე:
ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ.N39ა მისაღები (მიანიშნეთ შპს "ბურჯი" კონკურსისათვის)
ტელ.: 25-34-86, 25-34-87
FAX: 25-34-93
E-mail:office@inter-servise.com.ge

ორგანიზაცია არ გასცემს ახსნა-განმარტებებს კონკურსის შედეგების შესახებ

გაქცეული პატიმრებისთვის მიცემული ულტიმატუმის ვადა დღეს იწურება

გეგუთის კოლონიიდან გაქცეული ორი პატიმარი უკან საკუთარი ნებით დაბრუნდა.

გეგუთის კოლონიიდან გუშინწინ გაქცეულ პატიმართა ძებნა კვლავ მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს. შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ გაქცეულ პატიმართათვის მიცემული ვადა დღეს დილით იწურება. იმ შემთხვევაში, თუ სასჯურობილიდან გაქცეულები დილამდე ნებაყოფლობით დაბრუნდებიან და სამართალდამცველებს ჩაბარდებიან, ციხიდან გაქცევის ბრალდება, ირაკლი ოქრუაშვილის დაპირების მიხედვით, მათ სასჯელს აღარ დაემატება.

შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება (სამართალდამცველებთან ნებაყოფლობით გამოცხადების შესახებ) გაქცეულ პატიმართაგან ორმა გუშინ უკვე მიიღო. 18 წლის კობა სირაძე ქუთაისელ სამართალდამცველებს თავად "ეახლა". ჩვენი ინფორმაციით, იგი ძარცვისთვის იყო გასამართლებული და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, სასჯელის ათი თვე მას უკვე მოხდილი აქვს.

გუშინ დილით მსჯავრდებულ კობა სირაძის მსგავსად, აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროში ნებაყოფლობით გამოცხადდა გეგუთის კოლონიიდან გაქცეული პატიმარი, 21 წლის გიორგი თურმანიძე, რომელიც სასჯელს ქურდობისთვის იხდიდა. სამართალდამცველებთან ნებაყოფლობით მისული ორივე მსჯავრდებული გუშინვე გეგუთის კოლონიაში დააბრუნეს. ორივე მათგანის მიმართ ციხიდან გაქცევის მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმე, შინაგან საქმეთა მინისტრის დაპირებისამებრ, გუშინვე შეწყდა.

რაც შეეხება გეგუთის მერვე საერთო რეჟიმის დაწესებულების თანამშრომლებს, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხზეც გაქცევის წუთიდან საუბრობენ ძალოვანები: პატიმართა ფართომასშტაბიანი, უპრობლემო გაქცევის გამო ამ კოლონიის უფროსი ამბერკი რობაქიძე, მისი ორი მოადგილე და კოლონიის კიდევ რამდენიმე თანამშრომელი უკვე გაათავისუფლეს თანამდებობებიდან. მათ უკვე წაუყენეს სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდება. "ისინი ეჭვმიტანილები არიან სამსახურებრივ გულგრილობაში და მათ მიმართ საგამოძიებო ღონისძიებები ხორციელდება", - აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში

იუსტიციის სამინისტრომ სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში უსაფრთხოების ზომები გაამკაცრა. სისტემის თანამშრომლები ყაზარმულ რეჟიმში მუშაობენ. გაქცევის შემდეგ გეგუთის კოლონიაში ჩხრეკა ჩატარდა. ჩხრეკის შედეგად პატიმართა ერთ-ერთ საცხოვრებელ ბარაკში პისტოლეტი აღმოაჩინეს. უკანონო საგნების ამოღების მიზნით გუშინ ქუთაისის №2 საპყრობილეშიც მოულოდნელად ჩატარდა ჩხრეკა. როგორც ამბობენ, ამ საპყრობილეში მყოფი ე. წ. კრიმინალური ავტორიტეტები თბილისში გადმოიყვანეს.

ერთი სიტყვით, გეგუთის კოლონიიდან გაქცეული 41 პატიმრიდან ამჟამად კიდევ 33 მსჯავრდებული იძებნება. სულ სამართალდამცველების მიერ დაკავებულია 6 ძებნილი, ორი - ნებაყოფლობით ჩაბარდა.

24 საათი

"შავი სამყაროს" ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება

შინაგან საქმეთა სამინისტრო "კანონიერი ქურდების" წინაღმდეგ ბრძოლას კვლავ აქტიურად განაგრძობს. პოლიციის მთავარ სამმართველოში თანამდებობებზე ახლად დანიშნული მაღალჩინოსანი პოლიციელები აცხადებენ, რომ "კანოიერი ქურდების" ინსტიტუტი ცოტა ხანში საერთოდ აღარ იარსებებს.

"ჩვენს პრიორიტეტულ საქმიანობად კვლავ "შავი სამყაროს" ავტორიტეტებთან ბრძოლა რჩება. ამ მხრივ აქამდე უკვე ბევრი საქმე გაკეთდა, თუმცა კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი", - აცხადებს პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე პაატა ჟღენტი და "შავი სამყაროს" წინააღმდეგ ბრძოლის აქტიურ ფაზაში შესვლის მაგალითად მოჰყავს კიდევ ერთი "კანონიერი ქურდის" - მამუკა ირემაშვილის (მეტსახელად - "სიოს") დაკავების ფაქტი. "სიო" პირველია, ვინც ახლად დანიშნული მაღალჩინოსანი პოლიციელების ხელში მოხვდა. აქამდე დაკავებული ეგრეთ წოდებული "კანონიერი ქურდების" დაკავების მიზეზის მსგავსად, "სიოს" დაკავების საბაბიც ნარკოტიკი აღმოჩნდა. სამართალდამცველთა მტკიცებით, მამუკა ირემაშვილს პირადი ჩხრეკისას 0,04 გრ. "ჰეროინი" უპოვეს.

სხვათა შორის, მამუკა ირემაშვილი ხუთჯერ ნასამართლევია. სხვადასხვა დროს მისი დაკავების ფაქტების შესახებ "24 საათი" უკვე წერდა. ბოლოს ის რამდენიმე თვის წინათ დააკავა ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციამ. მისი გათავისუფლების მიზეზი დღემდე უცნობია. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, "შავი სამყაროს" ავტორიტეტული წარმომადგენელი - "სიო" - დაკავების შემდეგ ფსიქიატრიულ კლინიკაში იყო მოთავსებული, შემდეგ კი ციხეში აღარ დაუბრუნებიათ.

ერთი სიტყვით, "კანონიერ ქურდებს" სამართალდამცველები კვლავ მუქარას უთვლიან და უკომპრომისო ბრძოლას უცხადებენ.

თბილისის პოლიციის სამმართველოში გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის ქება-დიდება ისმოდა. ამ რაიონის სამართალდამცველებმა გუშინწინ, გვიან ღამით მომხდარი მძიმე დანაშაული ცხელ კვალზე გახსნეს და ძარცვის მიზნით რესპუბლიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ მინიმარკეტში შევარდნილი დამნაშავე, რომელმაც მაღაზიის მეპატრონე გულ-მკერდის არეში დანით მძიმედ დაჭრა, ოპერატიულად დააკავეს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი ირაკლი კლდიაშვილი, მის მსგავსად, რაიონების პოლიციის უფროსების თანამდებობებზე დანიშნულ "ძველ ახალ კადრებს" თანამშრომლების შერჩევის სრულ თავისუფლებას და ერთთვიან ვადას აძლევს. **"იმ შემთხვევაში, თუ რაიონული პოლიციის ხელმძღვანელები თავს ვერ გაართმევენ სამუშაოს და მათთან ვინმეს პრეტენზიები ექნება, ისინი საკუთარ გუნდთან ერთად დატოვებენ თანამდებობებს"**, - აცხადებს შინაგან საქმეთა მისნისტრის მოადგილე და თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ირაკლი კლდიაშვილი.

24 საათი

სამართალდამცველთა რიგებს კიდევ ერთი მექრთამე პოლიციელი მოაკლდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ახალი შემადგენლობა პოლიციელთა რიგების წმენდას ახალი შემართებით იწყებს. სხვა დანაშაულში მხილებული თანამშრომლების პარალელულად, აქტიურად მიმდინარეობს იმ პოლიციელების გამოვლენა, რომლებსაც სკუთარი საქმიანობა ქრთამის აღებაზე აქვთ დამყარებული. აქამდე თუ სამართალდამცველები ქრთამის აღების თუ გამოძალვის ფაქტებს ყველაზე რთულად გამოსავლენ დანაშაულად მიიჩნევდნენ, ბოლო პერიოდში, როგორც ჩანს, ეს პრობლემა თანდათან გვარდება.

გუშინ შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ კიდევ ერთი მექრთამე პოლიციელი გამოავლინა და დააპატიმრა კიდეც.

გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის №7 განყოფილების უბნის ინსპექტორი, პოლიციის მაიორი ანზორ დარბინიანი გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ქრთამის აღების მომენტში დააკავეს. აღნიშნული სამსახურის უფროსის ზაზა ქაჩიბაიას განცხადებით, პოლიციის მაიორი ქრთამს სძალავდა რამდენიმე დღის წინათ ხულიგნობის გამო დაკავებული პიროვნების ახლობლებს. დაკავებულის გასათავისუფლებლად დარბინიანი ჯერ 200 ლარს ითხოვდა, მოგვიანებით - 100, საბოლოოდ კი 50 ლარს დასჯერდა. აღნიშნული გამოძალვის შესახებ ინფორმაცია გენერალურ ინსპექციას წინასწარ ჰქონდა. როგორც ქაჩიბაია ირწმუნება, დანაშაულში ეჭვმიტანილი პოლიციელის დაკავება პროცესუალური ნორმების სრული დაცვით ჩატარდა, რაც ფარულ ვიდეოკამერაზეც არის დაფიქსირებული.

ანზორ დარბინიანი ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. გენერალური ინსპექციის უფროსის თქმით, ქრთამის გამოძალვის მუხლით მას ბრალი დღეს წარედგინება, რაც ხუთიდან ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითავალისწინებს.

ნარკოტიკები და აჭარის პოლიციის თანამშრომლები

თამარ კაკიტაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა რომ ნარკობიზნესის "ოაზისია", ამაზე საუბარი ჯერ კიდევ რევოლუციამდე შინაგან საქმთა მაშინდელმა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ დაიწყო. მაშინ ისიც ითქვა, რომ ნარკოდანაშაულში უშუალოდ იქაური სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლები იყვნენ ჩართულნი და ამ "ბიზნესს" სწორედ პოლიციის მაღალჩინოსნები უწევდნენ მფარველობას. სხვათა შორის, ბარამიძის მტკიცებით, შესაბამისი დოკუმენტებიც არსებობდა, რასაც ასლან აბაშიძე კატეგორიულად უარყოფდა. მართალია, აღნიშნული "მტკიცებულებები" დღემდე არავის გამოუმზეურებია, მაგრამ ბოლო დღეებში ნარკოტიკებთან დაკავშირებით მხილებული აჭარელი პოლიციელების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ყოფილი შს მინისტრის ნათქვამში ეჭვის შეტანა, ალბათ, გაჭირდება.

ცოტა ხნის წინათ თბილისსა და დანარჩენ საქართველოში პოლიციელების რიგებში დაწყებულმა წმენდამ აჭრაში გადაინაცვლა და "პირველივე ცდაზე" ნარკოტიკებთან დაკავშირებული არც თუ ცოტა მაღალჩინოსანი პოლიციელი გამოვლინდა.

რამდენიმე დღის განმავლობაში შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის, აჭარის შს სამინისტროს შესაბამისი სამსახურისა და სს "ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის" თანამშრომლების მიერ ერთობლივად ჩატარებული შემოწმების შედეგად ნარკოტიკული ნივთიერების მიღების ფაქტი დაუდგინდა: აჭარის სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს რკინიგზის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსს, პოლიციის მაიორს ა. დევაძეს, პორტის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსს, პოლიციის კაპიტანს შ. ნათელაშვილს, ხელვაჩაურის შს განყოფილების მახინჯაურის პოლიციის ქვეგანყოფილების საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ჯგუფის ინსპექტორს, პოლიციის მაიორს დ. ბერიძეს, ამავე ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს ჯგუფის ინსპექტორს, პოლიციის უფროს ლეიტენანტ ბ. ქორიძეს, აჭარის შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს ძებნის განყოფილების ინსპექტორს, პოლიციის ზემდეგს მ. დავითაძეს და ბათუმის შს სამმართველოს ეკოლოგიის პოლიციის განყოფილების ინსპექტორს, პოლიციის უმცროს ლეიტენანტს თ. აბესლამიძეს.

სხვათა შორის, აჭარის შპს "ნარკოლოგიურ ცენტრში" შეაწყვეს მაგალითად მოჰყავს კიდევ ერთი "კანონიერი ქურდის" - მამუკა ირემაშვილის (მეტსახელად - "სიოს") დაკავების ფაქტი. "სიო" პირველია, ვინც ახლად დანიშნული მაღალჩინოსანი პოლიციელების ხელში მოხვდა. აქამდე დაკავებული ეგრეთ წოდებული "კანონიერი ქურდების" დაკავების მიზეზის მსგავსად, "სიოს" დაკავების საბაბიც ნარკოტიკი აღმოჩნდა. სამართალდამცველთა მტკიცებით, მამუკა ირემაშვილს პირადი ჩხრეკისას 0,04 გრ. "ჰეროინი" უპოვეს.

სხვათა შორის, მამუკა ირემაშვილი ხუთჯერ ნასამართლევია. სხვადასხვა დროს მისი დაკავების ფაქტების შესახებ "24 საათი" უკვე წერდა. ბოლოს ის რამდენიმე თვის წინათ დააკავა ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციამ. მისი გათავისუფლების მიზეზი დღემდე უცნობია. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, "შავი სამყაროს" ავტორიტეტული წარმომადგენელი - "სიო" - დაკავების შემდეგ ფსიქიატრიულ კლინიკაში იყო მოთავსებული, შემდეგ კი ციხეში აღარ დაუბრუნებიათ.

ერთი სიტყვით, "კანონიერ ქურდებს" სამართალდამცველები კვლავ მუქარას უთვლიან და უკომპრომისო ბრძოლას უცხადებენ.

თბილისის პოლიციის სამმართველოში გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის ქება-დიდება ისმოდა. ამ რაიონის სამართალდამცველებმა გუშინწინ, გვიან ღამით მომხდარი მძიმე დანაშაული ცხელ კვალზე გახსნეს და ძარცვის მიზნით რესპუბლიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ მინიმარკეტში შევარდნილი დამნაშავე, რომელმაც მაღაზიის მეპატრონე გულ-მკერდის არეში დანით მძიმედ დაჭრა, ოპერატიულად დააკავეს.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი ირაკლი კლდიაშვილი, მის მსგავსად, რაიონების პოლიციის უფროსების თანამდებობებზე დანიშნულ "ძველ ახალ კადრებს" თანამშრომლების შერჩევის სრულ თავისუფლებას და ერთთვიან ვადას აძლევს. **"იმ შემთხვევაში, თუ რაიონული პოლიციის ხელმძღვანელები თავს ვერ გაართმევენ სამუშაოს და მათთან ვინმეს პრეტენზიები ექნება, ისინი საკუთარ გუნდთან ერთად დატოვებენ თანამდებობებს"**, - აცხადებს შინაგან საქმეთა მისნისტრის მოადგილე და თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ირაკლი კლდიაშვილი.

24 საათი

რა ხდებოდა და რა ხდება კოდორის ხეობაში?

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"...ემზარ კვიციანი დაბრუნდა, დაბრუნდა ივერი ჭელიძესთან ერთად. ისინი კი სწორედ იმ დროს მოვიდნენ, როცა ხეობაში ყველაფერი აწყობილი იყო, ჰუმანიტარული დახმარება იმდენი მოგვდიოდა, რომ ხალხი წიწიბურას საქონელს აჭმევდა... კარგად მოგვარებულ საქმეში კი მათ ფულის კეთების შანსი მიეცათ. კაცი მომიგზავნეს, გენერალი - ჩვენ გვერდით დადექი, ერთად ვაკეთოთ ფული, ან იქნები თეთრი ყორანიო. როგორ ვაკეთოთ ფული? ამასაც გეტყვით, რას მთავაზობდნენ - გაერო-ს წარმომადგენლების გატაცებას!" - ნუგზარ ფანგანის ინტერვიუს ამ ეპიზოდით აღშფოთებული ივერი ჭელიძე, საკუთარ უდანაშაულობაზე საუბართან ერთად, გამაფრთხილებელ მესიჯებს საქართველოს ხელისუფლებასაც უგზავნის.

"ნუგზარ ფანგანისა და ემზარ კვიციანის დაპირისპირების კონტექსტში ჩემმა გვარმა მეტად არასასიამოვნო კონტექსტში გაიჟღერა, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ივერი ჭელიძემ, - **მე ახლა არ მოვყვები ტყუილ-მართლის გარჩევას, მხოლოდ ეჭვს გამოვთქვამ, რომ ამ ინტერვიუში ნუგზარ ფანგანი შესაძლოა სხვა რამესაც ისევე იტყუებოდეს, როგორც ჩემთან მიმართებაში აკეთებს ამას. მისი ნალაპარაკები გაერო-ს წევრების გატაცების ჩემგან შეთავაზების შესახებ ბუნტურია და მეტი არაფერი".**

ჭელიძის თქმით, პრეზიდენტის მიერ ხეობაში რწმუნებულის დანიშვნამდე კოდორს, ფაქტობრივად, შინაგან საქმეთა სამინისტრო აკონტროლებდა, რომლის დაქვემდებარებაში მყოფი შინაგანი ჯარის ნაწილის ხელმძღვანელი ნუგზარ ფანგანი გახლდათ.

"მათ ხეობაში წესრიგის დაცვა ევალებოდათ, მაგრამ იმ პერიოდში 52 მკვლელობა მოხდა კოდორში, აქედან უმეტესობაში სწორედ შინაგანი ჯარის წარმომადგენლები იყვნენ ჩარეულნი. ახლა რომ ამბობს, მე ყველაფერი წესრიგში მქონდაო, ესაა წესრიგი?" - კითხულობს ყოფილი რწმუნებული. თუმცა, კოდორის ხელმძღვანელობის ადგილობრივ ოპოზიციას ამ არგუმენტის საწინააღმდეგო მოსაზრებები აქვს; კერძოდ, ის, რომ შინაგანი ჯარის ხეობაში განლაგებით უკმაყოფილო ემზარ კვიციანი შინაგანი ჯარის ჯარისკაცებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაპირისპირებას თავად უკეთებდა პროვოცირებას.

რაც შეეხება ივერი ჭელიძის ჩასვლას კოდორში და ხეობის სათავეში მოქცევას, როგორც იგი აცხადებს: **"1998 წელს, ქართული პოლიტიკის უდიდესი შეცდომის შედეგად, მოგეხსენებათ, გალში სამარი მოქმედებები დაიწყო. ამ ბრძოლების კრახით დასრულების შემდეგ დამირეკა პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა კოდორის ხეობის პრობლემებში. მან მითხრა, რომ პრეზიდენტი მიბარებდა. იქვე დაამატა - უარი არაფერზე უთხრაო. პრეზიდენტმა კი მაცნობა, რომ კოდორის ხეობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო ჩემი იქ ჩასვლა და ხეობის სათავეში ჩადგომა. მე საქართველოს პრეზიდენტს უარს ვერ ვეტყოდი"**.

ივერი ჭელიძის ნაამბობის თანახმად, მას კოდორში ძალზე მძიმე სიტუაცია დახვდა, თუმცა ბევრის გამოსწორება მოახერხა: **"წარმოიდგინეთ, ხეობაში ორი ისეთი გვარი არ იყო, ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა რომ ჰქონოდა, ერთმანეთზე შურისძიება ჰქონდათ მხოლოდ საფიქრალი. ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა ფეთქებადი იყო, სკოლაში ბავშვები ავტომატებით დადიოდნენ. ასეთ პირობებში ყრილობებით, შეხვედრებით, საუბრებით, შემრიგებელი კომისიების დახმარებით მეტნაკლებად შევძელით სიტუაციის დარეგულირება. დავიწყეთ ჯარში გაწვევა - ახალგაზრდებს საშუალება მივეცით, კოდორის ტყეებში შეფარებულ კრიმინალებს მოშორებოდნენ. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მოვახერხეთ კოდორელებისთვის ლიმიტის გამოყოფა და ყოველწლიურად 50-მდე იქაური ახალგაზრდა ემზადებოდა და უმაღლეს სასწავლებელში აბარებდა.**

ერთი მიზანი იყო ახალგაზრდების მოშორება კოდორის ხეობაში მყოფი კრიმინალებისგან, მეორე - სოციალური პრობლემების მოგვარება. დავსხედით, დავთვალეთ მოსახლეობის რაოდენობა და მათი საჭიროება. ვიანგარიშეთ, რამდენი იყო საჭირო შაქარი, მარილი, ზეთი, ასანთი, ფქვილი, საწვავი და პრეზიდენტს წარვუდგინეთ. დღემდე გრძელდება კოდორის ხეობისთვის უსასყიდლოდ ყველაფრის მოწოდება. ვერტმფრენებიც ყოველ დღე დაფრინავდა, გზების კეთილმოწყობა და ხიდების აღდგენა... რაც შეგვეძლო გავაკეთეთ. მსოფლიო ბანკის დახმარებით ევროპის სტანდარტების შესაბამისი საავადმყოფო ავაშენეთ, ხალხი დავასაქმეთ".

ეს ივერი ჭელიძის მიერ დახატული კოდორის ხეობის ის სურათი გახლავთ, რომელიც, მისი თქმით, ემზარ კვიციანს "გადაულოცა".

სულ სხვა სიმართლე აქვთ ემზარ კვიციანის ოპოზიციაში მყოფ კოდორელთა ერთ ნაწილს, რომელთა წერილიც "24 საათში" ორიოდ თვის წინათ გამოქვეყნდა. შეგახსენებთ მხოლოდ ერთ მცირე მონაკვეთს ამ წერილიდან: **"იმ პირობებში, როდესაც კოდორის ხეობისთვის საკმაოდ სოლიდური თანხები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხეობა დღემდე ბედის ანაბარაა მიტოვებული. ძნელი მისახვედრი არ არის, სად მიდის გამოყოფილი სახსრები თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კოდორში არ ფუნქციონირებს ჯანდაცვის დაწესებულებები, არ არის მედიკამენტები, ელემენტარული სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დაკავშირებულია დიდ პრობლემებთან, სტაციონარულ მომსახურებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საიდუმლო არ არის, რომ კოდორში გზების მშენებლობისა და ხიდების შეკეთებისთვის არა ერთი ათასი ლარი გამოიყო, რეალურად კი - გზები ხეობაში საშინელ მდგომარეობაშია. ამის დასადასტურებლად ერთი საზარელი მაგალითის მოყვანაც კმარა, როდესაც 2001 წლის 3 ოქტომბერს კოდორის სათავესთან მდებარე ყველაზე სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდის (მჟავე წყლების ხიდის) ჩატეხვის შედეგად დაიღუპა ცხრა ადამიანი, მათ შორის - ქალები და ბავშვები.**

ხეობის მმართველებისთვის სერიოზული პრეტენზიების წასაყენებლად ისიც კმარა, რომ ხალხს, 30-ლარიანი ფქვილის ნაცვლად (როგორც ეს დოკუმენტაციაშია აღნიშნული), 12-ლარიანი ქატონარევი, შავი ფქვილი დაურიგეს."

ვინ არის მართალი? რა ხდებოდა და რა ხდება სინამდვილეში კოდორის ხეობაში? ამაში გარკვევა, ალბათ, საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს, იმ ხელისუფლებას, რომელსაც ივერი ჭელიძე ერთგვარ გამაფრთხილებელ მესიჯს უგზავნის:

"თუ ამ ინტერვიუში (საუბარია ნუგზარ ფანგანის ინტერვიუზე - რედ.) ხელისუფლების ხელი ურევია და ხელისუფლებიდან ვინმეს სურს, რომ ამ ხერხით დაშალოს კოდორის ხეობაში სხვადასხვა სტრუქტურები, მინდა ვუთხრა, რომ ეს იქნება დამღუპველი. ემზარ კვიციანი ამას არ მოითმენს. თუ ხელისუფლებას იქაური ხელმძღვანელობის გადაყენება სურს, პირდაპირ მიმართოს მას, ეს ხერხი კი დამღუპველი იქნება. კვიციანთან მიტინგების მსგავსი ფორმით ბრძოლა არ შეიძლება".

ძნელი სათქმელია, ასევე ფიქრობს თუ არა ემზარ კვიციანი.

P.S. ნუგზარ ფანგანი ბოდიშს უხდის არა ივერი ჭელიძეს, არამედ გაზეთ "24 საათის" რედაქციას, რადგანაც საუბრისას ნათლად ვერ გამოთქვა საკუთარი აზრი. მისი თქმით: **"მე არ მაქვს იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ გაერო-ს წარმომადგენელთა გატაცების შემომთავაზებელი გენერალი ივერი ჭელიძისა და ემზარ კვიციანის სახელით მოქმედებდა. მეტიც, მე მიმაჩნია, რომ ამ საქმეში გაცილებით მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ ჩარეულნი"**.

"მეფემ არ იცის, თორემ..."

ჰენრი კუპრაშვილი
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

რევოლუცია

(ყველა წარმატების საფუძველი და საწინდარი)

საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ტემპები კატასტროფის არსებობისათვის პრინციპულად სრულიად ახალ პირობებს ქმნიან. სულ უფრო იზრდება ინფორმაციის როლი და მნიშვნელობა. იგი გახდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული რესურსი. დასაბამი ეძლევა ეკონომიკური და სოციალური პროცესების არნახულ ინტენსიფიკაციას გლობალურ და ეროვნულ დონეებზე. მოსალოდნელია რომ ადამიანის ცხოვრების წესმა კარდინალური ცვლილებები განიცადოს. უახლოეს ხანში შეიძლება, დროისა და სივრცის ფაქტორებმაც კი დაკარგონ თავდაპირველი მნიშვნელობა (შესაბამისად, თუ ფეხს არ ავუწყობთ საინფორმაციო ეპოქას, აუცილებლად შეექმნება საშიშროება ეროვნული იერსახისა და მეობის შენარჩუნებას, ამიტომ ამ საფრთხის თავიდან აცილებისათვის გააზრებული პოლიტიკით ახლავე უნდა ჩაეყაროს საფუძველი საქმიანობას).

პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა პრობლემების გადაწყვეტაში წარმატების მისაღწევად ინფორმაციული საქმიანობა იყო, არის და მომავალში უფრო მეტად იქნება ყველაზე ეფექტური და ქმედითი იარაღი.

ქვეყნის გეოპოლიტიკური პოტენციალი, ანუ მისი პოლიტიკური შესაძლებლობანი გლობალურ მასშტაბში, დღეს უკვე განისაზღვრება არა იმდენად ტერიტორიის მდებარეობითა და ზომებით, მოსახლეობის რაოდენობით, რამდენადაც - ინფორმაციული რესურსებითა და საკომუნიკაციო შესაძლებლობებით; შესაბამისად, თანამედროვე ეპოქაში ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სტრატეგიაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ინფორმაციის ფაქტორი.

"სოფლის შენებას რა უნდა?" (მაპანნი რისთვის ხარჯავენ კოლოსალურ თანხებს?)

ინფორმაციის ყოვლისშემძლეობაზე მიუთითებს გერმანული პოლიტოლოგიური სკოლა: ფლობდე მნიშვნელოვან ინფორმაციას - ნიშნავს გქონდეს ძალაუფლება; შეგეძლოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის უმნიშვნელოსაგან გარჩევა - ნიშნავს იყო უფრო მეტი ძალაუფლების მფლობელი; მნიშვნელოვანი ინფორმაციის საკუთარი რეჟისურით გავრცელების ან მისი მიჩუმათების შესაძლებლობა ნიშნავს - ორმაგი ძალაუფლების ფლობას.

ცნობილი ამერიკელი ინფორმაციოლოგის ალვინ ტოფლერის თქმით, დღეს ძალაუფლების ყველაზე ეფექტიანი ინსტრუმენტია ინფორმაცია, რომელიც იძლევა საშუალებას, რესურსების მინიმალური დანახარჯებით მიაღწიო დასახულ მიზანს; ადამიანები დაარწმუნო ამ მიზნებით მათ პირად დაინტერესებაში; მოწინააღმდეგეები აქციო მოკავშირეებად. იგი შემდეგ კიდევ უფრო აკონკრეტებს - ძალაუფლებას ის ფლობს, ვინც ფლობს ინფორმაციას ინფორმაციის შესახებ.

ინფორმაციის პრობლემის მნიშვნელობაზე მოწმობს, მაგალითად, საქართველოსთან დაკავშირებული ორი "ფრანგული" ფაქტი.

ცნობილია, რომ 1700 წელს ლუი XIV-მ, როდესაც მისმა აღმოსავლურმა პოლიტიკამ მოითხოვა, თავისთან იხმო ცნობილი ბოტანიკოსი ჟოზეფ ტურნეფორი და გაუშვა სამეცნიერო ექსპედიციაში საბერძნეთში, აზიასა (მათ შორის საქართველოში) და აფრიკაში. ამ ძალიან ძვირადღირებული მოგზაურობის მთელი ხარჯი, რა თქმა უნდა, სახელმწიფომ აიღო თავის თავზე. მთავარი პირობა ის იყო, რომ მცენარეების შესწავლა-შეგროვების პარალელურად, მეფის უშუალო დავალებით მეცნიერს უნდა შეესწავლა და დეტალური ინფორმაცია წარედგინა არჩეული ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

აქედან გამომდინარე, არცაა გასაკვირი, რომ იმ დროს ფრანგი პოლიტიკოსები (რომლებიც სხვადასხვა წყაროდან დეტალურ ინფორმაციას ფლობდნენ საქართველოს შესახებ) უკეთესად **"ხედავდნენ"** და აფასებდნენ პოლიტიკურ მოვლენებს, ვიდრე "უშედეგო" ქართველი პოლიტიკოსები, მათ შორის, ვახტანგ VI და სულხან-საბა ორბელიანი (რაც სამშობლოს ტრაგიკული ბედით შეწუხებული ამ მოღვაწის ამაგს ქვეყნის წინაშე, რა თქმა უნდა, არ აუფერულებს), რომელიც, ზუსტად 290 წლის წინ, 1714 წლის აპრილში ემოციებზე დაფუძნებული სურვილებით წარდგა ლუი XIV-ის წინაშე.

სულ ახლახან, იმავე საფრანგეთში, მნიშვნელოვანი თანხები გაიღეს იმისათვის, რომ შეეკრიბათ ინფორმაცია და შეექმნათ კავკასიის გეოინფორმაციული ატლასი. დღეს დაინტერესებულ ფრანგს თავისი კომპიუტერიდან შეუძლია კავკასიის, მათ შორის საქართველოს, ნებისმიერი რაიონის(!) შესახებ მიიღოს უახლესი, მისთვის საჭირო ზუსტი ინფორმაცია (მოსახლეობა, ეროვნება, ნათესები, საქონლის სულადობა, მდინარეები, უღელტეხილები, გზები, ქალაქები და სხვ. - სულ 68 პარამეტრი) ნებისმიერი გრაფიკული გამოსახულებით.

პროგრამა საშუალებას იძლევა, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაემატოს ახალი პარამეტრები. ამასთან, შეიძლება ახალი რუკების შედგენა ან ბაზაში არსებული ნებისმიერი ინფორმაციის ცხრილებისა და გრაფიკული გამოსახულების, რუკების სახით ამობეჭდვა და დაინტერესებული პირებისათვის ოპერატიულად მიწოდება, რომელიმე რეგიონში მოულოდნელად შექმნილ კრიზისულ თუ ოპერატიულ ვითარებასთან დაკავშირებით (დიდი ძალისხმევის შემდეგ ეს პროგრამა ეროვნული უშიშროების საბჭომაც შეიძინა).

ფრანგმა პოლიტიკოსებმა კარგად იციან ინფორმაციის ფასი და მის მოსაპოვებლად სახსრებსაც არ იშურებენ.

საქართველოში ასეთი **ამომწურავი და ზუსტი** ინფორმაციის მოპოვება საჯარო თანამდებობების პირველ პირთათვისაც ძალიან ძნელია. ეს კარგად იცის მან, ვისაც შეხება ჰქონია ამ პრობლემასთან. ფაქტია, რომ ჩვენით დაინტერესებულ ზოგიერთ ქვეყანაში დღესაც გაცილებით მეტ ინფორმაციას ფლობენ ჩვენი ქვეყნის შესახებ.

საქართველოში დავით აღმაშენებლის შემდეგ ინფორმაცია დიდი პოლიტიკის რანგში არავის აუყვანია. დავითი კი ამისთვის ხარჯს არ ერიდებოდა (მაგალითად, საათივით აწყობილი მსტოვრის ინსტიტუტი). სწორედ მის მიერ ჩაყრილ საძირკველზე აღმოცენდა დიდი და ძლიერი საქართველო.

"...სულ ძილი, ძილი..." (ახალი ერა კი დიდი ხანია კარზე აბრახუნებს)

უკანასკნელ ათწლეულში ყველა განვითარებულმა ქვეყანამ მიიღო საკუთარი კონცეფცია და სახელმძღვანელო დოკუმენტები, შეიმუშავა სტრატეგია და ტაქტიკა მსოფლიოს განვითარების ახალი ინფორმაციული ერის დადგომასთან დაკავშირებით, მათ განახორციელეს შესაბამისი ღონისძიებები თავიანთ ქვეყნებში თანამედროვე საინფორმაციო სივრცის ფორმირებისათვის. სახელმწიფოთა მეთაურების მონაწილეობით ხშირად იმართება მსოფლიო ფორუმები გლობალური ინფორმაციული საზოგადოების პრობლემების შესახებ. მათთვის ნათელია, რომ **ამ საკითხში ჩამორჩენა, პრაქტიკულად მსოფლიოს ცივილიზებული განვითარების პროცესიდან ქვეყნის ამოვარდნას ნიშნავს.**

სამწუხაროდ, საქართველოში საინფორმაციო პოლიტიკა მიმდინარე საინფორმაციო რევოლუციის ტემპებს ვერ მიჰყვება და ვერ ამჟღავნებს შესაბამისი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების უნარს. რადგან სუსტია ინფორმაციის, როგორც სტრატეგიული რესურსის გაცნობიერების ხარისხი, არ არის განსაზღვრული საინფორმაციო სივრცის მართვისადმი სისტემური მიდგომა, მისი მეთოდოლოგიური საფუძვლები და სტრატეგიული მიზნები, არ არსებობს ერთიანი აზრი საინფორმაციო პოლიტიკის შინაარსის და ქვეყნისათვის მისი გადაუდებელი საჭიროების შესახებ. შესაბამისად, ქვეყანას არ გააჩნია ჩამოყალიბებული და სამოქმედოდ შემოღებული თანამიმდევრული და მიზანმიმართული სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა აუცილებლად უსუსურ მდგომარეობაში აღმოჩნდება ახალი ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით; კატასტროფული იქნება მისი ქრონიკული ჩამორჩენა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო განვითარების საქმეში.

დღეს **საქართველო წინწასული სახელმწიფოებისათვის მუდმივი პოლიტიკური და ეკონომიკური მანიპულირების ობიექტია, მომავალში წარმოუდგენლად უარესი ვითარება იქნება**.

რა არის სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკა?

სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკა ჩვენთან ზოგს ძალიან მარტივად ესმის და მხოლოდ მასმედიასთან ურთიერთობებში აიგივებს. სინამდვილეში, **სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკის მრავალფუნქციური კომპლექსური ამოცანაა ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სახით ჩამოაყალიბოს და განავითაროს**: 1. ქვეყნის ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნის საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი სისტემა; 2. ეროვნული (სახელმწიფო და არასახელმწიფო) საინფორმაციო რესურსების სისტემა; 3. საინფორმაციო ანალიზისა და პროგნოზირების ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრების მართვის სისტემა; 4. ეროვნული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა; 5. საინფორმაციო ინდუსტრიის სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პოტენციალი; 6. საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების ბაზარი; 7. უწყვეტი მასობრივი საინფორმაციო განათლების, საინფორმაციო სფეროსათვის პროფესიული კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა; 8. სახელმწიფო მმართველობის ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემა; 9. საინფორმაციო სფეროში ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა - ინფორმაციული უშიშროების (პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს) უზრუნველყოფის სისტემა, 10. ინფორმაციული სიღარიბისა და ციფრული უთანასწორობის დაძლევის სისტემა და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სისტემის ერთიანი საერთო-სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სახით ჩამოყალიბებისა და განვითარების ფაქტორებია საინფორმაციო პოლიტიკის საფუძველი.

ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლება თამამად ლაპარაკი მასმედიაზე, მოქალაქეთა უფლებათა დაცვის და კონსტიტუციით ინფორმაციის გარანტირებული საყოველთაოდ ხელმისაწვდომობის ორგანიზაციის, აგრეთვე ინფორმაციული უშიშროების ასპექტებზე და ა.შ. **სახელმწიფო საინფორმაციო პოლიტიკა არის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი და მოიცავს საზოგადოების ქმედების ყველა სფეროს**.

ასეთ მასშტაბებს ვინ ჩივის, დამოუკიდებლობის პერიოდში **ვერ მოხერხდა უმაღლესი ხელისუფლების** (საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის) **ინფორმაციული უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემის შექმნაც კი**. ეს პრობლემა საქართველოში აქილევსის ქუსლად რჩება XXI (!!!) საუკუნეშიც. როგორი დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ეს პროცესი იმართება ტელეფონებზე ჩამოკიდებული ჩინოვნიკების გუნება-განწყობით და ზოგჯერ საეჭვო პროფესიონალიზმით.

აღნიშნული პრობლემის მოგვარების ცდა იწყება 1996 წელს (ბატონ ნუგზარ საჯაიას მდივნობის დროს), როდესაც სახელმწიფო საიდუმლოების დაცვითა და შესაბამის რეჟიმში (ამიტომაცაა უცნობი საზოგადოებისთვის ეს ფაქტი) კოლოსალური სამუშაო შესრულდა და ეროვნული უშიშროების საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის ბაზაზე დაიწყო ფორმირება სტრატეგიული ანალიზისა და გლობალური მოდელირების ავტომატიზებულმა სისტემა "დიდგორმა" (ხელმძღვანელი ჰ.კუპრაშვილი, სისტემური უზრუნველყოფა - თ.შარაშენიძე, კ.ოდიშარია, მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფა - რ.კუკავა, დ.ლეკიშვილი).

ფუნქციური ზიგზაგი

"ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, "ეროვნული უშიშროების საბჭოს ... ინფორმაციულ-ანალიტიკური საქმიანობა უნდა უზრუნველყოს მისმა აპარატმა", რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ხელისუფლებას ეროვნული უშიშროების პოლიტიკის (სტრატეგიული ამოცანების) შემუშავებასა და განხორციელებაში; ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული მიმდინარე (ტაქტიკური) ამოცანების გადაწყვეტაში.

ეროვნულ უშიშროებას პრობლემები ექმნება საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც საშინაო, ისე საგარეო სფეროებში (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვ.). **ამ პროცესების დამახასიათებელი ნიშნების დროულმა გამოვლენამ უნდა უზრუნველყოს მათ წინააღმდეგ ქმედებაზე ორიენტირებული წინმსწრები გადაწყვეტილებების ჩამოყალიბება და განხორციელება**. წინმსწრებ გადაწყვეტილებათა შესამუშავებლად კი აუცილებელია განისაზღვროს ზემოქმედების 1. მიზანი; 2. ფორმა; 3. ადგილი (სივრცობრივი ან სტრუქტურული); 4. დრო (პერიოდი); 5. ობიექტი.

ცხადია, ამ **ამოცანების გადაწყვეტას დიდი მოცულობის ინფორმაციის შეკრება, დაგროვება, დამუშავება და ანალიზი სჭირდება. ამასთანავე, აუცილებელია ამ პროცესში შესრულებული ინტელექტუალური ოპერაციების სისრულის უზრუნველყოფა**, კერძოდ: 1. ინფორმაციის აზრობრივი ინტერპრეტაცია; 2. ინფორმაციის მსგავსებადობის დონის განსაზღვრა; 3. ინფორმაციის სისრულის, უტყუარობისა და არაწინააღმდეგობრივი ხარისხის შეფასება; 4. ინფორმაციის თვისებების შეფასება, რომელიც გამომდინარეობს ინფორმაციაზე თვალის მიდევნების მიზნებიდან; 5. ინფორმაციის განზოგადება, დასკვნების ფორმირება და სხვ.

ამავე დროს, საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს გადაწყვეტილების მიღების ხარისხიანი და ეფექტიანი პროცესის ორგანიზების ხუთი ურთიერთდაკავშირებული პრინციპი: 1. დროის რეალური მასშტაბი; 2. მოხერხებული და ამომწურავი ინფორმირება; 3. პასუხისმგებლობა; 4. ადამიანისა და კომპიუტერული ტექნიკის შესაძლებლობათა ოპტიმალური შეხამება; 5. ადაპტირების მაღალი ხარისხი, ავტომატიზებული საშუალებების ევოლუციური დანერგვა, ანუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომხმარებლის მიერ უკვე გამოყენებული ყველა აპრობირებული და ჩვეული მეთოდის ადაპტაცია.

სწორედ ამ ამოცანების განხორციელების მოთხოვნებმა განაპირობა ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში იმგვარი სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელშიც სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, 1. მოხდებოდა სახელმწიფო ინტერესების პრიორიტეტულ სფეროებში მიმდინარე მდგომარეობის ინფორმაციული გამოსახულების მუდმივი ანალიზი; 2. გამოვლინდებოდა ამ სფეროებში სიტუაციის განვითარების ტენდენციები, აგრეთვე, მათ მდგომარეობაზე მოქმედი ცვლილებები და გადახრები; 3. დაგროვდებოდა ცოდნა ამგვარი ცვლილებებისა და შედეგების მიზეზების შესახებ; 4. გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა ეტაპზე, სისრულისა და უტყუარობის გარანტიით, წარედგინებოდა აუცილებელი ინფორმაცია, ადეკვატურ და ადვილად ინტერპრეტირებადი ფორმით და დროის საჭირო მომენტში.

ვერ შემდგარი დიდგორი

საინფორმაციო ანალიზისა და საინფორმაციო პროგნოზირების ტექნოლოგიის პრაქტიკაში ეფექტიანი განხორციელების **პირველი ქართული** მაგალითია "დიდგორი". მისი ფორმირების პროცესში განისაზღვრა ეროვნული უშიშროების საბჭოში **გადასაწყვეტ ამოცანათა კლასები**: თავდაცვა (5 ქვეამოცანით); უშიშროება (2); საშინაო (11); საგარეო (7), რეგიონი (7); მართვა (12) და შემოწმება (3);

დადგინდა "პირველი დონის ობიექტების" სტრუქტურა და "დიდგორის" სისტემაში პირველ ეტაპზე ჩასართველი 34 სახელმწიფო უწყების (სამინისტროები, მხარეები და სხვ.) ნუსხა;

შემუშავდა (და შეთანხმდა უწყებების ხელმძღვანელებთან) მოსაწოდებელი **ანალიტიკური ინფორმაციის ტიპები, შინაარსი, მოწოდების პერიოდულობა და წყაროები**;

მოსაწოდებელი ანალიტიკური ინფორმაცია დახარისხდა 425 საკითხად და დაიყო სამ სახედ - **საგანგებო, რეგლამენტური** და **საცნობარო**;

მომზადდა პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს შემოსული **ინფორმაციის განთავსებას მონაცემთა ბაზებში, გადასაწყვეტი ამოცანების მიხედვით, და ინფორმაციის მიღებას უფლებამოსილ პირთათვის ნებისმიერ დროს**. ამასთან, ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის უზრუნველყოფილია:

- სისტემიდან ნებისმიერი ინფორმაციის მოთხოვნისთანავე მიწოდება (საცნობარო ინფორმაცია);

- ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ანალიტიკური ინფორმაციის წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით მიწოდება (რეგლამენტური ინფორმაცია);

- ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებულ საგანგებო სიტუაციათა გამოვლენა და ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება (საგანგებო ინფორმაცია).

"დიდგორის" ფუნქციური სისტემა მოიცავს: ინფორმაციული ბაზის ფორმირებას (ინფორმაციის მიღება, დამუშავება, დაცვა); ინფორმაციულ უზრუნველყოფას; მონაცემებისა და ინფორმაციის გაცვლას, გადაწყვეტილებათა მიღებას; მიღებულ გადაწყვეტილებათა დაყვანასა და კონტროლს და სხვ.

ფუნქციური სტრუქტურა კი ხასიათდება ავტომატიზაციის რამდენიმე დონით. მაგალითად, ერთ-ერთმა დონემ, კერძოდ, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა, უნდა უზრუნველყოს გლობალური სტრატეგიული ინფორმაციის დამუშავება (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა მოვლენის საინფორმაციო-ანალიზური გამოკვლევა, არსებული ვითარების შეფასება, გამომუშავებული გადაწყვეტილების პროგნოზირება) ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის (სისტემის უმაღლესი დონე) მიერ გადაწყვეტილებათა ოპერატიული მიღების უზრუნველსაყოფად.

გადაწყვეტილებათა მიღების სისტემის უმთავრესი ფუნქციაა მონაცემთა ინტელექტუალური ანალიზის განხორციელება, რისთვისაც მას აქვს პრეცედენტებისა და ცოდნის ბაზა. შესაბამისად **გადაწყვეტილებათა მიღების სისტემა ექსპერტ-ანალიტიკოსებთან დიალოგში იძლევა მოვლენათა შეფასებას, ახორციელებს პროგნოზირებას და გადაწყვეტილებათა ვარიანტების შემუშავებას. სისტემას აქვს ანალიზის შედეგების ვიზუალიზაციისა და მომხმარებლებთან კავშირის (ინტერფეისი) განვითარებული საშუალებები**.

განხორციელებულ სამუშაოთა მასშტაბებისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, პერსპექტივაში გათვალისწინებულია:

ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში, მნიშვნელოვანი სტრატეგიული საკითხების შერჩევის, პროექტირების, სისტემური პროგრამების სრულყოფილი თეორიული და მეთოდური საფუძვლების მომზადებისა და დანერგვის მიზნით, განხორციელდეს აღნიშნული პრობლემის დამუშავებაში (პრობლემის პარამეტრიზაცია, კონცეფტუალური ალგორითმის მომზადება, პარამეტრთა წინადობებისა და პროგრამული მოდელის განსაზღვრა, მათემატიკური და პროგრამული ალგორითმების შემუშავება და სხვ.) უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო პოტენციალის ჩართვა;

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სისტემური პროგრამის შემდგომი მომზადებისა და სრულყოფის ხარისხის ამაღლებისა და ქვეყანაში პროფესიონალი პოლიტოლოგ-ანალიტიკოსების დეფიციტის დაძლევის მიზნით, აუცილებელია გამოყენებითი პოლიტოლოგიის ფაკულტეტის არსებობა, სადაც გათვალისწინებული იქნება პოლიტიკური მარკეტინგის, სისტემური ანალიზისა და საპოლიტიკო ჟურნალისტიკის სპეციალობებიც.

"ვის შევჩივლო? რუსთაველი მკვდარია"

"დიდგორის" ფუნქციური დატვირთვა გულისხმობს მასში შემავალი მრავალი პროგრამის კომპლექსურ მუშაობას. შესაბამისად, მიმდინარეობდა სხვადასხვა პროგრამის ("ბაზ-1", "მაც+", "ადმინ", "ვეტ" და სხვ.), მათ შორის, ინტელექტუალური სისტემების კომპლექსის შექმნის პროცესიც (გამოყენებულ იქნა სხვადასხვა მეთოდი - პოლიტომეტრული, სოციომეტრული, ეკონომეტრული და სხვ.).

"დიდგორის" ნაწილი და პირველი ასეთი ქართული პროდუქტია - პოლიტიკურ მოვლენათა პოლიტომეტრული მეთოდით ანალიზისა და პროგნოზირების პროგრამა "აისი" (ხელმძღვანელი ჰ.კუპრაშვილი, თეორიული უზრუნველყოფა - ჯ.ჯალიაშვილი, სისტემური უზრუნველყოფა - თ.შარაშენიძე, კ.ოდიშარია, მათემატიკური და პროგრამული უზრუნველყოფა - რ.კუკავა, დ.ლეკიშვილი).

ექსპერტული სისტემის საფუძველად აღებულ იქნა აშშ-ში, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, შექმნილი პოლიტომეტრული მეთოდი - კონკრეტული პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მახასიათლების შესწავლა და, ამ მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, მოვლენებისა და პროცესების ძირითადი ტენდენციების განსაზღვრა.

"აისი":

1. იძლევა პოლიტიკური მოვლენის მრავალ ასპექტში შესწავლის საშუალებას; 2. განსაზღვრავს რაოდენობრივ მახასიათებელთა თვისობრივ მნიშვნელობებს; 3. ადგენს მოვლენის ცვლილება-განვითარების ტენდენციებს; 4. გვაძლევს მოვლენათა წინმსწრები პროგნოზირებისა და გადაწყვეტილებათა გათვლის შესაძლებლობას, ანუ "აისი", მასში არსებული ინფორმაციული ბაზის საფუძველზე, **აანალიზებს შექმნილ სიტუაციას და იძლევა დასკვნებს (რჩევებს, განსახორციელებელი ღონისძიებების და შესაძლო შედეგების შესახებ)**, რაც ფასდაუდებელი მასალაა შემდეგი სრული კონცეფტუალური ანალიზისათვის.

დამოუკიდებლობის პერიოდში ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ **წინასწარი გათვლებისა და სიტუაციების მოდელირების გარეშე ბევრი მოუმზადებელი და ემოციური გადაწყვეტილება იქნა მიღებული**, რაც ქვეყანას ძალიან ძვირად დაუჯდა და რომელთა გამოსწორებას ათეული წლები სჭირდება. ადვილია ყველაფრის სხვა სახელმწიფოსათვის გადაბრალება. ბუნებრივია, მტერი თავისი ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, მთავარია, შენ მიიღო გაანალიზებული გონივრული გადაწყვეტილებები, მართო პროცესები და არ გაება მის ნაროლ ბადეში.

ამ პრობლემის გადაჭრაში დახმარების გასაწევადაა საჭირო "დიდგორი" და მისი მსგავსი სისტემები და თუ ისინი გამართულად იმუშავებენ, **ნაკლები იქნება პოლიტიკური რყევები და კატაკლიზმები, აღმოიფხვრება ყოველი წინა ხელისუფლების მიერ დაგროვილი ცოდნის განადგურების და მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე სწავლის არასახელმწიფოებრივი პრაქტიკა**.

დამარცხებათა საწინდარი

"დიდგორის" ამოქმედება ნიშნავდა **საქართველოს პრეზიდენტის რეალური ინფორმაციით გარანტირებულ უზრუნველყოფას, ხოლო, თითოეული სახელმწიფო უწყების საქმიანობა ხდებოდა მთლიანად გამჭვირვალე**. დიახ, ინფორმაციული უზრუნველყოფის სისტემის ამუშავების შემთხვევაში, **გარემოცვის** (ასევე, სამინისტროების, უწყებების...) **მიერ "შელამაზებული"** (არა სახელმწიფო ინტერესებით, არამედ საკუთარი სუბიექტური ინტერესებით) **ინფორმაცია ვეღარ იმუშავებდა**.

სხვადასხვა გარემოების გამო (გავლენის შესუსტებისა და ბერკეტების დაკარგვის შიში, უცხოეთის სპეცსამსახურების აგენტობა, საკითხებისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომა და სხვ.) პრეზიდენტის გარემოცვის ზოგიერთ წევრს და კორუფციაში ჩაფლულ მოხელეებს ხელს არ აძლევდათ სისტემის ამოქმედება.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ნუგზარ საჯაიას დროს დაიწყო ქართველი და უცხოელი სპეციალისტების მიერ მოწონებული "დიდგორის" დაბლოკვა. ყველა მცდელობა, მოხსენებოდა საქართველოს პრეზიდენტს მისივე განკარგულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ და გაცნობოდა ასამოქმედებლად გამზადებული "დიდგორის" შესაძლებლობები, დამთავრდა წარუმატებლად (ცნობილი ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში ედუარდ შევარდნაძე ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა - გარემოცვის მცდელობით, მიმდინარე პროცესების ამსახველ ობიექტურ ინფორმაციას ვეღარ იღებდა და მხოლოდ ცალმხრივად მიწოდებული ინფორმაციით სარგებლობდა).

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობაში არსებული პრობლემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ახალი ხელისუფლების მიერ დაუყოვნებლივ **განსახორციელებელი ამოცანებიდან ერთ-ერთი პრიორიტეტთაგანი** უნდა გახდეს **საქართველოს პრეზიდენტის** ინფორმაციული უზრუნველყოფის და, უპირველეს ყოვლისა, **ერთვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ინფორმაციული უზრუნველყოფის ავტომატიზებული სისტემის შექმნა**, რათა გარემოცვის მიერ მიწოდებული სუბიექტური იმპულსურ-ემოციური და ამბიციური ინფორმაციის გავლენა ნაკლები იყოს. წინა ორი პრეზიდენტი საკუთარი გარემოცვის წყალობით რა დღეშიც ჩავარდა, ცნობილია. ამჟამინდელი გარემოცვა ამ ეტაპზე დადებითი და პროგრესულია, მაგრამ ძალაუფლებასთან გაშინაურებისა და ხელისუფლებაში ადაპტირების შემდეგ, არავინ (და, მათ შორის, არც თვითონ) უწყის როგორ ტრანსფორმირდება. ყოველ შემთხვევაში, "ქართული გამოცდილება და პრაქტიკა" კარგს არაფერს მეტყველებს.

წინა პლანზე უნდა წამოვიდეს არა სუბიექტური ფაქტორები და ემოციები, არამედ უნდა მუშაობდეს სისტემა ("მანქანა"), რომელიც **ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული ობიექტური ინფორმაციითა და მისაღებ გადაწყვეტილებათა ვარიანტებით**. ეს კი ხელს შეუწყობს საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს - ეროვნული უშიშროების საბჭოს წინაშე მდგომი ამოცანების სრულყოფილად და სრული მასშტაბებით განხორციელებას.

"რომეო და ჯულიეტა" - ახალი საჩუქარი

ფესტივალი დასრულდა

B3

ზე-12 რუსთავსაც ეწვია

საქართველო A - "ბლუ ბულზი" 17:55

B4

მანძილი, რომელსაც „სინათლის წელიწადი„ გადის ორ თვეში

B8

ნომრის სტუმარი

ციხე ქურდების ალარ არის

და "სიკეთეშიც ველარ მოიხმარენ"

როგორც წესი, პატიმართა მასობრივ გაქცევას იუსტიციის მინისტრის სკამი ეწირებოდა ხოლმე. ეს ხდებოდა წინათ, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი გადაკიდებული იყო იუსტიციის მინისტრზე, ორივე ერთად ვერ იტანდა პროკურორს და უშიშროების მინისტრი სამივეზე აგროვებდა კომპრომატებს. პატიმრებმა ყურად არ იღეს ახალი მთავრობის განცხადება, რომ დღეს სხვა, რადიკალურ ცვლილებებზე ერთ გუნდად ორიენტირებული მთავრობაა, და ციხიდან ისევ გარბიან. რა იქნება ახლა?! პენიტენციალური სისტემა დიდი ხნის, ანტისახელმწიფოებრივად ნაშენები სისტემაა,რომლის წინაშეც ზეგჯერ "მგელი" პოლიციელებიც მარცხდებოდნენ. რევოლუცია იქ ჰაერივით საჭიროა. საქართველოს მართლმსაჯულება, საგამოძიებო ორგანოების, ძალოვანთა შრომა საბოლოოდ ციხეთა სისტემაში იყრის თავს. ამ სისტემის შეცვლა იქნება ტესტი, გავხდებით თუ არა სამართლებრივი, დემოკრატიული ქვეყანა. გვესაუბრება იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი.

ამდენი წლის მანძილზე პირველად გამოვაცხადეთ, რომ ციხე კანონიერმა ქურდებმა კი არა, ადმინისტრაციამ უნდა მართოს, ამით ქურდულ სამყაროს სერიოზული დარტყმა მივაყენეთ.

მაია ჭალაბანიძე

- წინასწარი მონაცემებით, გეგუთის კოლონიის პატიმრებმა ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი გამოიყენეს. სავარაუდოდ, ეს იარაღი კოლონიის ტერიტორიაზე იყო დამალული. ერთი ვერსიით იარაღი გარედან შევიდა. 2001 წელსაც მოხდა ამგვარი რამ, მაგრამ მაშინ ბადრაგმა წინააღმდეგობა გასწია. ამ შემთხვევაში ბადრაგებმა წინააღმდეგობა არ გაუწიეს და, როგორც მინიმუმ, სამსახურეობრივ გულგრილობასთან გვაქვს საქმე. გამოძიებამ უნდა გამოკვეთოს, გაურიგდნენ თუ არა გუშაგები პატიმრებს.

- პატიმართა გამოსვლის ფორმა და ხერხები გაძლევთ იმის თქმის საშუალებას, თუ ვინ იყო ორგანიზატორი? მიდის კვალი ძალოვანებთან?

- პენიტენციალური სისტემის შსსდან იუსტიციის სამინისტროში გადმოცემას დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. ეს პროცესი ევროსაბჭოს მოთხოვნა იყო. მოტივაცია კი პატიმართა უფლებების დაცვა იყო - იუსტიცია სამოქალაქო ორგანოა. გარდა ამისა, სამინისტრო გამომძიებას არ აწარმოებს და ბუნებრივი ინტერესი არ არსებობს. მაშინ მიხეილ სააკაშვილი იყო იუსტიციის მინისტრი და გადმოცემის შემდგომ ამ ორ უწყებაში მუდმივი პოლიტიკური და პიროვნული დაპირისპირება გაჩნდა. ეს დაპირისპირება შემდგომაც გაგრძელდა. კრიმინალური სამყარო სამართალდამცავ ორგანოებთან იყო შეზრდილი და ეს დაპირისპირება ხშირ შემთხვევაში ინსტიტუციონალურ სიბრტყეში გადადიოდა.

გეგუთის შემთხვევაში ეს გამოირიცხება, რადგან სამართალდამცავები ერთი გუნდის წარმომადგენლები არიან. დამნაშავეობასთან ბრძოლასა და უსაფრთხოების დაცვაში ერთი ინტერესებით ხელმძღვანელობენ. თუმცა, ეს არ გამორიცხავს, რომ გაქცევა გარედან იგეგმება და ამას ორგანიზებული ხასიათი აქვს. ბოლო თვეების განმავლობაში რამდენიმე წინასწარი ინფორმაცია გვქონდა იმის შესახებ, რომ ამგვარი რამ მზადდებოდა. მეხუთე საპყრობილეში სერიოზული არეულობებისა და ბუნტის აღკვეთა მოვახერხეთ. ამისთვის ჩვენ და შსს-მ ერთობლივად მივიღეთ პრევენციული ზომები. ქსანში აღმოვაჩინეთ გვირაბი, იქაც გაქცევა იგეგმებოდა...

- სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ თავისი მემკვიდრეობის - ციხე-კოლონიების მონიტორინგი არ განახორციელა?

- არა მხოლოდ მონიტორინგი, არამედ მცირერიცხოვანი სპეცრაზმის საშუალებით დანესებულებათა ჩხრეკას მუდმივად ვატარებდით.

- მათ შორის, გეგუთშიც?

- დიახ. მაგრამ, მაშინ ავტომატური იარაღი ამოღებული არ იყო. კოლონიებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია კარგად გადამალული იარაღის მოძებნა. გეგუთის კოლონია უზარმაზარ ტერიტორიაზე გებნეული დიდი ხნის წინ აშენებული 8 ბარაკია. ნაწილი კი გაიწმინდა, მაგრამ საცხოვრებელი პირობები იქ არ არსებობს. შეიძლება მიწაშიც ჩამარხო იარაღი. ინფორმაცია გვაქვს, რომ ერთ-ერთ კოლონიაში იარაღი კედელშია ჩაცემენტებული, ის უნდა დაინგრეს. გეგუთის კოლონიის ტერიტორიაზე იარაღი შეიძლება ერთი კვირის წინაც იყოს შესული და ხუთი წლის წინაც. იარაღი, როგორც წესი, ნაწილ-ნაწილ შედიოდა. შეიძლება, ავტომატის მჭიდი გარედან ჩამოუშვეს, მერე შეიძლება, ვიღაცამ ფული აიღო და დანარჩენი შემოატანინა. ღამე კარები არ იკეტება, პატიმრები გამოდიან და დანაშაულებრივ ქმედებებს ჩადიან. ჩხრეკის შედეგად კი ძირითადად დანები, მობილურები და მსგავსი ნივთები ამოიღება, ის, რაც ოთახებში აქვთ დამალული. კოლონიის ტერიტორიაზე იარაღის დაფიქსირება ძალიან რთულია.

- როგორც წესი, ამგვარ მასობრივ გაქცევებს იუსტიციის მინისტრები ეწირებიან. თქვენ როგორ გაქვთ საქმე?

- პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ აქ მთავარი კონკრეტული სამართლებრივი და პოლიტიკური ბრალეულობის საკითხის გარკვევაა. კითხვა ასე ისმება - რისი გაკეთება შეიძლებოდა და არ გაკეთდა? როგორც გითხარით, წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე არეულობის რამდენიმე მცდელობა აღვკვეთეთ. გეგუთის ფაქტზე - დაისვა ადგილობრივი ხელმძღვანელობის საკითხი, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. დამნაშავეც რომ არ აღმოჩნდეს, ჩვენ ამას სამსახურეობრივ გადაცდომად ვაფასებთ.

- რაც შეეხება მინისტრის პასუხისმგებლობას?

- ეს არის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელიც გამომდინარეობს იქიდან, თუ როგორ ახორციელებს მინისტრი რეფორმებსა და სისტემურ ცვლილებებს. ჩვენ გვაქვს რეფორმების პროგრამა და ვმუშაობთ.

- ასეთი გაქცევა მოწმობს იმას, რომ ქვეყანაში კრიმინოგენული ვითარება არ გამოსწორებულა?

- ვითარება დაძაბულია, მაგრამ წინა წლებისგან განსხვავებით, სამართალდამცავები გაცილებით უკეთ ახერხებენ კრიმინალებთან ბრძოლას და ეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც აისახება.

ე.წ. ქურდული სისტემა საბჭოთა კავშირამდეც არსებობდა. დაწესებულების ადმინისტრაცია სიტუაციას იმ ქურდული ავტორიტეტების საშუალებით მართავდა, რომელთაც სხვა პატიმრები ემორჩილებოდნენ. პირველად ამდენი წლის განმავლობაში, ჩვენი მოსვლის შემდგომ გამოვაცხადეთ, რომ ციხე კანონიერმა ქურდებმა კი არა, ადმინისტრაციამ უნდა მართოს. ამით ქურდულ სამყაროს სერიოზული დარტყმა მივაყენეთ. პირველი სიმბოლური ჟესტი ის იყო, რომ ქურდული კამერა 49 გავაუქმეთ. პატიმრებმა საკუთარი თვალით ნახეს, რა განსხვავება იყო მათ საცხოვრებელ პირობებსა და ქურდების საცხოვრებელ პირობებს შორის. ამით ქურდების ავტორიტეტი დაეცა. გარდა ამისა, "ავტორიტეტები" დავშალეთ, სხვადასხვა საპყრობილეებში გადავიყვანეთ. ამით გამოვაცალეთ ბერკეტი, რომლის საშუალებითაც სისტემის მართვა შეეძლოთ.

- გინდათ თქვათ, რომ ციხეში და თავისუფლებაზეც ქურდებს საზოგადოების ცნობიერებაში ავტორიტეტი შეელახათ?

- რა თქმა უნდა, ციხეში მათი გავლენა შესუსტებულია, მაგრამ საბოლოოდ არ აღმოფხვრილა. რაც მთავარია, პატიმრები ხედავენ, რომ ქურდების ძალაუფლება მნიშვნელოვანწილად არის შესუსტებული. ქურდების კამერები ადრე საერთოდ არ იკეტებოდა და კამერიდან კამერაში ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად სეირნობდნენ. გარდა იმისა, რომ ეს მანკიერი სისტემაა და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს პატიმრებს, ძირგამომპალიც არის - ბოლო წლებმა აჩვენა, რომ ადმინისტრაცია, რომლის მენტალიტეტიც ქურდულს ემყარებოდა, ვეღარ დაეყრდნობოდა ამ სისტემას. ქურდებმა თვითონვე დაკარგეს კონტროლი... ამ სისტემამ თავისი დრო მოჭამა.

ბუნებრივია, ქურდებს ყველაზე დიდი გავლენა ჯერ კიდევ ციხეში აქვთ. გარეთ უფრო და უფრო კნინდება ქურდული ტრადიციები. სამოქალაქო ომების შემდგომ სხვა კრიმინალური დაჯგუფებები გაძლიერდნენ, რომლებიც საერთოდ არ ცნობდნენ ქურდულ ტრადიციებს და მათი ავტორიტეტიც არ იყო ნაკლები.

- სახელმწიფო ერევა თუ არა კრიმინალური სისტემის "რეფორმებში?"

- სახელმწიფოსთვის და საზოგადოებისთვის ქურდული ტრადიციების მიმდევარი პირი და ე.წ. ახალი მაფიოზური დაჯგუფება ერთნაირად საშიშია. რა თქმა უნდა, სახელმწიფო შიდა პროცესებს ვერ დაარეგულირებს, მაგრამ ამგვარი დაჯგუფებების საშიშროების აღკვეთა სწორედ სახელმწიფოს ვალია.

მალე პარლამენტში მესამე მოსმენით გავა რეკეტის კანონი, რითიც ძირითადი დარტყმა კრიმინალურ ავტორიტეტებს და კანონიერ ქურდებს მიადგებათ. ეს კანონი ძალიან ეფექტურად გამოიყენეს აშშ-სა და იტალიის სამხრეთ რეგიონებში. რა თქმა უნდა, კანონით პირები, ვინც გამოძალვით საქმიანობას ეწევიან და ე.წ. საქმის გარჩევებში მონაწილეობენ, საზოგადოებისგან იზოლირებულნი უნდა იყვნენ. ამას გარდა შემოგვაქვს მათი ან მათი ოჯახის წევრთა ან მათთან დაკავშირებულ პირთათვის ქონების ჩამორთმევის მექანიზმები. ამ ბერკეტის დამატება იმიტომ გახდა საჭირო, რომ ხშირ შემთხვევაში იზოლირებულ "ავტორიტეტს" იმდენად ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობა აქვს, რომ ციხიდანაც კარგად მართავს სიტუაციას. გარდა ამისა, მათი ეს ავტორიტეტი ცუდად განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე მოქმედებდა. ბევრი ახალგაზრდისთვის ის საოცნებო მაგალითი იყო - "ავტორიტეტი" დადის ძვირფასი მანქანით, აქვს ფეშენებელური სახლი და ბევრი სხვა სიკეთე.

- ხომ არ უახლოვდებით ინიციატივას, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მინისტრობის დროს ითქვა - ეკონომიკურ დანაშაულში მხილებულნი ფასიან ციხეში ჩაჯდებობდნენ და საკუთარ პატიმრობას თავადვე დააფინანსებდნენ...

- ევროპულ სისტემაში ფასიანი ციხე არ არის. ამერიკაში არის ასეთი რამ - სახელმწიფო ციხეებს რომელიმე კერძო სტრუქტურას გადასცემს სამართავად. მაგრამ, ციხეზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ უნდა აიღოს, ეს სახელმწიფო ზრუნვის საგანი უნდა იყოს და ჩვენ კონკრეტულ ნაბიჯებს ვდგამთ.

- სპეცსახსრების გაუქმებამ, ალბათ, დარტყმა მიაყენა თქვენს უწყებას.

- დიახ, თუმცა ბიუჯეტში კაპიტალური ხარჯები რამდენიმე წლის განმავლობაში არ იყო გათვალისწინებული. დღეს მცირედ, მაგრამ ამგვარი ხარჯები არის.

- ბიუჯეტი პარლამენტივით გაგეზარდათ?

- არა, მაგრამ რაც არის, ის სრულდება. რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, მაგრამ საქმის გაკეთება ამ ბიუჯეტითაც შეიძლება.

- მსოფლიოს თითქმის არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს კოლონია, ყველგან ციხის ტიპის რეჟიმზე არიან გადასულნი, აქ რა ხდება?

- გვაქვს პენიტენციალური სისტემის რეფორმების გეგმა, რომლის მიზანიც საკნის ტიპის დაწესებულებაზე გადასვლაა. ამ სისტემას სხვადასხვაგვარი უპირატესობა გააჩნია. პირველ რიგში, უსაფრთხოება - კოლონიური ტიპის დაწესებულებების გაკონტროლება თითქმის შეუძლებელია. ამას უამრავი სახსრები, უამრავი თანამშრომელი სჭირდება. როგორც გითხარით, დაწესებულებათა უმეტესობა ძველი, ამორტიზებული შენობაა, უფრო სწორად, ბარაკია, სადაც კაცმა არ იცის, რა ხდება. სასაკნე სისტემაში უსაფრთხოების და, მათ შორის, პატიმართა უსაფრთხოების დაცვა შეიძლება. კოლონიურ სისტემაში ყველა პატიმარი ერთად არის არეული. სხვადასხვა რეჟიმის პატიმრების გაცალკევებაა საჭირო, რადგან ზოგიერთი კატეგორიის პატიმარი ძალიან იჩაგრება. ზოგჯერ პატიმრების კატეგორიები შეუთავსებელია; ზოგს, უბრალოდ, იზოლირებულად ყოფნა სურს და კრიმინალურ მასასთან კონტაქტი არ უნდა. საკნებში რესოციალიზაციის პრობლემაზე ინდივიდუალური მუშაობაც უფრო შესაძლებელია.

კოლონიებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია კარგად გადამალული იარაღის მოძებნა.

- რეფორმის რომელიმე პუნქტი გულისხმობს თუ არა ციხის თანამშრომელთა პატიმრებთან ურთიერთობის დარეგულირებას?

- ეს წესებში არის, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ბადრაგის სამსახური თითქმის მოშლილია. ბადრაგს ფორმაც კი არ გააჩნდა და ვერ გაარჩევდი, ვინ იყო პატიმარი და ვინ - ადმინისტრაციის თანამშრომელი. ბორკილებით თუ მიხვდებოდი, ვინ ვინ იყო. საბადრაგო სისტემაც რეფორმის პროცესშია. ბადრაგში კორუფციული პრობლემებია და ნაბიჯები ამ კუთხითაც გადავდგით.

- კორუფციის მიზეზი მხოლოდ ბადრაგის დაბალი ხელფასია?

- რეფორმის ერთ-ერთი მიზანი პატიმართა უფლებების დაცვა და პირობების გაუმჯობესებაა. ამავე დროს მათთვის უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამები, რათა საზოგადოებას მართლა გამოსწორებული დაუბრუნდნენ და ადაპტირება გაუადვილდეთ.

რეფორმის მეორე მიზანი თანამშრომელთათვის ნორმალური სამუშაო და საცხოვრებელი პირობების შექმნაა. დღეს საშინელი, არანორმალური პირობებია. რაც შეეხება ხელფასს - რაც ჩვენ სამინისტროში მოვედით, სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა ხელმძღვანელობას სპეციალური სახელფასო ფონდების საშუალებით ჯამაგირი გავუზარდეთ. რა თქმა უნდა, მთელი სისტემის 3000 თანამშრომელს ვერ გავწვდებოდით. ამას წახალისებისთვის საპრემიო ფონდიც დავუმატეთ. დანამატი დიდი ოდენობისა არ არის, მაგრამ მეტი ხელფასი გამოდის. ერთ თვეში, ალბათ, ბიუჯეტი გადაიხედება. მთავრობა ბიუჯეტის და პენიტენციალური სისტემის თანამშრომელთა ხელფასების გაზრდას დაგვპირდა.

- საქართველოს მართლმსაჯულება, საგამოძიებო ორგანოების შრომა საბოლოოდ ციხეთა სისტემაში იყრის თავს. არის თუ არა პენიტენციალური სისტემა სახელმწიფოსთვის უპირველესი პრიორიტეტი?

საჭარო მოხელესა და მოქალაქეს შორის მომსახურების დონე და ურთიერობები უნდა შეიცვალოს

- სახელმწიფოს საზოგადოების წინაშე ძალიან ბევრი ვალდებულება აქვს და პრიორიტეტებიც ბევრი გამოდის. დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებით ჩანს, თუ რამდენად ძლიერია სამხედრო სისტემა, შინაგანი ჯარი, სამართალდამცავი ორგანოები. სერიოზული სოციალური ვალდებულებებიც აქვს აღებული. ამ რგოლში პენიტენციალური სისტემა ერთ-ერთი ნაწილია და უპირველესი პრიორიტეტი ვერ იქნება.

მართლაც, სამართალდამცავთა საქმიანობა პენიტენციალურში იყრის თავს და თუ შესაბამისი ყურადღება არ იქნება, შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაიყაროს. პრობლემები ხომ ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ყურადღება თუნდაც იმაში ვლინდება, რომ პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა დააფიქსირეს, რომ ევროკავშირის დახმარების გარკვეული ნაწილი პენიტენციალურ სისტემაში წარიმართება. ეს მოლაპარაკებები წარმოებს და ამ დღეებში დადებითად გადაწყდება.

პრაქტიკულად დამთავრებულ რუსთავის ციხეს, რომელიც შემდეგ გაიძარცვა, ევროკავშირი თანამედროვე დონეზე დაასრულებს. სასაკნე სისტემაზე გადასვლას ახალი ციხეების ჭირდება. წელს ჩვენი სახსრებით ქსნის კოლონიაში 150 ადამიანზე გათვალისწინებული საპყრობილე გავაკეთეთ. ძველი შენობა საკმაოდ მაღალ დონეზე და შესაბამისი ინფრასტრქტურით მინიმალური ხარჯებით გადაკეთდა.

მომავალ წელს ქუთაისთან საკუთარი სახსრებით თანამედროვე ციხის აშენებას ვგეგმავთ.

- რატომ მაინცდამაინც ქუთაისთან? როგორ ირჩევა ადგილი ციხისთვის?

- ქუთაისში ციხე ქალაქის ცენტრში დგას. 3 მეტრში მოსახლე ცხოვრობს. პატიმარმა რომ რამე გადააგდოს, შეიძლება ეზოში ჩავარდეს. ეს ციხე საკმაოდ ძველია და იქ ადამიანის ცხოვრება შეუძლებელია. ახალი ციხე ქალაქგარეთ აშენდება. გარკვეული ინფრასტრუქტურული მოთხოვნები არსებობს და არქიტექტორები ამას გაითვალისწინებენ.

- წინა ხელისუფლებას ერთი პატიმრის შენახვა 23 ლარი და 50 თეთრი უჯდებოდა. ახლა?

- თქვენ, ალბათ, კვებას გულისხმობთ. დღესაც დაახლოებით იგივე თანხაა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ დაცული მუხლი იყო, ადრე ესეც არ სრულდებოდა. მეორე პრობლემა ამ თანხების ეფექტურად გამოყენება იყო. დაწყებული ტენდერებიდან, დამთავრებული საწყობში პროდუქტის განაწილებით, თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა.

- იუსტიციაში კორუფციის მაღალი რისკის არაერთი ზონაა, არა?

- რა თქმა უნდა, ეს პენიტენციალური სისტემაა, რასაც სისტემის რთული მდგომარეობაც უწყობს ხელს. კორუფციული გარიგებები კომუნისტების დროიდან მოდის. შემდგომ მასშტაბები გაიზარდა.

ასეთი ზონაა აღსრულების სისტემაც. საკადრო პოლიტიკა შეიცვალა და როცა ხელმძღვანელი კორუმპირებული არ არის, კორუფციის პირამიდა ირღვევა. ის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბერკეტები გამოიცვალა, რაც კორუფციულ გარიგებებს უწყობდა ხელს. მაგალითისთვის ვიტყვი - ცნობის ასაღებად ადამიანს პროცედურებით ათი დღე და სხვადასხვა სისტემაში სირბილი ჭირდებოდა. მოქალაქე იძულებით კორუფციულ გარიგებაში შედიოდა. ჩვენ ცვლილებებით გავამარტივეთ პროცედურები და ახლა მოქალაქეობის მიღებაზე ცნობის აღება ერთი თვის ნაცვლად 2 დღეშია შესაძლებელი.

- მალე საპასპორტოები, საჯარო რეესტრი და სხვა - იუსტიციაში გადმოდის. რა ტიპის წინააღმდეგობებს ხვდებით?

- ეს კანონი უკვე მიღებულია, მაგრამ ჩვენ მოუმზადებლად არ გვინდოდა ამ სისტემის გადმოტანა. 15 ნოემბრიდან საპასპორტო სისტემა იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარება. შევქმნით, თანამედროვე კომპიუტერულ სისტემას. ამდენი ქაღალდებით მოქალაქე დაცული არ იყო, არ ჰქონდა სამართლებრივი გარანტიები. საბუთის აღებას ერთი კვირა კი არა, ერთი დღე დასჭირდება, ადამიანს თბილისიდან ნებისმიერ ქალაქში შეეძლება ნახოს, ვის რა აქვს საკუთრებაში და ინფორმაცია გამოითხოვოს. მთელი ეს საბუთომანია მარტივდება.

საპასპორტოს იუსტიციაში გადმოსვლა თანამედროვე, ცივილური სამოქალაქო რეესტრის ჩამოყალიბების საშუალებას მოგვცემს. მოქალაქის შესახებ ყველა ინფორმაცია ერთ უწყებაში იქნება თავმოყრილი. ეს სისტემა დაეფუძნება ე.წ. ერთი ფანჯრის, ან ერთი გაჩერების სისტემას, რომელიც უცხოეთში მუშაობს. პირადობის მოწმობა ერთ დღეში გაიცემა და ამისთვის არსად სირბილი არ იქნება საჭირო.

- ძველ კადრებს რას უპირებთ, შსს-ში ისედაც ათასობით პოლიციელს ამცირებენ.

- ახლებსაც შევარჩევთ და ძველი კვალიფიციური კადრებიც გადამზადების შემდეგ დარჩებიან. ეს პროგრამები მზადდება. საჯარო მოხელესა და მოქალაქეს შორის მომსახურების დონე და ურთიერთობები უნდა შეიცვალოს.

შემცირებულთა პრობლემა კი ზოგადად სახელმწიფოში დგას. მთავრობა გადამზადების სისტემის შექმნას ფიქრობს, მაგრამ ეს ქვეყანაში ეკონომიკური დონის ამაღლებასთან მნიშვნელოვნად არის მიბმული.

თეატრები

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ჰერმან ლევენსკოლდი
“სილფიდა”
დირიჟორი: თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ.

თეატრალური სარდაფი
სანდრო კაკულია
“ფანჯარა”
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
რალფ კნიგის “მოძრავი მამაკაცის” მიხედვით
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
“ეროვნული ჰიმნი”
ავტორი და რეჟისორი: მიხეილ მარმარინოსი
დას: 19:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
ალექსანდრე ვამპილოვი
“მონადირე”
რეჟისორი: გ. შალუტაშვილი
დას: 19:00 სთ.

კინოთეატრები

“რუსთაველი”
“ამნეზია”
დას: 12:00; 17:00; 22:00 სთ.

”დღე ხვალის შემდეგ”
დას: 14:30; 19:30 სთ.

“ამირანი”
“მოკალი ბილი 2”
დას: 10:00; 13:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ

“კინოს მეგობართა კლუბი”
(გოეთეს ინსტიტუტი)
ევროპული კინოს ოსტატები
ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა
(ქართული პერიოდი)
“პასტორალი”
დას: 17:00 სთ.

გამოფენები

TMS
ვახტანგ კაკულიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

სურათების ეროვნული გალერეა
არქიტექტორ გერა ხეჩინაშვილის ნამუშევართა პერსონალური გაომფენა

“ქარვასლა”
ნოდარ მალაზონიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

პარასკევს, 18 ივნისს, 17 საათზე თბილისის წიგნის ბაზრობაზე გაიმართება პრეზენტაცია ჟურნალისა New Century (4’2004).

სახელმწიფო წიგნებით ინტერესდება

ერთადერთი, რაც ბოლო წლებში განვითარდა, წიგნის ფესტივალია

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თუ სხვა ქვეყნების წიგნის ბაზრობების ისტორიას გადავხედავთ, თბილისის წიგნის ფესტივალი ახლა იდგამს ფეხს, თუმცა, პროგრესი ყოველწლიურად იგრძნობა. წელს მაგალითად, გაცილებით უკეთ არის მოგვარებული საორგანიზაციო საკითხები – შარშანდელისგან განსხვავებით, გამომცემლობები ისეა განლაგებული, უფრო მეტი სივრცეა და წიგნების დათვალიერებაც უფრო თავისუფლად შეგიძლიათ, სტენდების დიზაინიც დახვეწილია, თუმცა, მთავარი ეს ხომ არ არის? მთავარი უდავოდ ისაა, რომ საქართველოს მთავრობა, როგორც იქნა, დაინტერესდა წიგნით. საქართველოს ეკონომიკის მინისტრისგან განსხვავებით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრმა აღიარა პრიორიტეტები და, როგორც გახსნის ცერემონიალზე აღნიშნეს, წარმოთქვა ისტორიული ფრაზა – “ჩემთვის წიგნის ფესტივალი პრიორიტეტია!” თუმცა, თუ უახლოეს წარსულს გავიხსენებთ, გოკა გაბაშვილი განათლების დღევანდელ მინისტრთან ერთად იმ ადამიანებს შორისაა, ვისი უშუალო ხელშეწყობითაც აიდგა ფეხი თბილისის წიგნის ფესტივალმა. კახა ლომაიამ გაიხსენა კიდეც ის დრო, როდესაც სამი ქართველი გამომცემელი – თამარ ლებანიძე, ბაკურ სულაკაური და ოთარ ყარალაშვილი ერთ კასრში ისხდნენ, რომელსაც გამომცემლობა “დიოგენე” ერქვა და წიგნის ფესტივალის დაარსებისთვის იღვწოდნენ. მაშინ კახა ლომაია “ევრაზიის” ფონდში მუშაობდა, გოკა გაბაშვილი – “ღია საზოგადოება - საქართველოში”. სწორედ ამ ორი უცხოური ფონდის დაფინანსებით ტარდებოდა წლების განმავლობაში ქართული წიგნის ფესტივალები. რასაკვირველია, თავმოყვარე ქვეყნისთვის ეს ფაქტი დიდად სახარბიელო არ არის, მაგრამ როდესაც ამ ქვეყანაში არ აღმოჩნდებიან ადამიანები (ფულიანებს ვგულისხმობ), რომელნიც ერის სულიერების გადარჩენაზე იზრუნებენ, ისღა დაგვრჩენია, უფრო სწორად, დაგვრჩენოდა, ხელი გაგვეშვირა და მოწყალება გვეთხოვა. თუმცა, ეს ის შემთხვევაა,

თუ სხვა ქვეყნების წიგნის ბაზრობების ისტორიას გადავხედავთ, თბილისის წიგნის ფესტივალი ახლა იდგამს ფეხს.

როცა მიზანი ამართლებს საშუალებას. შედეგად, საქართველოში წიგნი გადარჩა. დღეს უკვე დარჩა ის დრო, როდესაც გამურული ლამპის შუშის შუქზე ვკითხულობდით (როგორც ზაალ სამადაშვილი ამბობს). ისინი, ვისაც ამ პირობებში კიდევ შერჩა მხედველობა, დღეს წიგნის დღესასწაულებს ზეიმობენ. თუმცა, ასეთთა რიცხვი გუშინ არც ისე დიდი იყო. მე არ მინდა სიმართლეს შეესაბამებოდეს გამომცემელ ბაკურ სულაკაურის სიტყვები, რომ ქართველები ცოტას კითხულობენ (თუ კითხულობენ, სად არიან - სოროებში ხომ არ სხედანო), თუმცა, თუ გუშინდელი დღით ვიმსჯელებთ, ისინი ან მართლა სოროებში სხედან, ან, უკეთეს შემთხვევაში, სამსახურებში და სამუშაო საათებში ფესტივალზე მოსვლა ვერ მოახერხეს.

იმათ, ვინც მოვიდა, დახლებზე საკმაოდ დიდი არჩევანი ელოდა. ზიუსკინდის ერთი მოთხრობის არ იყოს, პირველი რეაქცია, რაც ამდენი წიგნის დანახვაზე გეუფლება, თავბრუსხვევაა. არ იცი, საით წახვიდე, საიდან დაიწყო. მერე ყველაფერი ლაგდება და მიდიხარ წრეზე – ერთხელ, მეორედ, მესამედ... ბაზრობის პირველი დღე უფრო დაზერვით სამუშაოს ჰგავს, ათვალიერებ და შეიგულებ გამოცემას, რომელსაც ხვალ იყიდი. როგორც ანა კორძაია-სამადაშვილმა მითხრა, საუკეთესო ვარიანტია, როდესაც კონკრეტული თანხით მიდიხარ, იმას მაინც განსაზღვრავ, რის ყიდვას შეძლებო. რასაკვირველია, კონკრეტიკაც პირობითი ცნებაა. აი, მაგალითად, გერმანული გამომცემლობა Taschen-ის ერთ-ერთი ალბომის შესაძენად სულ რაღაც 360 ლარი დაგჭირდებათ. ამ შესანიშნავ გამოცემას, რომელიც კოსტუმების ისტორიას ასახავს, გულგრილად ვერავინ უვლიდა გვერდს. მის დანახვაზე, სულ მცირე, ხელის შეხება მაინც მოგინდებოდათ. როგორც აღმოჩნდა, ასეთ გამოცემებს თბილისში მყიდველები ჰყავს. ორი ეგზემპლარი გავყიდე, ოღონდ არა წიგნის ბაზრობაზეო – მითხრა მისმა რეალიზატორმა. სავარაუდოდ, მყიდველები ცნობილი ადამიანები არიან, რადგან მათი დასახელებისგან ჩემმა რესპონდენტმა თავი შეიკავა – ეს კონფიდენციალური ინფორმაციააო. ეს წიგნი გუშინ არ გაყიდულა, ასე რომ მისი ნახვა დღესაც შეგიძლიათ, სამაგიეროდ, კარგად იყიდებოდა აკა მორჩილაძის ახალი რომანი – “სანტა ესპერანსა”. მყიდველების ყურადღებას მისი ორიგინალური ფორმა იწვევდა – იგი ბევრი პატარა ფერადი “წიგნუკისგან” შედგება, რომლებიც ამ რომანის ქვეთავებია, ყველაფერი ერთად კი ნაჭრის ჩანთაში დევს. ამ წიგნით ხელდამშვენებულ მყიდველებს შორის კულტურისა და განათლების მინისტრებიც იყვნენ, ეს უკანასკნელი აკა მორჩილაძის “ფანიც” აღმოჩნდა. მათგან განსხვავებით, პარლამენტარმა ლევან ბერძენიშვილმა ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედია შეარჩია. მისი თქმით, ქართველებს ყველაფრის სახვალიოდ გადადება გვჩვევია. ერთადერთი კარგი საქმე, რაც ამ წლების განმავლობაში ვითარდება, წიგნის ბაზრობაა. ბატონმა ლევანმა ისიც “გაგვანდო”, რომ საქართველოს პარლამენტი მუშაობას იწყებს ახალ კანონზე, რომელსაც წიგნის კანონი ჰქვია და უპირველესად, ალბათ, ქართველი მკითხველის წისქვილზე დაასხამს წყალს. მომავალ ბაზრობას ამ კანონით შევხვდებითო – გვითხრა მან. მანამდე კი – წიგნის მეექვსე ფესტივალი ელის მკითხველებს.

პროექტი „კინაღამ დაგვიანებული საზოგადოების„ შესახებ

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

პესიმისტების აზრით დაგვიანებული, ხოლო ოპტიმისტების აზრით კი კინაღამ დაგვიანებული საზოგადოება ვართ, რომელსაც “ლოკალიზება სივრცეში კი არა (ორიენტირები – აღმოსავლეთი ან დასალეთი), არამედ ლოკალიზება დროში შეუძლია” – ასეთი დასკვნით მთავრდება წიგნი “ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა.

მაინც რატომ არის ჩვენში დღეს ასე აქტუალური და დროული ასეთი წიგნის გამოცემა – “**ადამიანის უფლებები და ქართული კლტურა”,** ან იგივე სახელწოდებით ფილმის შექმნა და საერთოდ პროექტი ამ თემაზე საკითხვი აი ეს არის. და კიდევ, მეორე კითხვა: რატომ ზრუნავენ ასეთი სახის პროექტის დაფინანსებაზე ამერიკული, დასავლური ორგანიზაციები (კონკრეტულად კი usaid და მერილენდის უნივერსიტეტი) და არა, ვთქვათ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი – “ცოდნის ტაძარი” და ინტელექტის კერა, როგორც მას უწოდებენ? პასუხი ერთია: თავისთავად ეს აქტუალურობა ჩვენში უფლებათა კოდექსის და ყველაზე მეტად კი ყოფით კულტურაში მის უგულებელყოფას გულისხმობს. კიდევ ერთი ნიუანსი: განწყობა, რითაც წიგნის პრეზენტაციაზე მივდიოდი და შემდეგ იქ დამსწრეთა განწყობაც, ცოტა დისიდენტური გახლდათ: ე.ი. იმის შეგრძნება, რომ ადამიანის უფლებათა დარღვევებს ჩვენში მხოლოდ უმცირესობა ამჩნევს, ხოლო უმრავლესობისათვის ეს მისაღებია, პრეზენტაციას კიდევ უფრო აქტუალურს ხდიდა და ეს სულაც არ არის კარგი.

თუმცა კი, ავტორთა ჯგუფმა ამ პროექტით გადაწყვიტა დაემტკიცებინა, რომ **“კონფლიქტი ჩვენს საზოგადოებასა და დასავლურ ღირებულებებს შორის არ არსებობს.”** მოკამათე მხარის ადრესატად წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი და მთავარი რედაქტორი, ბატონი ლევან ბერძენიშვილი ქართულ ინტელექტუალურ, ძირითადად კი, **“ჰუმანიტარულ და აკადემიურ წრეებს”** მოიაზრებს, რომლებიც დღემდე ამტკიცებენ, რომ “უნიკალური და ძირძველი ქართული კულტურა **“ვერ ჰგუობს”** ახალ და უცხო ღირებულებებს.” ამ სიტყვებმა ძალაუნებურად შუასაუკუნეები და თამარის ისტორიკოსი გამახსენა, რომელმაც ჩვენი “აკადემიური წრეების” მსგავსად **“უცხოთა წესის”** შემოღებად მონათლა ყუთლუ არსლანისა და მისი დასის განუხორციელებელი ცნობილი “კარავის” ისტორია. სხვათა შორის, ქართველი (საბჭოთა) ისტორიკოსები წლების მანძილზე იმის გამოკვლევით იყვნენ დაკავებულნი, თუ კონკრეტულად რომელ “უცხოთა წესზეა” თამარის ისტორიკოსთან საუბარი და ყუთლუ არსლანი წარმომავლობით ქართველია თუ არაქართველი. და ერთხელაც არ დაინტერესებულან, იმით, თუ საიდან მოდიოდა თამარის ისტორიკოსის მიერ მოვლენის ასეთი შეფასება ანუ ქართული ისტორიოგრაფია დღემდე დუმს საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიმართ. ფაქტი კი ერთია: დღესაც და შუასაუკუნეებშიც ჩვენი საზოგადოება **“ვერ ჰგუობს” “უცხოთა წესს”.**

სწორედ ახლებური მზერითა და არატრადიციული მიდგომით შეიქმნა წიგნი “ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა,” სადაც ქართული სახელმწიფოს ისტორია ზურა ბრეგვაძე, ქართული სამართლის ძეგლებში ფრიდონ საყვარელიძე, ქართულ ლიტერატურაში ბატონი ლევან ბერძენიშვილი, ქართული პერიოდიკის სათავეებში ლევან თაქთაქიშვილი, ქართულ რიტორიკაში ზაზა დარასელია ეძებენ და პოულობენ კიდეც ჩვენში სამოქალაქო საზოგადოების არსებობის დამადასტურებელ ფაქტებსა და ისტორიებს. ხოლო წიგნში შემავალ გაირგი გვახარიას წერილი - ნაშრომს, როგორც ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა ბრძანა, “ბიბლიოგრაფიულად იშვიათს ხდის”. წიგნის გამოცემა და ექვსი, ოც-ოც წუთიანი ვიდეოფილმების შექმნა, მხოლოდ ნაწილია დიდი პროექტისა “ადამიანის უფლებები და ქართული კულტურა”. თბილისში ვიდეოფილმს საკაბელო ტელეარხები გაავრცელებენ. დაგეგმილია რეგიონებში ვიდეოკასეტებისა და წიგნების გავრცელება.

P.S. წიგნი და ვიდეოფილმი თერაპიის მიზნით განკუთვნილია, ჩემი აზრით, იმ კატეგორიის მკითხველისათვის, როგორიც ამასწინათ პარლამენტში ვიხილეთ და რომლის დასმული კითხვა და აზროვნებაც, როგორც ლევან ბერძენიშვილმა ბრძანა “შეშურდებოდათ 30-იანი წლების გერმანიაში”.

"რომეო და ჯულიეტა" - ახალი საჩუქარი

ფესტივალი დასრულდა

თამარ სუხიშვილი

"საჩუქრის" გუშინდელი პროგრამა საკმაოდ დატვირთული იყო. დღისით ჩხეიძის ქუჩაძე ქართველი ხმის რეჟისორის, ვლადიმერ დოლიძის მემორიალური დაფა გაიხსნა. საღამოს კინომსახიობთა თეატრში, ფესტივალის ოფიციალური დახურვის ცერემონიალზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ფესტივალის ორგანიზატორებმა წლეულს დაწესებული პრიზით – "მფარველი" სამი ადამიანი დაასაჩუქრეს, მამუკა ხაზარაძე, ბადრი პატარკაციშვილი და მოსკოვის ვიცე-მერი ლიუდმილა შვეცოვა (აქედან დახურვის ცერემონიალს მხოლოდ მამუკა ხაზარაძე ესწრებოდა). აქვე გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა - "მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს", რომელიც საზოგადოებას მისმა ერთ-ერთმა ავტორმა, თეატრთმცოდნე ნათელა ურუშაძემ გააცნო. ეს: არის პირველი ტომი მიხეილ თუმანიშვილის არქივების მიხედვით შექმნილი სამტომეულისა ("მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს", "მიხეილ თუმანიშვილი ასწავლის", "მიხეილ თუმანიშვილი თხზავს"), არქივზე სამი ადამიანი მუშაობდა: რეჟისორის ქალიშვილი, ნათელა ურუშაძე და მანანა გეგეჭკორი. დაბოლოს, გუშინ საღამოს ფესტივალის სტუმარმა, ბერძენმა რეჟისორმა მიხაილ მარმარინოსმა კიდევ ერთხელ დაასაჩუქრა ქართველი მაყურებელი უკვე გახმაურებული სპექტაკლით - "ეროვნული ჰიმნი", რომელზეც მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებთ, რადგან მისი პრემიერა თბილისში ერთი წლის წინ შედგა და მას მეტ-ნაკლებად იცნობს ქართველი მაყურებელი. შეგახსენებთ, რომ "ეროვნული ჰიმნი" (თეორემა ერთობის შესახებ) იმ საერთაშორისო პროექტის ნაწილია, რომელიც 2001 წელს დაიწყო საბერძნეთში. მერე ბერძენმა რეჟისორმა ამ წარმოდგენის იტალიური ვერსია წარმოადგინა ფლორენციაში. შარშან კი თბილისში ქართული "ეროვნული ჰიმნის" პრემიერა შედგა. წლევანდელ ფესტივალზე მარმარინოსმა ნაცნობ საჩუქართან ერთად ქართველ მაყურებელს უცნობი საჩუქარიც ჩამოუტანა "რომეო და ჯულიეტას" სახით.

"აი, ამბავი, თუ როგორი ბედი სწვევია
ტურფა ვერონის ორ ძველ ოჯახს, ცნობილებს დიდად,
მამათა შუღლი ახალ მტრობად გადუქცევიათ
და წმინდა სისხლით შეუბღალავთ ხელები წმინდა.
შავბედ ვარსკვლავზე, სავალალოდ ამ ორმა გვარმა
ორი ნათელი სიყვარულის ვარსკვლავი შობა..."

მონტეგებისა და კაპულეტების მტრობისა და რომეოსა და ჯულიეტას სიყვარულის ისტორია ამ რამდენიმე დღის წინ ბერძენმა მსახიობებმა ორჯერ გაითამაშეს კინომსახიობთა თეატრის სცენაზე. ბერძენმა რეჟისორმა კიდევ ერთხელ გააოცა ქართველი მაყურებელი თავისი პროფესიონალიზმით, თუმცა, როგორც ყოველთვის, ახლაც მისმა დადგმამ გარკვეულწილად აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია...

თუ შექსპირის "რომეო და ჯულიეტა" გუნდის პარტიით იწყება, მარმარინოსის სპექტაკლში მოქმედება იხსნება მონტეგის ძმისწულის - ბენვოლიოსა და რომეოს დიალოგით. ბენვოლიო და რომეო მაყურებელს დარბაზის შესასვლელში ეგებებიან, ისინი ერთმანეთის პირისპირ დგანან და ერთმანეთს ესაუბრებიან. ასე რომ, მაყურებელი შესვლისთანავე ექცევა შექსპირისეულ გარემოში და მისი კათარზისიც სწორედ პირველი ნაბიჯის გადადგმისთანავე იწყება, შეიძლება ითქვას გაუცნობიერებლადაც. დიალოგი დარბაზის სიღრმიდან მაშინაც კი არ წყდება, როცა სცენაზე უკვე მოქმედება ვითარდება. სხვათა შორის, რეჟისორის ამ ჩანაფიქრს პირველივე სპექტაკლზე ასეთი კურიოზიც მოჰყვა. დარბაზის

იური ლოგაროვის ფოტო

ფესტივალ "საჩუქრის" ორგანიზატორებმა ბიზნესმენი მამუკა ხაზარაძე წლეულს დაწესებული სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს

ბოლოდან რაღაც ხმა რომ მოესმათ, რამდენიმე ქალბატონმა კარისკენ თავი მიატრიალა და ვიღაცას მკაცრად დაუტატანა: ჩუმად, ჩუმად, არ გვესმისო. დარბაზს სიცილმა დაუარა, როდესაც წესრიგის დამცველებს აბეზარი მაყურებელი კი არა, მსახიობები შერჩათ ხელში.

სპექტაკლში შექსპირისეული გუნდი არ არის, აქ არის მთხრობელი, რომელიც ამბავს გვიამბობს, რომელიც ზოგჯერ რომეოა, ზოგჯერ ტიბალტი, ზოგჯერ - ვინ და ზოგჯერ კიდევ ვინ (პრინციპში, მსახიობები გუნდის – ქოროს პრინციპით მოქმედებენ). თუმცა, ეს მონაცვლეობა მაყურებელს დისკომფორტს არ უნდა უქმნიდეს და არც რამე გაუგებრობას წარმოშობს (თუ არ ჩავთვლით ერთ ეპიზოდს, სადაც რომეოს როლს ქალი ასრულებს - ჩემთვის ცოტა გაუგებარი იყო), ეს მუდმივი მეტამორფოზა (ისევე როგორც ერთი ჯულიეტას შეცვლა მეორე ჯულიეტათი და ა.შ.) თითქოს იმაზე მიგვანიშნებს, რომ "რომეო და ჯულიეტა" ყველა ჩვენგანშია, და რომ ეს მარადიული ტრაგედიაა.

ამ განცდას ამძაფრებს ისიც, რომ პერსონაჟები - ძველი პატარა იტალიური ქალაქის მკვიდრნი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ამ დრამაში, პერიოდულად თანამედროვე ადამიანებად გვევლინებიან, რომლებიც რომეოსა და ჯულიეტას ამბავს გარედან, დროის გადასახედიდან უყურებენ, დასკვნებს აკეთებენ, მსჯელობენ, რეპსაც კი მღერიან. რომეოსა და ჯულიეტას ისტორია ორი კუთხით არის დანახული სპექტაკლში, გარედან და შიგნიდან.

სპექტაკლი, რომელიც ბერძენმა რეჟისორმა მიხეილ მარმარინოსმა წარმოგვიდგინა, ორმოქმედებიანია, მაგრამ სიუჟეტურად რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: თხრობა I, თხრობა II, თხრობა III, მოლოდინი, აღდგენა, გაძევება I, პირველი ღამე, საწამლავი, გამვლელები, სასაფლაო.

ერთ ასეთ სიუჟეტურ ნაწილში, რომელსაც "მოლოდინი" ჰქვია, დარბაზში საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა ჩამოწვება: "მოლოდინი პატარა დრამას ჰგავს, რომელსაც მოქმედებებიც ახლავს. პირველი მოქმედება, მეორე, მესამე... ზოგჯერ, დასასრულს, კათარზისსაც განიცდი ხოლმე." მსახიობები სცენიდან გადიან, მაყურებლის მთელი ყურადღება სცენისკენაა, რომ არაფერი გამორჩეს; მაგრამ, ამ დროს მსახიობი, რომელიც დროდადრო მთხრობელის ფუნქციას ასრულებს, მსმენელთან ერთად დარბაზში გვერდითა კარიდან შემოდის და დარბაზში მსხდომთ დაჟინებული მზერით აკვირდება, რამდენიმე მაყურებელს ამოარჩევს და "ჩამჭრელ" შეკითხვებს უსვამს. იქნებ იმიტომაც, რომ "ვისაც საკუთარ თავზე არ განუცდია ჭრილობის ტკივილი, ის ადვილად დასცინის სხვებს..."

სპექტაკლში არ არის არც ერთი ეპიზოდი, რომელიც მაყურებელს შეიძლება ყალბად მოეჩვენოს. და აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსახიობები შესანიშნავად თამაშობენ, ისინი ბოლომდე იხარჯებიან სცენაზე. ყურადღებას იქცევს ტექსტი, ეს გახლავთ შექსპირის პიესის, სონეტებისა და რეჟისორისეული ჩანართების ნაზავი.

სხვათა შორის, მაყურებელს, რომელიც იცნობს მარმარინოსის ექსპერიმენტებს, მთელი სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე აინტერესებს, თუ როგორ დამთავრდება ეს სპექტაკლი. სცენაზეც კი გაიჟღერებს ასეთი შეკითხვა: შეიძლება თუ არა, რომ გვერდი ავუაროთ ნაწარმოებს? ექსპერიმენტების მოყვარულ ბერძენ რეჟისორს პიესის ფინალისთვის გვერდი არ აუვლია, თუმცა სპექტაკლში საკუთარი ფინალური ფრაზა შემოიტანა: "არაფერი მაქვს სათქმელი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ერთი ფილმი გამახსენდა "ევდოკია" ჰქვია. ფილმის დასასრულს ქალი იღებს ჭიქას, კბეჩს, ღეჭავს და ყვირის "შენთვის". გინახავთ როდესმე?!" და დარბაზიდან გამოსული მაყურებელი, რომელსაც არასდროს არ უნახავს ეს ფილმი, მაინც ცდილობს გონებაში წარმოიდგინოს მისი ფინალი, დაფიქრდეს იმაზე, რაც სცენაზე გათამაშდა და მერე დასკვნაც გამოიტანოს, თუნდაც ასეთი, ერთი პერსონაჟი რომ ამბობს: მშვენიერი წუთები რომ არ არსებობდეს, მოგონებებად მხოლოდ მწირი და უსახური სანახაობა დაგვრჩებოდაო...

ფესტივალი "საჩუქარი" ერთი წლით დაგვემშვიდობა.

ახალი თაობა, ძველი(ს) განცდა

თეა პაიჭაძე

გოეთეს ინსტიტუტის დარბაზი, რომელიც ხშირად სწორედ ფოტონამუშევრებს ეთმობა ხოლმე, უკვე ერთი კვირაა თბილისში ერთობ პოპულარულ "დათო ცხადაძის ფოტოსტუდიის" (ისე, მას "სეპია" ჰქვია, მაგრამ ყველასთვის საყვარელი ხელმძღვანელის სახელით უფროა ცნობილი) მოსწავლეთა ნამუშევრებს მასპინძლობს. აქ ორმოცდაათამდე ავტორს შორის სტუდიის პირველი მოწაფეებიც არიან თავიანთი რჩეული ნამუშევრებით წარმოდგენილნი და ისინიც, ვინც დღეს ეუფლება ფოტოხელოვნებას; ყველანი თანაბრად, ძირითადად, ორ-ორი ფოტოთი.

თუმცა, ხელოვნების ნებისმიერი ნიმუშის მხატვრული ღირებულება იმით განისაზღვრება, რამდენად აამეტყველა შემოქმედმა გამოსახვის ესა თუ ის საშუალება და "როგორ" თქვა სათქმელი, თავიდანვე მოგახსენებთ: მე, ზოგადად, ძალიან მიყვარს ფოტო, როგორც ასეთი. ამის გამო ერთდროულად თან ტენდენციური ვარ და თან კრიტიკული. ამიტომ, მორიგი ფოტოგამოფენის ხილვისას დიდი სიამოვნებაც მივიღე საყვარელ ხელვნებასთან კვლავ ზიარებით და ნაცნობი ტენდენციების ძველებური ერთგულებაც უცებ მომხვდა თვალში.

თბილისში რომ ნებისმიერი რამ ერთბაშად შეიძლება მოდური გახდეს, ყველას კარგად მოგეხსენებათ. თუ ჩემს ბავშვობაში ფოტოგრაფობა საბუთის შავ-თეთრი, ან მეტწილად ძალიან მდარე გემოვნებით "დადგმული" სალონური ფოტოს გადაღებასთან ასოცირდებოდა, უკეთეს შემთხვევაში კი, გაზეთის "ილუსტრაციასთან", ბოლო წლებია ჩვენშიც (როგორც იქნა!) დაკავშირდა ხელოვნებასთან, რამდენიმე კონკრეტულ ცნობილ სახელთან და ახალ თბილისურ მოვლენასთან: ერთიმეორეზე ლამაზ, "პატარა გოგოებთან", რომელთა ნახვა ქალაქის ძველ უბნებში ხშირადაა შესაძლებელი, დიდობიექტივიანი აპარატებით შეიარაღებულებისა და ძალიან ამაყებისა.

ისინი, ძირითადად, "ცხადაძის სტუდიის მოწაფეები" არიან, რომელთა შორის ყოფნა ალბათ ბევრს და მათ შორის მეც არათხელ მინატრია. მაგრამ, აქ თავს იჩენს ერთი მომენტი: მათი სახელი კრებითია, თბილისელთა თვალში თითქოს სახეც ერთი აქვთ და ეს ერთგვაროვნება ნამუშევრებსაც გადასდებია. დათო ცხადაძის - ჭეშმარიტი, კარგი პედაგოგისა და თავად - ნამდვილი ხელოვანის დამსახურება იმაშია, რომ მოსწავლეები ერთნაირად დააოსტატა ტექნიკის თვალსაზრისით, სრულყოფილად დააუფლა ფოტოგრაფიის ხელო(ვნე)ბას და გემოვნება, მხატვრული ალღო განუვითარა, თვალი, ხედვა გაუმახვილა. ახლა უკვე მათ ნიჭსა და ნებაზეა, გამოავლინონ ინდივიდუალობა, იპოვონ საკუთარი სახე, დამოუკიდებლად დაიმკვიდრონ სახელი. მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, ამას არ ჩქარობენ. რამდენიმე წლის წინ სწავლადამთავრებულები სტუდიასთან კავშირს არ წყვეტენ, არც ფიზიკურად და არც მხატვრული მიდგომის თვალსაზრისით. ეს მიდგომა, ის ხედვა, რომელიც გამოფენაზე წარმოდგენილი სურათებისთვის საერთო გამოდგა: პრინციპში რეალისტური, რომელიც ამავე დროს თვალით ხილულ რეალობას "სხვა რეალობის" მსუბუქ ბურუსში ხვევს, თავისთავად, ძალიან შთამბეჭდავია და მაგალითად ჩემთვის - როგორც ზოგადად, ფოტოს მოყვარულისთვის მეტად მოსაწონიც. მაგრამ, მაინც ცოტა არ იყოს გაუგებარი მრჩება, ეპოქაში, როცა ხელოვნება ყველა ცნობილი ჩარჩოდან გამოსხლტა და სრულიად ახლებური სახე მიიღო, ფოტოგრაფიამ კი, როგორც თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთმა წამყვანმა (ექსპერიმენტირების საშუალების თვალსაზრისით) დარგმა მრავალი მიმართულებით ძიება გახადა შესაძლებელი, ახალგაზრდები, რომლებიც თავისთავად მოდის აყოლით მოვიდნენ ფოტოხელოვნებაში, ასეთი დაჟინებით რატომ ერთგულებენ მხოლოდ "ძველ" ხერხებსა და ხედვას. ამის გამართლებად შეიძლება ის მოვიყვანოთ, რომ ეს გაერთიანება ფოტოდოკუმენტალისტთა სახელს ატარებს, დოკუმენტალისტობა კი გარკვეულწილად რეალისტობასთანაა წილნაყარი. მაგრამ იგი, მგონია უფრო რეალური მასალის ასახვას გულისხმობს და არა - აუცილებლად რეალისტურად ასახვას.

საერთოა და "ძველია" "გოეთეში" გამოფენილი ნამუშევრების თემატიკაც. აქ, ძირითადად, ორი მიმართულება შეიძლება გამოიყოს, მთელი ვერნისაჟი თითქოს ორ დიდ სერიას წარმოგვიდგენს: "პორტრეტსა" და "რეპორტაჟს", ორივეს კი თან სდევს მსუბუქი სევდის, ნოსტალგიის და/ან სიმარტოვის განცდა.

ფოტოთა დიდი უმეტესობა შავ-თეთრია. მრავალი იზიარებს აზრს, რომ შავ-თეთრი ფოტო უფრო გამომსახველია, თითქოს უფრო ძარღვიანი, უკეთ სწვდება, ხსნის და წარმოგვიჩენს ასახვის ობიექტს; როგორც მსუყე, თამამი მონასმი ფერწერულ ტილოზე, კონტრასტული, მკაფიო შუქ-ჩრდილები აქ დიდ მახვილებს სვამენ და მართლაც გვაჩვენებენ, რა არის თეთრი და რა - შავი. ასე, მასალის კარგად შეგრძნებით ძერწავენ ახალგაზრდა ავტორები ცნობილი თუ უცნობი ადამიანების ფსიქოლოგიურ პორტრეტებს, ან ყველასათვის ნაცნობი რეალობის მახვილი თვალით დანახულ და ავტორისეული ხედვის პრიზმაში გადამტყდარ სურათებს. არ გტოვებს განცდა, რომ ეს შენც გინახავს, აღმოჩენის სასიამოვნო შეგრძნებაც დაგუფლებია, მაგრამ ვერ ამოგირიდებია უფერული გარემოდან და ახლა გიხარია, საზეიმოდ გამოფენილს რომ ხედავ და ერთდროულად სხვის ხელოვნებასთან ზიარების და თან თანამონაწილეობის განცდაც გიჩნდება.

მთელი ვერნისაჟი თითქოს ორ დიდ სერიას წარმოგვიდგენს: "პორტრეტსა" და "რეპორტაჟს", ორივეს კი თან სდევს მსუბუქი სევდის, ნოსტალგიის და/ან სიმარტოვის განცდა.

თეა პაიჭაძის ფოტო

შავ-თეთრი ფოტოს ღირსებებზე შევთანხმდით, მაგრამ ყოველგვარი მნიშვნელობით ჭრელ ამ ჩვენს სამყაროში იმდენი ფერია, თავისთავად ფერს კი ისეთი დიდი ძალა აქვს და ისე ხმამაღლა, ყველას გასაგონად შეუძლია ილაპარაკოს ყველაფერზე; კონტრასტული, ინტენსიური, მჟღერი ლაქებით, ან პასტელური ტონების სათუთი გრადაციებით გახსნას ყველაზე ამოუცნობი შინაგანი სამყარო, თუ დაგანახოს ხილული გარემოს მშვენება, ცოტა გული მწყდება, ცოტა მაკლია ეს - ფერის დღესასწაული. ამ მხრივ, ძალიან ამაღელვა რამდენიმე ფოტომ ცეკვის რეპეტიციის ამსახველი სერიიდან. შავსა და თეთრს, ამ ფოტოებზე, შეიძლება ითქვას, ერთი ფერი ჰქონდა მხოლოდ დამატებული - ალისფერი. მაგრამ, ისეთი ინტენსიური, ღრმა, ცოცხალი, მჩქეფარეა აქ მოცემული, ზოგადადაც ასეთი ფერი - წითელი, რომ ცეკვის ცეცხლი დარბაზშიც გადმოვიდა. აქვე მინდა დავძინო, რომ ამ სერიის სურათებს კომპოზიციის მძაფრი განცდაც ახასითებთ, მხატვრისეული თვალით ხედვა.

კიდევ ერთ სერიაში (სურათების სერია მხოლოდ ეს ორი იყო) ითამაშა ფერმა განწყობის შექმნაში დომინანტის როლი. ეს მოჩალისფრო-მოყვითალო-მოღვინისფრო-მოოქროსფრო ტონიც გახდა "ვარდების რევოლუციის" ამსახველი სურათების ერთ-ერთი გამაერთიანებელი. ძირითადად, აქ ის მოვლენები და სცენებია ასახული, რომლებიც თამაშდებოდა საღამოსა და ღამით (აქედან - ბინდი სურათებზე - ფორმას რომ აფერმკრთალებს), მეტწილად წვიმაში (სისველე, გამჭვირვალება - მატერიას რომ ასუფთავებს), სანთლის, ან კოცონის შუქზე (მოოქროსფრო, ირეალური ფერი -სულიერებას რომ აძლიერებს). ფოტოები ძალიან ამაღელვებელი გამოვიდა, ისინი რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის განცდას ბადებენ, ამასთან თითქმის დაუჯერებლის და, ამდენად, ზღაპრულის ელფერიც დაჰკრავთ.

ცხადია, შავ-თეთრი ფოტოც შეიძლება იყოს მრავალფეროვანი, ისმოდეს ხმაური, ჩქეფდეს სიცოცხლე. მაგრამ, გოეთეს ინსტიტუტში მოწყობილ ექსპოზიციაზე, პირობითი სახელწოდებით "სურათები არქივიდან", ძირითადად, ყველაფერი გარინდებულია, ჩუმი, თითქოს იდუმალი, სევდიანიც. და ძალიან ქართული. გუშინ გადაღებული სურათების ამ სათაურის ქვეშ გაერთიანება იმით ახსნეს გამოფენის ორგანიზატორებმა, რომ ყოველი გარდასული წამი უკვე წარსულია და ამდენად, მისი ამსახველი კადრი - არქივის კუთვნილება. მაგრამ, "არქივი" ცოტა სხვა ასოციაციებს იწვევს და სწორედ მათ შეესაბამება სტილით, თემატიკით და სურათზე გამეფებული განწყობით აქ გამოფენილი პრაქტიკულად ყველა "უფერო" ნამუშევარი.

საკმაოდ ბევრი ფოტოსთვის დამახასიათებელი კიდევ რამდენიმე ნიშანიც, თუ გამოსახვის ხერხი მომხვდა თვალში: ავტორი (და, შესაბამისად - დამთვალიერებელიც) სტატიკურ, თუ გინდაც, მოძრავ სურათებს ფანჯრის, კარის, ვიტრინის, მანქანის მინიდან უცქერს, ამ მინაში, ხანაც სარკეში არეკლილს, თუ გარდატეხილს ან, სულაც, საპნის ბუშტის მიღმა ხედავს. ესეც ხშირია: პერსონაჟები განზე, მეტწილად სარკმელში იცქირებიან. ეს გამჭვირვალე, მაგრამ მაინც არსებული რგოლი დამკვირვებელსა და მოვლენას შორის ერთგვარ ბარიერად იქცევა და სურათზე დატანილი ყოფა თუ სახე ეფემერული ხდება, თითქოს განყენებული, რეალობა ზმანებას ემსგავსება, ცხადი - სიზმარს, თან თითქმის უგამონაკლისოდ ამას ერთვის მსუბუქი სევდის, გამოუთქმელი ნაღველის, დაღლილობის, ხანაც სიმარტოვის უფრო ნაჩვევი, ვიდრე მტანჯველი შეგრძნება. ეს ყველაფერი აძლიერებს ფოტოს მხატვრულობას და მისგან მიღებულ შთაბეჭდილებასაც ამძაფრებს, ამდენად - უხდება სურათს, (წა)ადგება, ჰშვენის. მაგრამ, მე მაოცებს სიმრავლე ამგვარი მიდგომით შექმნილი ნამუშევრებისა, თავად ეს ჩამქრალობის (არ მინდა ვთქვა უსიცოცხლობის), შენელებულობის, უმოქმედობის, აპათიის, ნოსტალგიის განცდა ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, გაპრანჭულ თაობაში. ისინი თითქოს ამით გაურბიან რეალობას და თავშესაფარს თუნდაც მოწყენილ, მაგრამ საიმედოდ მშვიდ "ძველებურ" აღქმასა და განცდებში ეძებენ. მათ ნამუშევრებში შუშების, სარკეების სიმრავლეც იმის დასტურია, რომ ცხოვრების იქნებ სევდიან, მაგრამ ზღაპრულ, ლამაზ პრიზმაში გარდატეხილი ხატის დანახვა სურთ. ახლობლებისა თუ მათივე ახალგაზრდობის ფოტოებიც, სურათებზე მოცემული გმირები თითქოს ჩვენ რომ გვაჩვენებენ, მაგრამ მათით სახეს ოსტატურად კი იფარავენ, ამასვე მოწმობს, - აწმყოსთვის თვალის არიდებას, გაქცევას უკან, წარსულში. ეს ჩემთვის გაუგებარი ნოსტალგია იქამდეც მიდის, რომ საბჭოთა დროდან შემორჩენილი საგნებიც ხშირად ექცევა ახალგაზრდა ფოტოხელოვანთა ობიექტივში. ამის მიზეზი შეიძლება გაციცლებით მარტივია და ვიზუალურად მოწონებასა ან უბრალო ინტერესზე დადის. მაგრამ, გამოფენის მონაწილეთა დიდი უმრავლესობისთვის რომ საეჭვოდ საერთოა, ფაქტია.

არსებობს აზრი, თითქოს თანამედროვე ქართული ფოტოგრაფია და კერძოდ, ეს ფოტოდოკუმენტალისტთა სტუდიაც ჩაენაცვლა ქართულ კინემატოგრაფს (თქვენთან ერთად დიდ იმედს ვიტოვებ, რომ მხოლოდ დროებით გამქრალს). ფილმის ცალკეულ კადრსა და ფოტოს, შესაძლოა, ძალიან ბევრიც ჰქონდეს საერთო, მაგრამ თავად ფილმი, დროსა და სივრცით განზომილებაში მოლაპარაკე ხელოვნება და სურათი - სიბრტყეზე სტატიკურად არსებული, იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, ვისურვებდი ცალ-ცალკევე გააგრძელონ არსებობა ჩვენშიაც. ნურც ნურავის გაუჩნდება ამბიცია, თუნდაც კეთილი ზრახვით ნაკარნახევი, რომ თუნდაც ძალიან მაღალმხატვრულ, მაგრამ განსხვავებული საშუალებებით, თავის ენაზე მოსაუბრე ფოტოში "ჩატევს" ფილმს. არამედ უმჯობესია, იზრუნოს, როგორ კარგადაც დაეუფლა ფოტოტექნიკას, როგორი მგრძნობიარე და მახვილი თვალიც განუვითარდა, როგორი ესთეტიკური, დახვეწილი გემოვნებაც ჩამოუყალიბდა, ისევე ღრმად, შემართებით, შემოქმედებითად, მაძიებლის თვალით მიუდგეს საყვარელ საქმიანობას, მრავალფეროვანი გახადოს საკუთარი შემოქმედება, თვითმყოფადი და თანამედროვე; მხოლოდ მოძველებული ხერხებითა და "დაგვიანებული" ხედვით, საარქივოდ ნუ გადაიღებს (შექმნის) ფოტოს (დაე, იყოს ასეთებიც, ისინი ხომ თავისთავად მშვენიერია და თავისი ღირებულება გააჩნია), არამედ სადღეისოდ, დღევანდელი დამთვარიელებლისთვის.

EURO 2004

გაუმარჯოს მეფეს!



ივან ელგერას მორიგი თაური ნიკოპოლიდისის კარს ასცდა

ოტო რეჰაგელმა ბერძნული ფეხბურთი თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანა. ბერძნები პორტუგალიაში ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ და აუტსაიდერიდან სამართლიანად გადაიქცნენ ჯგუფის ფავორიტებად.

ესპანეთთან მატჩის შემდეგ საბერძნეთის ნაკრებმა ოთხი ქულა მოაგროვა და ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი რუსების წინააღმდეგ ექნება. ამდენად, ბერძნებს ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი აქვთ და ალბათ, ამ შანსს ხელიდან აღარ გაუშვებენ. თუ ასე მოხდა, ეს იქნება ბერძნული ფეხბურთის ყველაზე დიდი წარმატება მისი არსებობის ისტორიაში, რა თქმა უნდა, სანაკრებო დონეზე და ეს ყველაფერი ბერძნებს "მეფე ოტოდ" წოდებულმა ოტო რეჰაგელმა აჩუქა.

ოტო რეჰაგელი დღეს საბერძნეთში ყველაზე პოპულარული კაცია. "გაუმარჯოს მეფეს!" - პორტუს ქუჩებში სკანდირებდნენ ბერძენი გულშემატკივრები. მართლაც, რეჰაგელის გუნდმა ბევრი სიურპრიზი შესთავაზა საფეხბურთო სამყაროს. ბერძნები აქამდე ორჯერ იყვნენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე და ვერც ერთი ქულის მოპოვება ვერ მოახერხეს. 1994 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გოლიც ვერ გაიტანეს. ახლა კი მეოთხედფინალში გასვლის რეალური კანდიდატები არიან.

ოტო რეჰაგელმა, ფაქტობრივად, იგივე ტაქტიკა აირჩია, რაც პორტუგალიის წინააღმდეგ მატჩში. ბერძნები ცდილობდნენ, სწრაფი კონტრშეტევებით გასულიყვნენ ფონს. ესპანეთის ნაკრები კი შეეცადა, მთლიანად შეეზღუდა მეტოქისთვის მოედნის ცენტრში გადაადგილების საშუალება და ამით უპირატესობა მოეპოვებინა.

ესპანელებმა მხოლოდ ნაწილობრივ მოახერხეს ბერძნების შეზღუდვა და რამდენიმე სახიფათო გარღვევაც განახორციელეს, მაგრამ საბერძნეთის ნაკრები უაღრესად ყურადღებიანი იყო დაცვაში. თუმცა, თამაშის 28-ე წუთზე გოლი მაინც შედგა. ბერძენთა საჯარიმო მოედანში რაულმა ქუსლით დაუგორა ბურთი მორიენტესს და "მონაკოს" თავდამსხმელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა - 1:0.

ამის შემდეგ თამაში თითქოს გათანაბრდა. ბერძნები უფრო მოურიდებლად უახლოვდებოდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანს, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა არ გამოსდიოდათ.

მეორე ნახევარში თამაშის სცენარი არ შეცვლილა. თუმცა, ერთერთი კონტრშეტევის დროს ჰარისტეასმა ელგერას შეცდომით ისარგებლა და კასილიასს ფეხებში გაუძვრინა ბურთი - 1:1. ანგარიში, რომელიც საბერძნეთის ნაკრებს სხვებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს.

"საბერძნეთის ნაკრებმა უაღრესად თანამედროვე ფეხბურთი აჩვენა. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ სარაგოსაში განცდილი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანშის აღება. ჩვენ პორტუგალიასთან შეხვედრამდე 6 ქულის აღებას ვგეგმავდით. ახლა კი ჯგუფიდან გასასვლელად ურთულესი მატჩი მოგველის პორტუგალიის წინააღმდეგ," - განაცხადა ინიაკი საესმა.

"შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩვენ შევძელით მაქსიმუმი სარგებელი მიგვეღო ფავორიტებთან შეხვედრებში, რაც ჯგუფიდან გასვლის კარგ შანსს გვინარჩუნებს," - აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ოტო რეჰაგელი. შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში გასვლისთვის საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია ნაკრების ფეხბურთელებს 2 მილიონ ევროს დაჰპირდა.

სკოლარის ბედი ესპანეთთან გადაწყდება



მანიშემ ამ დარტყმით პორტუგალიის ნაკრების გამარჯვებას დაუდო საფუძველი

საბერძნეთის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ პორტუგალიური პრესა აცხადებდა, რომ სკოლარი ერთ ნაბიჯზეა იმისგან, დაამტკიცოს, რომ მსოფლიო ჩემპიონატი რონალდომ და რონალდინიომ მოიგეს და არა სკოლარიმ. ასეთი განცხადების შემდეგ ნათელია, რომ ბრაზილიელ მწვრთნელს არავინ აპატიებს, თუ პორტუგალიის ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავა.

პორტუგალიელებმა გუშინ პირველი გამარჯვება კი მოიპოვეს, მაგრამ მათ აუცილებლად მართებთ ესპანეთის დამარცხება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ჩემპიონატს გამოეთიშებიან. ამიტომ ლუიშ ფელიპე სკოლარიმ რუსებთან შეხვედრაში არ გარისკა და მინდორზე უმეტესად ის ფეხბურთელები გამოიყვანა, რომლებმაც 26 მატჩი ჩემპიონთა ლიგა მოიგეს. ანუ სკოლარიმ წინა მატჩთან შედარებით ოთხი ცვლილება განახორციელა.

მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში "პორტუს" სამი ფეხბურთელი დააყენა. მარჯვენა მცველის პოზიციაზე "პორტუს" კიდევ ერთი ფეხბურთელის პაულუ ფერეირას ნაცვლად მიგელმა ითამაშა. დაცვის ცენტრში ფერნანდო კოუტუს ადგილი რიკარდუ კარვალიუმ დაიკავა, ხოლო რუი ჟორჟე და რუი კოშტა, ნუნუ ვალენტემ და დეკომ შეცვალეს. მიუხედავად იმისა, რომ რონალდუმ წინა შეხვედრაში გოლი გაიტანა, სასტარტო შემადგენლობაში სკოლარიმ მინც სიმაუ საბროსა დააყენა. ბრაზილიელმა მწვრთნელმა თამაში კვლავ 4-5-1 სისტემით დაიწყო. ერთადერთ თავდამსხმელად კი პაულეტა გაამწესა. ნუნუ გომეში სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

პორტუგალიელებმა თამაში აქტიურად დაიწყეს და მე-7 წუთზე დეკოს გადაცემის შემდეგ, მანიშემ ანგარიში გახსნა. სკოლარის გუნდი ამის შემდეგაც ხშირად უტევდა. პირველი ტაიმის ბოლოს კი ლოსკოვმა უხეიროდ დაუბრუნა ბურთი ოვჩინიკოვს. პედრო პაულეტამ ჩაჭრა გადაცემა და რუსეთის ნაკრების მეკარე იძულებული გახდა ბურთი საჯარიმო მოედნის გარეთ ხელით შეეჩერებინა. მსაჯმა სრულიად სამართლიანად ოვჩინიკოვს წითელი ბარათი უჩვენა და მინდვრიდან გააძევა. ამის შემდეგ აშკარა იყო, რომ რუსები თამაშს ვეღარ გადაარჩენდნენ. საბოლოოდ ასეც მოხდა. რუსებმა კარში ერთადერთხელ დაარტყეს და 0:2 დამარცხდნენ.

"ყაზბეგი" რა ხილია, აფრიკაშიც კი იცვიან

მესამე ტაიმი რაგბიში ჩვეულებრივი ამბავია – ითამაშებენ გუნდები, შემდეგ კი ერთად მოულხენენ სუფრასთან. გუშინდელი სარაგბო მატჩის შემდეგაც რომ იგივე მოხდებოდა, რა დიდი მარჩიელობა სჭირდებოდა, თუმცა გუშინდელი ღონისძიება მცირედით განსხვავდებოდა ტრადიციული მესამე ტაიმისგან. "ყაზბეგს" აქამდე არაერთხელ მოუწყვია, ასე ვთქვათ, ექსკურსია ქარხანაში პედაგოგებისთვის, ჟურნალისტებისთვის, ექიმებისთვის და სხვა პროფესიის ადამიანთათვის. გუშინ ექსკურსანტების როლში სამხრეთაფრიკელი მორაგბეები იყვნენ. ჩვეული ჭამა-სმის შემდეგ აფრიკელებს ქარხანა დაათვალიერებინეს, ცოტა ხნით ადრე კი აფრიკელები და ქართველები ლუდის სმაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. პირობა ამგვარი იყო – ვინ უფრო სწრაფად შესვამდა ორ კათხა ლუდს. გამარჯვებული ამ შემთხვევაშიც აფრიკელები დარჩნენ – დანი როსუმ ისეთი სისწრაფით შესვა ორივე კათხა, ზოგიერთს, შესაძლოა, უბრალოდ გადასხმაც ვერ მოესწრო.

სხვათა შორის, აფრიკელები ერთობ აღფრთოვანებულან ქართული ლუდით, განსაკუთრებით "მონადირე" მოსწონთ და იცოცხლეთ, ტკბებიან მისით - "ყაზბეგი" დღეში 200 ბოთლს უგზავნის მორაგბეებს საჩუქრად.

ლუდის სმაში გამარჯვებული დანი როსუ ყაზბეგის ლუდით კმაყოფილი დარჩა

რაგბი

ზე-12 რუსთავსაც ეწვია

საქართველო A – "ბლუ ბულზი" 17:55

პაატა თოთაძე

გოგიტა გუხაიძის ფოტო

აფრიკელმა "ლურჯმა ხარებმა" რაგბიშიც მოგვიგეს და ლუდის სმაშიც

საქართველო A: *ბალანჩივაძე, ჯოხია, კორკოტაძე, მჭედლიშვილი, პავლოვი, პაპაშვილი, სარდანაშვილი, ვალიშვილი, ფაილოძე, გ. კაჭარავა, კობერიძე, გიგაური, დ. კაჭარავა, შუბითიძე, ვ. სოხაძე.*

სათადარიგოები: *სანიკიძე, მელიქიძე, ჭყონია, ალიმბარაშვილი, ყუფარაძე, ახვლედიანი, საყვარელიძე, კვირიკაშვილი, თოდრაძე, ხაჩირაშვილი.*

ბლუ ბულზი: *ლენსხინხი, გ. ბოთა, ბანდსი, ფერმააკი, ფანშოუვენბურხი, არლოუ, კრაუზე, ჰოფმანი, იორდაანი, შტაინი, იუისი, ფენტერი, ფაუნთინი, ფრედრიქსი, ფანდენბერხი.*

სათადარიგოები: *ფანდერვალტი, ჰიუმანი, რუ, ფერმიულენი, ფანდენმერვე, სტრაიდომი, ნილი.*

პირველ მატჩში კლუბების ნაკრების, უფრო სწორად კი "ლოკომოტივის" დამარცხების შემდეგ გულშემატკივრებში ერთგვარი შიშიც კი გაჩნდა, ამათთან თამაშს აზრი არა აქვს, მაინც ვერას გავხდებითო. შესაბამისად შემცირდა სტადიონზე მიმსვლელთა რაოდენობაც, თუმცა მათ, ვინც ყველაფრის მიუხედავად მივიდა სტადიონზე, არაფერი დაუკარგავთ. მეტიც, ამისთანა გუნდის ხილვის საშუალება განა ხშირად მიეცემა ადამიანს. და რაც მთავარია, თამაშიც არ გამოვიდა ურიგო. მართალია, გუშინაც დავმარცხდით, მაგრამ პირველ მატჩთან შედარებით ჩვენი გუნდი აშკარად უკეთ გამოიყურებოდა. იყო ეპიზოდები, როცა ქართველებმა კარგად ითამაშეს, დაცვაში გადაწყობასაც ახერხებდნენ დროულად და ზონებსაც ხურავდნენ. ამის გამო აფრიკელები ვეღარ ახერხებდნენ ისე მარტივად ლეღოების გატანას, როგორც პირველ მატჩში. თითქოს ამაში ბევრი არაფერია გასახარი, თუმცა ასეთ გრანდთან ჭიდილში თითოეული წინგადადგმული ნაბიჯიც წარმატებად ითვლება.

თამაში ისე დაიწყო, იფიქრებდით, ეგაა და გაგვანადგურებენ აფრიკელებიო, თუმცა, მალე ყველაფერი შეიცვალა. ათი წუთის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც მეტოქემ ორი ლეღო გაგვიტანა, ქართველებიც ათამაშდნენ და სულ მალე პირველი ლეღოც გაიტანეს – მარცხენა ფრთაზე კობერიძემ გამოიჩინა თავი. ტაიმის ბოლოს ერთი ლეღოს გატანის შესაძლებლობაც მოგვეცა, თუმცა, მეტოქის ჩათვლის მოედანთან ახლოს ჩვენი აუტი წავაგეთ. სხვათა შორის აფრიკელებმა ბლომად აუტები მოგვიგეს, ამასთან მათი შერკინება აშკარად ჩაგრავდა ჩვენსას. ეს განსაკუთრებით სტატიკაში იგრძნობოდა, თორემ დინამიკაში აფრიკელთა უპირატესობა იმდენად დიდი არ იყო. ამ უპირატესობის ბრალი იყო, მეტოქემ რამდენიმე ლეღო მოგებული აუტის შემდეგ რომ გაგვიტანა. იგებდნენ აუტს, აყენებდნენ მოლს და შედიოდნენ წყნარად ჩვენს ჩათვლის მოედანზე –ჩვენი მორკინალები მათ შეჩერებას ვერ ახერხებდნენ.

ჩვენი გუნდი აფრიკაში საუკეთესოდ თამაშობს დაცვაშიო, რამდენიმე დღის წინ განაცხადა აფრიკელთა ერთერთმა მწვრთნელმა. გუშინ ქართველებმა სამჯერ მოახერხეს მათი დაცვის ხაზის გარღვევა. დიდი ვერაფერი ხეირი, როცა მეტოქე ცხრა ლელოს გიტანს, თუმცა ისევ და ისევ იქიდან გამომდინარე, თუ ვინ ვართ ჩვენ და ვინ გვყავს მეტოქედ, შედეგი ურიგო არაა. აქედან გამომდინარე, ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება - კვირას ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ეროვნული ნაკრებსა და "ბლუ ბულზს" შორის დიდი ბრძოლა გაიმართება. ჩვენი ძალაც იქ გამოჩნდება.

ფრენბურთი

იყვირეთ "საქართველო" - უფასოდ

გიგა გურასაშვილი

ზოგადად ფრენბურთი, როგორც სპორტის სახეობა, ჩვენში კარგად იციან და მოსწონთ კიდეც, განსაკუთრებით ქალთა ფრენბურთი. ისე, რატომაც არა! არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სპორტის გულშემატკივართა უმეტესობას ძირითადად კაცები შეადგენენ. აქედან გამომდინარე, არავისთვის უწვეულო არ უნდა იყოს ისიც, რომ ქალთა ფრენბურთი უფრო ფასობს ჩვენთან, ვიდრე ვაჟთა. ასე რომ, ზემოთ თქმულიც ნუ გაგიკვირდებათ.

ერთი სიტყვით, ორიოდ დღეში საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრებს მორიგი გამოცდის ჩაბარება უწევს. ისე, გამოცდაც, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული ნათქვამია. გამოცდის ჩაბარება იმას უფრო ეგების, ვისაც ამა თუ იმ სპორტის სახეობაში ჭიპი აქვს მოჭრილი. ჩვენებს კი ამას ნამდვილად ვერ დავწამებთ. რა გამოცდაზეა ლაპარაკი, როდესაც პირველად ბურთი წლეულს აიღეს ხელში და ისიც ისეთ მნიშვნელოვან ასპარეზობაზე, როგორიცაა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო, ანუ შესარჩევი ეტაპი. და მაინც, თუ ძალიან გნებავთ, მას გამოცდის ჩაბარება ვუწოდოთ. გამოცდაზე გასვლა და ტვინის ჭყლეტა ჯერ შვედებთან მოგვიწია, მერე მოლდოვასთან. მართალია, ორივე თამაში წავაგეთ, მაგრამ კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმას, რომ მთლიანობაში ეს საქართველოს ნაკრებისთვის დებიუტი იყო, საერთოდ კი წლეულს სადებიუტო წელი გვაქვს. ასე რომ, ნურც იმაში დავძრახავთ ჩვენს გოგონებს, თუ სლოვენიასთან შინაურ კედლებში წავაგებთ. მატჩი კი 18 ივნისს სპორტის სასახლეში შედგება და მასში წარმატება მნიშვნელოვანწილად მაყურებელზეც იქნება დამოკიდებული. რაც მეტი იქნება გულშემატკივარი, მით მეტი იქნება წარმატების შანსი. და თუ ვინმე მაინც შეფიქრიანებულია და გარკვეული გარემოებების გამო ვერ გადაუწყვეტია, წავიდეს თუ არა სპორტის სასახლეში საქართველოსა და სლოვენიის დაპირისპირების სანახავად, შევაგულიანებთ და ვეტყვით, რომ მატჩზე დასწრება უფასოა. ასე რომ, თითოეულ თქვეთაგანს შეუძლია, საქართველოს ნაკრებს ამოუდგეს მხარში. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ნაკრების სახელით პირობას გაძლევთ, რომ ჩვენი გოგონები უკან არაფერზე დაიხევენ. მეტიც, როგორც საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ნინო მეტრეველმა გვითხრა, "საქართველოს ნაკრები უბრძოლველად არაფრის დათმობას არ აპირებს. შედეგისთვის ვიბრძოლებთ. ჩვენ საქართველოს ავაყვირებთ".

დანარჩენი თქვენზეა. თქვენზეა დამოკიდებული ნაკრების შეგულიანება. გარკვეულწილად თქვენზეა დამოკიდებული შედეგიც. პირადად მე საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, თუ როგორ მოაგებინა ქართველმა გულშემატკივარმა საქართველოს ნაკრებს ჩვენზე გამობრძმედილ და დალხენილ შვედებთან ორი პარტია. გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ გადამწყვეტ მეხუთე პარტიაშიც ჩვენს გოგონებს მიჰყავდათ ანგარიში, მაგრამ ნერვებმა უმტყუნათ და თითქმის მოგებულ პარტიაში ერთიანად შვიდი ქულა დაკარგეს.

ახლა კი შვედებზე და მოლდოველებზე ბევრად ძლიერ ნაკრებთან – სლოვენიელებთან გვიწევს ჭიდილი. სლოვენია კი, მართლაც რომ, გუნდია. სადებიუტო მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ მიქაძემ აღნიშნა, რომ ქვეჯგუფის ფავორიტად ხორვატიის ნაკრებია მიჩნეული, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ სლოვენიის ნაკრები უფრო საშიშია. საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ვკითხეთ კიდეც, რაიმე ინფორმაცია თუ გააჩნდა მეტოქე გუნდებზე, ნანახი თუ ჰქონდა მათი თამაში, მანერა, მაგრამ გაირკვა, რომ ნუგზარ მიქაძეს მეტოქეებზე მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები გააჩნდა. დანარჩენი კი მაშა ცარენკოსგან შეუტყვია. ალბათ, იკითხავთ, ვინაა ცარენკოო. ვინაა და... მაშა ცარენკო რამდენიმე წელიწადია, რაც იუოგსლავიურ სკოლაში იწრთობა. ერთი სიტყვით, თავისუფალი აგენტია და ხან ბოსნიასა და ჩერნოგორიაში თამაშობს, ხანაც სლოვენიაში. უთამაშია ევრო თასებზეც. ახლა კი საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი გამოუთქვამს და აბა, უარს ვინ ეტყოდა?! ერთი სიტყვით, სლოვენიელებზეც და ხორვატებზეც საკმაო ინფორმაცია აქვს. მიქაძემ კი ცარენკოს აზრის გათვალისწინებით გვითხრა, რომ ამ ეტაპზე სლოვენიელები ხორვატებზე ძლიერები არიან. გაგანდობთ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის აზრსაც. ცარენკოს შემომატებით საქართველოს ნაკრები საგრძნობლად გაძლიერდა.

ბევრი რომ არ გაგაგრძელოთ, ხვალ სლოვენიელებთან 17:30 საათზე გვაქვს დაპირისპირება და 20 ივნისს ხორვატიასთან. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, დასწრება თავისუფალია – გულშემატკივრობაც!

კალათბურთი

14 წლის შემდეგ

"დეტროიტი" NBA-ის ჩემპიონია!

"დეტროიტ პისტონზი" - "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" 100:87 (25:24, 30:21, 27:14,18:28)
სერიის ანგარიში - 4:1

გუშინ NBA-ის ახალი ჩემპიონი გამოვლინდა. 14 წლის შემდეგ "დეტროიტ პისტონზმა" ფინალურ სერიაში "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" გაანადგურა - 4:1 და NBA-ის ჩემპიონის ბეჭედი დაიბრუნა. ამ გუნდების მეხუთე მატჩი დამთავრდა - 100:87 "დეტროიტის" სასარგებლოდ.

ფინალური სერიის ფავორიტებად კალიფორნიელები ითვლებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონ ლოსანჯელესელები მეტისმეტად თავდაჯერებულნი იყვნენ საკუთარ ძალებში და იოლ გამარჯვებას მოელოდნენ. გავრცელდა აზრი, რომ თუ "ლეიკერსი" ოთხ მატჩში ვერა, ხუთ შეხვედრაში ნამდვილად გაიმარჯვებდა. ფილ ჯექსონიც კი, რომელიც, ჩვეულებრივ, უაღრესად ფრთხილი და თავშეკავებულია, ვერ ფარავდა მეტოქის მიმართ არასერიოზულ დამოკიდებულებას. "საგანგაშო არაფერია. გაიხსენეთ, როგორ დავიწყეთ სერია "სან-ანტონიოს" წინააღმდეგ ("ლეიკერსი" - 0:2-ს აგებდა და შემდეგ სერია მოიგო)", - განაცხადა ფილ ჯექსონმა "დეტროიტთან" წაგებული მეორე მატჩის შემდეგ (87:75).

სერიის მეორე მატჩი "ლეიკერსმა" - 99:91 მოიგო და ყველამ მიიჩნია, რომ ფილ ჯექსონის გუნდს, უბრალოდ, გაუმართლა. მატჩის დამთავრებამდე 16 წამით ადრე "დეტროიტი" სამ ქულას იგებდა და მხოლოდ კობი ბრაიანტის საოცარმა ტყორცნამ გადაიყვანა მატჩი ოვერ-ტაიმში. დამატებით დროში "დეტროიტის" კალათბურთელებს ძალა არ ეყოთ.

სამაგიეროდ, ლარი ბრაუნის გუნდმა შემდგომი მატჩებისთვის შემოინახა თავი. მომდევნო შეხვედრაში "დეტროიტმა", უბრალოდ, დაამცირა მეტოქე - 88:68. მეოთხე მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა, მაგრამ მომავალმა ჩემპიონმა მაინც მოახერხა სასურველი შედეგის მიღწევა - 88:80. ანგარიშის მიუხედავად, "დეტროიტის" უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა და უკვე ფილ ჯექსონს მოუხდა თავისი მოთამაშეების დამშვიდება. მატჩის შემდეგ ლარი ბრაუნს სიხარული არ გამოუმჟღავნებია. "სერია მხოლოდ მაშინ მთავრდება, როცა რომელიმე გუნდი ოთხ გამარჯვებას მოიპოვებს. ჯერჯერობით ჩემს ბიჭებს ვუხსნი, რომ მათ ისევე ითამაშეს, როგორც წინა სამ მატჩში, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. "ლეიკერსს" წვრთნის ადამიანი, რომელმაც ჩემპიონის 9 ტიტული მოიგო. "ლეიკერსის" შემადგენლობაში ირიცხება უმაღლესი კლასის ორი კალათბურთელი და ორიც ისეთი, ვინც ამ გუნდში სწორედ ბეჭდის მოსაგებად მივიდა. ასე რომ, გამარჯვებაზე ფიქრი ჯერ ადრეა", - დაასკვნა მაშინ ლარი ბრაუნმა.

REUTERS

მხოლოდ ერთ პროცენტს სწამდა, რომ "დეტროიტი" ფინალურ სერიას 4:1 მოიგებდა.

"დეტროიტი". სასტარტო შემადგენლობა:
ჰამილტონი (მ), ბილაპსი (მ), პრინსი (ფ), რ. უოლესი (ფ), ბ. უოლესი (ც).
რიჩარდ ჰამილტონი: 21 ქულა, 4 გადაცემა, 3 მოხსნა, ბენ უოლესი: 18-1-22, ტეიშონ პრინსი: 17-2-10, ჩონსი ბილაპსი: 14-6-3, რაშიდ უოლესი: 11-0-1
"ლეიკერსი". სასტარტო შემადგენლობა: ბრაიანტი (მ), პეიტონი (მ), მედვედენკო (ფ), დივინ ჯორჯი (ფ), ო`ნილი (ც).
კობი ბრაიანტი: 24-4-3, შაკილ ო`ნილი: 20-1-8, სტანისლავ მედვედენკო: 10-1-5, დერეკ ფიშერი: 10-1-2, რიკ ფოქსი: 6-0-2

სხვათა შორის, "პისტონზის" მწვრთნელი პირველია აშშ-ში, რომელსაც თავის გუნდებთან ერთად ყველა დონის ტურნირი მოუგია, კოლეჯით დაწყებული და მსოფლიოს უმთავრესი ასოციაციის ტურნირით დამთავრებული.

მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა რიჩარდ ჰამილტონი, რომელმაც გუნდს 21 ქულა შესძინა, მაგრამ საუკეთესო მოთამაშის პრიზი ჩონსი ბილაპსს ერგო. სწორედ მასზე გაამახვილეს ყურადღება კობი ბრაიანტმა და შაკილ ო`ნილმა. ბილაპსის პარტნიორებმა კი ამით მოედანზე მოქმედების თავისუფლება მიიღეს და თავის გამოჩენის საშუალება მიეცათ.

კალიფორნიის მასმედია "დეტროიტის" ასეთ დამაჯერებელ გამარჯვებას შაკილ ო`ნილის უფერულ თამაშს აბრალებს. "მსაჯებთან ნაკლები უნდა იკამათო. არბიტრებზე ზეწოლა სხვა მაღალანაზღაურებად მოთამაშეებსაც შეუძლიათ", - ასეთი იყო ზოგიერთი ჟურნალისტის ტონი. "ლეიკერსი" კარლ მელოუნის ტრავმამ და გუნდში არც ისე სახარბიელო მდგომარეობამაც დააღალატა. მაგალითად, მეოთხე მატჩის წინ მოთამაშეთა ჯგუფი მწვრთნელთან მივიდა და კარლისა და პეიტონის გუნდიდან მოშორება მოსთხოვა, თითქოს ასაკის გამო ისინი სათანადო თამაშს ვერ აჩვენებენ, პეიტონი კი ბილაპსმა საერთოდ დაამცირა. ფილ ჯექსონმა შეისმინა მოთამაშეთა განმარტება. თუმცა, "ლეიკერსს" ვერც ამ ცვლილებებმა უშველა. უნდა ითქვას, რომ გამარჯვებულებმა NBA-ის ახალი რეკორდი დაამყარეს. მათ მეტოქეებს 38 მატჩში არ მისცეს 100 ქულის მოპოვების საშუალება.

ისეთი დაცვით, როგორიც "დეტროიტს" აქვს, ჩემპიონად გახდომა შეუძლებელია. საინტერესოა, რომ NBA-ის ოფიციალურ საიტზე ჩატარდა გამოკითხვა. გულშემატკივარს სთავაზობდნენ, გამოეცნოთ ფინალური სერიის გამარჯვებული და ანგარიში. მხოლოდ ერთმა პროცენტმა აღნიშნა "დეტროიტის" გამარჯვება ანგარიშით - 4:1.

კონკურსი ევრო 2004

ლიდერთა მდგომარეობა 5 მატჩის შემდეგ და მათი პროგნოზები

ადგ	გვარი, სახელი, მამის სახელი	ქულა	პროგნოზი 06	07	08
1-8.	აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე	44	3:0	2:0	1:2
1-8.	გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე	44	2:0	1:0	2:1
1-8.	კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე	44	3:0	1:0	1:2
1-8.	კახელიშვილი მამუკა ნოდარის ძე	44	2:0	3:1	2:1
1-8.	მამაცაშვილი თეო გურამის ას	44	2:2	2:0	2:2
1-8.	მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე	44	2:0	1:0	2:1
1-8.	ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე	44	2:0	1:0	2:1
1-8.	ჯიბლაძე ნიკოლოზ ლერის ძე	44	2:0	1:1	2:1
9.	კალანდარიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე	43	0:1	2:1	2:1
10-43.	ადიკაშვილი დანიელ დავითის ძე	38	3:1	3:1	3:2
10-43.	აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე	38	3:0	2:0	2:1
10-43.	ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე	38	2:0	1:0	1:1
10-43.	ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე	38	3:1	2:0	2:1
10-43.	ახვლედიანი ვასილ ვასილის ძე	38	3:0	2:1	1:2
10-43.	ბაქრაძე ბესარიონ გიორგის ძე	38	3:1	2:0	2:1
10-43.	გეთიაშვილი გიორგი გოჩას ძე	38	3:0	1:0	3:2
10-43.	გიორგობიანი მერაბ რევაზის ძე	38	3:0	1:1	1:1
10-43.	გოდერძიშვილი ლაშა ძე	38	2:0	2:1	1:1
10-43.	გრიშაშვილი მამუკა იურის ძე	38	2:0	1:0	2:2
10-43.	დიდიძე გიორგი ზურაბის ძე	38	3:1	1:1	1:2
10-43.	დოლიძე დავით პაატას ძე	38	4:1	1:1	1:3
10-43.	დოხნაძე გიორგი ტუგოს ძე	38	1:0	1:0	0:0
10-43.	ზაზაშვილი ზურაბ ბეჟანის ძე	38	3:0	2:0	2:1
10-43.	თავბერიძე ზურა კახის ძე	38	2:0	1:1	1:0
10-43.	კაპანაძე იოსებ აბელის ძე	38	3:0	2:0	0:1
10-43.	კუბლაშვილი თენგო მიხეილის ძე	38	3:1	1:0	1:1
10-43.	ლაგვილავა ედემ ტერენტის ძე	38	3:1	2:0	2:1
10-43.	მატარაძე ლევან მამუკას ძე	38	2:0	2:1	2:1
10-43.	მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე	38	3:0	2:0	2:1
10-43.	მუმლაძე აკაკი დომენტის ძე	38	2:0	2:1	0:1
10-43.	ნიქაბაძე ალექსანდრე თამაზის ძე	38	1:0	1:1	2:1
10-43.	სუთიაშვილი არჩილ ზურაბის ძე	38	0:1	1:0	2:0
10-43.	ქებულაძე თამაზ ვარლამის ძე	38	2:0	2:1	2:1
10-43.	ყირიმლიშვილი ჯაბა ელგუჯას ძე	38	1:0	2:2	1:1
10-43.	ცინცაძე დავით გიორგის ძე	38	3:1	2:1	1:2
10-43.	ხვედელიანი ირაკლი მიხეილის ძე	38	2:0	2:1	2:2
10-43.	ჯაბაური დავით ლევანის ძე	38	1:0	3:0	0:0
10-43.	ჯალაღონია ლაშა გენადის ძე	38	2:1	2:0	1:1
10-43.	ჯალაღონია ლაშა გენადის ძე	38	2:0	2:1	1:1
10-43.	ჯალაღონია ლაშა გენადის ძე	38	2:0	2:0	1:1
10-43.	ჯალაღონია ლაშა გენადის ძე	38	2:0	2:1	1:2
10-43.	ჯამბურია ლევან გივის ძე	38	3:1	2:0	2:1
10-43.	ჯაყელი ანრი გიორგის ძე	38	2:0	3:0	3:1
44-45.	ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე	37	2:1	1:0	1:2
44-45.	ჩიტაიშვილი გიორგი თომას ძე	37	2:0	1:0	3:2
46-66.	აქუბარდია ზურაბ სერაპიონის ძე	33	3:0	2:0	1:2
46-66.	ახვლედიანი ვასილ ალექსანდრეს ძე	33	2:0	2:0	2:2
46-66.	გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე	33	3:0	2:0	1:2
46-66.	გაბრიჩიძე გიორგი იულონის ძე	33	2:0	2:0	1:1
46-66.	იმნაიშვილი ია ზაზას ასული	33	1:1	3:1	2:2
46-66.	კაკუბავა გიორგი კარლოს ძე	33	1:0	2:1	1:0
46-66.	კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე	33	3:1	1:0	1:1
46-66.	კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე	33	3:0	2:0	2:1
46-66.	კალანდარიშვილი დავით გიორგის ძე	33	3:1	1:0	1:2
46-66.	კაპანაძე იოსებ აბელის ძე	33	2:0	1:0	2:1
46-66.	კაპანაძე იოსებ აბელის ძე	33	3:0	1:0	2:1
46-66.	მაწარაშვილი ელგუჯა ზაალის ძე	33	3:0	3:0	3:0
46-66.	მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე	33	3:0	1:0	1:2
46-66.	მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე	33	2:0	1:0	1:1
46-66.	მუმლაძე აკაკი დომენტის ძე	33	3:0	2:1	2:2
46-66.	ონიანი დავით როლანდის ძე	33	2:1	2:0	1:2
46-66.	ყურაშიძე ვახტანგ მიხეილის ძე	33	2:1	2:0	1:0
46-66.	ჩინჩალაძე ლევან ალექსანდრეს ძე	33	2:0	1:1	2:2
46-66.	წიკლაური თამაზ ალექსანდრეს ძე	33	2:0	1:1	1:1
46-66.	ხარხელაური ვლადიმერ ლევანის ძე	33	1:1	1:0	1:3
46-66.	ჯიჯეიშვილი თენგიზ ალექსანდრეს ძე	33	2:0	2:1	2:1
67-123.	აბაშიძე ლევან ზაზას ძე	32	2:0	3:1	1:0
67-123.	ადუაშვილი თორნიკე ამირანის ძე	32	2:1	3:0	1:2
67-123.	ალბუთაშვილი გიორგი ელგუჯას ძე	32	3:1	1:0	2:2
67-123.	ანთაური გიორგი ხვთისოს ძე	32	3:1	2:0	2:1
67-123.	ანთაური გიორგი ხვთისოს ძე	32	3:1	1:0	2:2
67-123.	ბერიძე თორნიკე მუხრანის ძე	32	3:2	2:1	2:1
67-123.	გეგეჭკორი შალვა ალექსანდრეს ძე	32	2:0	2:1	0:1
67-123.	გელაშვილი ზურა ვაჟას ძე	32	3:0	2:1	3:2
67-123.	გელაძე გელა ტარიელის ძე	32	3:0	2:2	2:2
67-123.	დავითულიანი გიორგი როლანდის ძე	32	2:0	1:1	1:1
67-123.	დალაქიშვილი ქეთევან ოთარის ძე	32	2:0	2:0	2:1
67-123.	დანელია არველოდ ილიას ძე	32	1:0	0:0	2:1
67-123.	დეკანოიძე გიორგი პაატას ძე	32	2:1	1:0	2:1
67-123.	დოლიძე გიორგი თედორეს ძე	32	2:0	2:1	1:2
67-123.	ზილფიმიანი ლევან დავითის ძე	32	2:0	2:1	3:2
67-123.	იმნაიშვილი არჩილ ვაჟას ძე	32	2:0	1:1	2:1
67-123.	ირემაძე გოგა გიზოს ძე	32	2:0	1:0	1:0
67-123.	კავკასიძე თამარ ვაჟას ასული	32	2:0	1:0	1:1
67-123.	კაპანაძე გიორგი ვახტანგის ძე	32	2:0	3:0	1:1
67-123.	კაპანაძე იოსებ აბელის ძე	32	3:0	1:0	1:1
67-123.	კაციტაძე ჯემალ ბენიას ძე	32	2:0	2:1	3:2
67-123.	კეკელაშვილი ჯიმი თეიმურაზის ძე	32	2:0	3:0	1:0
67-123.	კილაძე სპირიდონ პავლეს ძე	32	2:1	3:1	0:0
67-123.	კუხიანიძე ლექსო მალხაზის ძე	32	2:0	2:1	1:0
67-123.	მახათაძე ნუგზარ მიხეილის ძე	32	3:0	1:0	1:2
67-123.	მესხელი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე	32	2:0	1:0	2:0
67-123.	მინაშვილი აკაკი ვლადიმერის ძე	32	3:1	2:0	1:1
67-123.	მუმლაძე აკაკი დომენტის ძე	32	2:0	2:0	1:0
67-123.	მუმლაძე მარეხ შოთას ასული	32	1:0	1:1	1:2
67-123.	მღვდლიაშვილი გიორგი ირაკლის ძე	32	2:2	2:1	0:1
67-123.	ნაცვლიშვილი შოთა ოთარის ძე	32	3:0	2:2	2:1
67-123.	ნებიერიძე გიორგი გიორგის ძე	32	2:0	1:0	3:1
67-123.	ნიკოლაიშვილი ალექსი ზურაბის ძე	32	2:1	1:1	2:0
67-123.	ნონიკაშვილი კახაბერ მიხეილის ძე	32	0:0	1:0	1:1
67-123.	პაპიძე კახა ჯემალის ძე	32	2:1	2:0	1:2
67-123.	როგავა რეზო თამაზის ძე	32	2:1	1:0	1:1
67-123.	სანაკოევი რუსლან ალექსანდრეს ძე	32	2:0	1:0	2:2
67-123.	ფაცია გიორგი მურმანის ძე	32	4:0	0:2	0:2
67-123.	ფირცხალაიშვილი თეიმურაზ მურმანის ძე	32	3:1	2:2	1:1
67-123.	ქურციკიძე დავით თამაზის ძე	32	2:0	2:1	1:2
67-123.	ღუღუნიშვილი ევგენი ტარასის ძე	32	4:1	2:0	2:2
67-123.	შავაძე ალექსანდრე გიგოს ძე	32	3:1	1:1	1:1
67-123.	შამუგია მამუკა კოკის ძე	32	3:1	3:1	2:1
67-123.	ჩაკვეტაძე ნინო ემზარის ასული	32	2:1	2:0	2:1
67-123.	ჩაჩანიძე არჩილ ტიტეს ძე	32	2:0	1:1	2:2
67-123.	ჩუბინიძე გიორგი ამირანის ძე	32	2:0	1:0	2:1
67-123.	ცინცაძე ნელი გენოს ასული	32	2:0	2:0	2:1
67-123.	ცუცქირიძე თეიმურაზ გიორგის ძე	32	2:0	2:0	0:0
67-123.	წულუკიძე როსტომ ზურაბის ძე	32	2:1	1:0	1:1
67-123.	ჭოჭუა შალვა გურამის ძე	32	2:1	2:0	3:1
67-123.	ჭუმბურიძე თეა ვლადიმერის ასული	32	2:0	2:1	1:1
67-123.	ხუროშვილი გიორგი გელას ძე	32	2:1	1:0	2:1
67-123.	ჯაბუა გრიგოლ მიხეილის ძე	32	2:1	2:0	2:2
67-123.	ჯალაღონია ლაშა გენადის ძე	32	2:0	2:0	1:2
67-123.	ჯინჭარაძე ლამზირა ალექსანდრეს ასული	32	2:1	2:0	1:0
67-123.	ჯინჭარაძე ნიკა გიორგის ძე	32	3:0	1:1	2:1
67-123.	ჯორჯიაშვილი ზაალ დავითის ძე	32	2:0	1:0	1:2
124-127.	გელაშვილი გიორგი ჯემალის ძე	31	3:0	3:0	2:1
124-127.	უშვერიძე გიორგი თამაზის ძე	31	3:2	1:0	1:1
124-127.	ხაჩკალიანი გარიკ გიორგის ძე	31	2:1	1:0	3:1
124-127.	ჯიქია ლაშა ვლადიმერის ძე	31	2:1	1:0	0:1

"ინფორმაცია ინფორმაციისათვის"

ვახტანგ ნანიტაშვილი

- საით მიდის საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა?

საქმეში ოდნავ ჩახედული ადამიანი უმალ გიპასუხებთ - რეფორმების გზით საზოგადოებრივი ტელერადიოსაკენ!

- რას ნიშნავს საზოგადოებრივი მაუწყებლობა?

მედიასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს სამართლებრივი აქტების კრებულში ამ შეკითხვებზე პასუხი არსებობს; "გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებით სრული და შეუზღუდავი სარგებლობა, რაც გულისხმობს თავისუფალი, დამოუკიდებელი და პლურალისტური მედიის არსებობას პოლიტიკური პრინციპების შესაბამისად...

... ახალი ამბების, საგანმანათლებლო, კულტურული და გასართობი პროგრამების ფართო სპექტრი, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი, კერძოდ, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ჯგუფების მოსაზრებებს, უმცირესობის ჩათვლით, და სთავაზობს სადისკუსიო პლატფორმას, რითაც ხელს უწყობს ჭეშმარიტ დემოკრატიაში. ამით განსხვავდება საზოგადოებრივ-კომერციული ორგანიზაციებისაგან, რომელთა პროგრამული პოლიტიკა მნიშვნელოვნად განისაზღვრება კომერციული სარგებლის მიღების იმპერატიული მოთხოვნით".

საზოგადოებრივი რადიოსა და ტელევიზიის არსებობას მრავალი საგულისხმო ასპექტი გააჩნია, რათა მან დამოუკიდებლად, მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით იხელმძღვანელოს. არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ შემოსავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროთი - სუბსიდიებით, ანუ ფინანსური დახმარების წყალობით, ასეთი რადიო და ტელევიზია, ფაქტობრივად, ფინანსური ოლიგარქების ხელში ჩავარდება. ამასთან დაკავშირებით ევროპულ დოკუმენტში ვკითხულობთ:

"ვერავითარი ხელისუფლების, საჯარო თუ კერძო ორგანო, ვერ ჩაერევა საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობაში, მაგალითად, ვერ განახორციელებს თავის ფინანსურ ძალაუფლებას"...

სრულიად განსხვავებულია საზოგადოებრივი მაუწყებლობის მმართველობის პრინციპიც, მმართველ და სამეთვალყურეო საბჭოებს მკაცრად გამიზნული და გამიჯნული ფუნქციები აქვთ, აქ საგულისხმო ის არის, რომ ერთპიროვნულად, მხოლოდ საკუთარი შეხედულებების გათვალისწინებით, შეუძლებელია ორგანიზაციის მართვა.

ალბათ საინტერესოა, რას გვთავაზობს ევროპული დოკუმენტი იმ თანამშრომელთა დასაცავად, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული შეხედულება.

"საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციებისათვის უზრუნველყოფილი დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ მათი პერსონალი გარეშე ზეწოლის საფრთხისაგან დაცული იყოს მთელი რიგი კონკრეტული დებულებებით. განურჩევლად იმისა, ეს ზეწოლა პოლიტიკური ძალების მიერ ხორციელდება თუ რაიმე სხვა მხრიდან."

თეიმურაზ სახიტაშვილი ფოტო

კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც თითოეული თანამშრომლის უფლებას იცავს.

"პროფკავშირულ საქმიანობაში ჩართვის და გაფიცვის უფლება ფუნდამენტურ ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს განეკუთვნება და საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციების პერსონალს ამ უფლებებით სარგებლობა გარანტირებული უნდა ჰქონდეს, რათა შეეძლოთ თავიანთი დამოუკიდებლობის დაცვა შესაძლო გარე ზეწოლის პირობებში. ამასთან, უნდა გვახსოვდეს ევროპის სოციალური ქარტიით დადგენილი პრინციპი იმის შესახებ, რომ "თავიანთი ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაცვის მიზნით, ყველა მუშასა და დამქირავებელს აქვს ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში თავისუფლად გაერთიანების უფლება." ხსენებული პრინციპი განმტკიცებულია ქარტიის მე-5 მუხლით".

თუ ჩვენში კანონის უზენაესობა დამკვიდრდება, მიუღებელი და მიუღწეველი აქ არაფერია.

ალბათ საინტერესოა, რას სთავაზობს ევროსაბჭოს სამართლებრივი აქტები საზოგადოებრივ რადიოტელევიზიებს დაფინანსების მხრივ. სწორედ აქ არის გამოთქმული ის მოსაზრებები, რომლებიც ჩვენში კითხვის ნიშნებს ბადებს, რადგან პრაქტიკულად სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავს, თუ რამდენად შესაძლებელი იქნება, გავმართოთ საზოგადოებრივი მაუწყებლობა კლასიკური ფორმით და არა ისე მახინჯად, როგორც ეს ყოფილი საბჭოთა კავშირისა და პოსტსოციალისტური სივრცის ზოგიერთმა ქვეყანამ განახორციელა. ამხელა მექანიზმის მხოლოდ ჩათვლის გამო გადაკეთება უარესია.

..."ფართო საზოგადოებამ გამოთქვა ლიცენზიის გაზრდის ან მისი გადახდის ვალდებულებების საწინააღმდეგო მოსაზრება. საზოგადოების ერთი ნაწილი ვეღარ ხედავს გადახდის საჭიროებას იმ პროგრამების მიღებისათვის, რომლებსაც ახლა ნაკლები ტელემაყურებელი ჰყავს. რადგან სხვა, დიდი რაოდენობით არსებული რადიო და ტელეარხების მიღების საშუალება არსებობს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში წარმოიშვა საზოგადოებრივი დაფინანსებიდან (სუბსიდიებიდან) სახელმწიფო ჩარევისაგან თავისუფალ დაფინანსებაზე (ლიცენზიები, რეკლამა და სხვა) გადასვლის პრობლემა. ამ სხვადასხვა ტენდენციამ, განსაკუთრებით კი კომერციული მაუწყებლობის გავლენამ სარეკლამო ბაზარზე, რასაც დაერთო ევროპაში უკანასკნელი წლების მძიმე ეკონომიკური ვითარება, ზოგიერთი სამაუწყებლო ორგანიზაცია უხერხულ ფინანსურ მდგომარეობაში ჩააყენა და წამოჭრა მათ მომავალთან დაკავშირებული საკითხები"...

აქ დროებით შევჩერდეთ - ხომ არ გენიშნათ, ევროპაში "მძიმე ეკონომიკური" ვითარება მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ეკონომიკური სიტუაციისაგან, რომელიც ჩვენშია. ამას კომენტარი არ სჭირდება.

"სამაუწყებლო ორგანიზაციების მხარდაჭერისა და წახალისების სხვადასხვა ფინანსური წყარო: ლიცენზიიდან შემოსული გადასახადი, საჯარო სუბსიდიები, რეკლამისა და სპონსორებისგან შემოსული თანხები, პროდუქციის (აუდიო-ვიზუალური პროდუქცია) და მომსახურების გაყიდვა და სხვა. ამ სახელმძღვანელოს პრინციპში ტერმინი "ლიცენზიის გადასახადი" გარკვეულწილად იგივეა, რაც საზოგადოების მიერ დაფინანსება (მომხმარებლის მიერ ელექტროენერგიის გადახდის თანხაზე დარიცხული გადასახადი ან სხვა გადარიცხვა(?), რომელთა მიზანია საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციების ბიუჯეტის შევსება)"...

ალბათ, მცირე კომენტარია საჭირო:

ელექტროენერგიის საფასურის გაზრდა რადიო და ტელევიზიის სასარგებლოდ დღეს შეუძლებელია... სპონსორების გაჩენა კლანური ტელევიზიის არსებობას შეუწყობს ხელს. ისინი ხომ პირადი ინტერესების ლობირებას უფრო ეცდებიან, ვიდრე საზოგადოების ინტერესებს... (თუმცა აქ კანონი ამის უფლებას არ გვაძლევს). სარეკლამო შემოსავლები! აქ უფრო რთულადაა საქმე. საქართველოში იგი მთლიანად 8 მილიონ ლარს არ აღემატება. აუდიო-ვიდეომასალის გაყიდვა! სწორი გზაა, მაგრამ ფინანსურად იგი ამინდს ვერ შექმნის. თანაც თუ ხმის ჩამწერ ან სატელევიზიო ფილმების სტუდიებს ამრეზით უყურებენ.

რაც შეეხება სალიცენზიო, ან სააბონენტო გადასახადს, აქ კიდევ უფრო რთულადაა საქმე. მაგალითად, გერმანიაში ეს თანხა თვეში 15 ევროს უდრის. დღეს წარმოუდგენელია ამის თუნდაც მესამედის გადახდა შეძლოს რიგითმა ტელემაყურებელმა ან რადიომსმენელმა.

სუბსიდიები - ვისგან?

სუბსიდია დახმარებას ნიშნავს. ე.ი. ტელერადიო არხების ყოფნა-არყოფნა გარე დახმარებაზე იქნება დამოკიდებული. თუ მათი ინტერესი არ ჩაიდო, გაუწვდიან კი დახმარების ხელს ტელერადიოს, რომელსაც თავისი ბუნებით "ნაკლები ტელემაყურებელი ჰყავს". მით უმეტეს, რომ კანონი უკრძალავს მათ "განახორციელონ თავისი ფინანსური ძალაუფლება". აქ ყველაფერი კანონმა უნდა მოაწესრიგოს ისე, როგორც ამერიკაშია - ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც სუბსიდიებს გაიღებენ ტელერადიოს სასარგებლოდ, კანონით შეღავათებს უნდა ღებულობდნენ თავიანთი ძირითადი საქმიანობის უკეთ წარსამართავად.

როგორი ტელერადიო გვჭირდება?

"ბი-ბი-სის" სამაუწყებლო ქარტიაში წერია: "მცნება მიუკერძოებლობა "ბი-ბი-სის" მაუწყებლობის ქვაკუთხედია... "ბი-ბი-სი" ემსახურება მთლიანად ნაციას, ითვალისწინებს რა განსხვავებას მსმენელთა და მაყურებელთა გემოვნებაში. მილიონობით ოჯახის შეხედულებებს, ორიენტაციას. ისინი ხომ სააბონენტო გადასახადებით აფინანსებენ მათ...

გადაცემების შემქმნელების მიზანია, დააკმაყოფილოს მსმენელის და მაყურებლის ინტერესი განსხვავებული თემატიკით, მრწამსით. გაითვალისწინოს ასაკი, რასობრივი კუთვნილება თუ სქესი".

ეს გახლდათ ინფორმაცია ინფორმაციისათვის. ისე არ გავუსწროთ ევროპას, როგორც იურისპრუდენციაში ამერიკის გასწრება შევძელით. ჩვენ გავაუქმეთ უმძიმესი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა. მათ კი ეს წინ აქვთ.

გოეთე ამბობს: "ჩემი ოპტიმიზმი არაფერზეა დამყარებული".

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო მიხეილ,

მოგმართავთ თხოვნით ზეინაბ ჯოხაძის მხატვრულ ფილმ "ქაღალდის კაცის" თაობაზე, რომელიც უპრეცედენტო შემთხვევაა ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში და, ჩვენი აზრით, უდავოდ თქვენს ყურადღებას იმსახურებს.

ფილმი 1992 წელს დამთავრდა და მიუხედავად 12 წლიანი დუმილისა, მისი აქტუალობა დღევანდელობაში კიდევ უფრო იზრდება. ეს არის ფილმი მორალსა და ზნეობაზე, რომელიც საქართველოს სწორედ დღეს სჭირდება.

ფილმი "არავისაა" - იგი რეჟისორის საკუთრებაა. შექმნილი და დამთავრებულია საკუთარი ხარჯით. ზეინაბ ჯოხაძეა ამ ფილმის სცენარის ავტორი, რეჟისორი, დირექტორი, მუსიკალური გამფორმებელი, მხატვარი და მუშა. ფილმის კონსულტანტია აკაკი ბაქრაძე. არ შეიძლება არ აღინიშნოს მერაბ კოსტავას განსაკუთრებული წვლილი. მზად არის ფილმის ქართული, რუსული, ინგლისური ვარიანტი. ვინაიდან კინოსტუდია "ქართული ფილმი", - აღარ არსებობს - საჭიროა ასლების ბეჭდვა მოსკოვში, რათა ფილმი გადარჩეს.

ბატონო მიხეილ, ამ საქმის მოგვარება დღეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს ძალუძს. მდგომარეობა იმდენად სავალალოა, რომ ვერც განათლების და კულტურის სამინისტროები ამჯერად ვერაფერს გახდებიან.

ჩვენი მოკრძალებული თხოვნაა თქვენდამი, მიიღოთ ავტორი, ნახოთ ფილმი და თუ საჭიროდ მიიჩნევთ, აღმოუჩინოთ დახმარება, რითაც დიდ მამულიშვილურ საქმეს გააკეთებთ.

ბაადურ რაჭველიშვილი - მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

გურამ თევზაძე - აკადემიკოსი

გურამ გველესიანი - აკადემიკოსი

ოთარ ნათიშვილი - აკადემიკოსი

მინდია სალუქვაძე - აკადემიკოსი

გივი სანაძე - აკადემიკოსი

მალხაზ ზაალიშვილი - აკადემიკოსი

გურამ ჯაფარიძე - მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი

თამაზ ჭელიძე - გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი

ჯიმშერ კერესელიძე - ცენტრალური ბოტანიკური ბაღის დირექტორი

გურამ ბენაშვილი - ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი

გუგული მაღრაძე - პარლამენტის წევრი

ზურაბ ხვედელიძე - უნივერსიტეტის გეოფიზიკის კათედრის გამგე, პროფესორი

ლერი მჭედლიშვილი - უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ლოგიკის კათედრის გამგე

ვალერი რამიშვილი - უნივერსიტეტის ფილოსოფია-სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკანი

მაია ნადირაძე,

გია ბუღაძე,

გურამ აბსანძე,

თამაზ ჭილაძე,

ოთარ ჭილაძე,

გიგი წერეთელი,

რუსუდან ფეტვიაშვილი,

ედმონდ კალანდაძე,

მერაბ ბერძენიშვილი,

ემზარ კვიტაიშვილი,

ერლომ ახვლედიანი,

ლაშა თაბუკაშვილი,

გიორგი თარგამაძე,

დავით მაღრაძე,

თამაზ ჩხენკელი,

ერეკლე საღლიანი,

ნოდარ ანდღულაძე,

გია თორთლაძე,

ანზორ ერქომაიშვილი,

თამარ ჭოხონელიძე, გომარ სიხარულიძე,

გურამ გეგეშიძე,

ბიძინა კვერნაძე,

თემურ გუგუშვილი,

ელდარ გეწაძე,

დათო გველესიანი,

თემურ ჭკუასელი, აკაკი სიხარულიძე,

ნინო ჯავახიშვილი,

რეზო ფაჩულია,

ლაურა გრიგალაშვილი,

თენგიზ მუშკუდიანი,

ნანა დიმიტრიადი,

გიზი ამირეჯიბი,

იოსებ კეჭაყმაძე,

თამაზ ხუციშვილი,

შალვა მატუაშვილი,

ეთერ კაკაბაძე,

ზურაბ სამხარაძე,

ამირ კაკაბაძე,

ზურაბ ნიჟარაძე,

გივი თოიძე,

მაყვალა გონაშვილი,

ვახტანგ მაჭავარიანი,

ვახტანგ ხუციძე (წოპე),

ჯემალ აჯიაშვილი,

ლევან ცუცქირიძე,

გივი კასრაძე,

რამაზ პატარიძე,

მიხეილ მენთეშაშვილი,

ლერი ალიმონაკი,

მაია დათუნაშვილი,

ლაურ მანაგაძე,

ლამარა კიკილაშვილი,

ნელი კობიაშვილი,

თამაზ ხიდეშელი,

გურამ გოცაძე,

ივა ბერაძე.

გაზეთ "24 საათის" მთავარ რედაქტორს

ბატონო მამუკა,

გავეცანი მ.წ. 17 მაისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სტატიას "ქართული მუსიკა ისეთივე ლამაზია, როგორც თავად ქართველები და მათი ქვეყანა" (ავტორი გიორგი ჯანელიძე) და ამ სტატიიდან გამომდინარე განსხვავებულ მოსაზრებას 24 მაისის ნომერში "თვითგადარჩენა თუ გასტროლები სამშობლოში" (ავტორი მადი სერებრიაკოვა).

როგორც მკითხველს და ამავე დროს საქართველოს იმდროინდელი კულტურის სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსს, გამიჩნდა სურვილი გარკვეული კომენტარი გამეკეთებინა. მ. სერებრიაკოვას სტატიაში საკმაოდ ვრცლად არის ასახული სამინისტროს მიერ მიღებული ზომები და გამოცემული ბრძანებები, ამდენად, მათი განხილვით თავს აღარ შეგაწყენთ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ სამინისტრო იმდროისათვის შესაძლებლობის ფარგლებში ხელს უწყობდა ორკესტრს, მთელი ამ ხნის განმავლობაში ორკესტრის წევრებს ხელფასიც კი ჰქონდათ შენარჩუნებული. 1998 წელს სამინისტრომ სახელმწიფო ორკესტრის საქართველოში დაბრუნება მოთხოვა, რაც, ალბათ, ლოგიკურიც იყო, რადგან საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრს, ძირითადად, საქართველოში უნდა ემოღვაწა და გასტროლებზე საქართველოდან უნდა ევლო უცხოეთში და არა პირიქით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი 1999 წელს ახალი შემადგენლობით დაკომპლექტდა, ხოლო ამ ფაქტის წინმსწრები მოვლენები და მიზეზები წარსულის ამბავია, ვერ გავიზიარებ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ამ თემაზე საუბარი აღარ უნდა იყოს. ამ მოვლენის თანმდევი ფაქტები ჩვენი სინამდვილეა და საკითხი უნდა გაირკვეს. აბსოლუტურად ვიზიარებ ყველას მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ "საქართველოს კამერული ორკესტრი ინგოლშტადში" შესანიშნავი მუსიკოსებისაგან არის შემდგარი და ისინი დიდ საქმეს აკეთებენ საქართველოს სახელისა და ქართული მუსიკის პოპულარიზაციისათვის, მაგრამ იურიდიულად, ეს არის ცნობილი ქართველი მუსიკოსებით დაკომპლექტებული კამერული ორკესტრი და, არა საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი და მისი სამართალმემკვიდრე. ამ ორკესტრს, 40 წლის ისტორიის სამართალმემკვიდრე არის სამშობლოში მოღვაწე საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი, რომელიც საქართველოს რთულ პირობებში საკმაოდ აქტიურად ცდილობს ქართული (და არა მხოლოდ) მუსიკის პოპულარიზაციას.

ღრმა პატივისცემით,

მანანა სიმონიშვილი

იურისტი

27.05.04

ამერიკელი ვეტერანები გვტოვებენ

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

არლინგტონის სასაფლაო - ყველა ასეთი როდია

"ნელ-ნელა იმქვეყნად მივდივართ, სადაც სიწყნარეა და მადლი," ბრძანა პოეტმა. ამერიკელ ვეტერანებს ეს სიტყვები არ ეხება. სიწყნარისა და მადლის სავანეში ისინი ნელ-ნელა კი არა, მრავლად მიდიან. მეორე მსოფლიო ომის 16 მილიონი ვეტერანიდან 4,3 მილიონილა დარჩა. ყოველდღე ეს რიცხვი საშუალოდ 1200 ადამიანით იკლებს. გარდა ამისა, ყოველდღე კორეის ომის 300 და ვიეტნამის ომის 200 ვეტერანი კვდება. ვეტერანების საქმეთა ადმინისტრაციის მონაცემების თანახმად, ასეთ ჯარისკაცთა რიცხვი წლიდან წლამდე გაიზრდება და 2008 წელს პიკს მიაღწევს.

კონვეირზე შემოდგმული კუბოები შეერთებული შტატების ყველა მხარის სამხედრო სასაფლაოებზე იგზავნება. ერთი ასეთი სასაფლაო ნიუ ჯერსის შტატში, არნითაუნში მდებარეობს. მისი სრული სახელწოდებაა გენერალ ვილიამ დოილის სახელობის ვეტერანთა მემორიალური სასაფლაო. მას ქვეყანაში "ყველაზე აქტიურად" მიიჩნევენ.

რამდენიმე დღის წინათ ამ "ყველაზე აქტიურზე" მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის, ფრენკ ჯეინისის ნეშტი მიაბარეს მიწას. ჩრდილოეთ აფრიკასა და საფრანგეთში ბრძოლების დროს მას "ჯარისკაცული სიმამაცისთვის" ორი ორდენი ჰქონდა მიღებული. მაგრამ მას ნათესავები არ ჰყოლია. უკანასკნელ გზაზე მას ძველი თანამებრძოლები მიაცილებდნენ, ქალაქ ჰობოკენის 107-ე ამერიკული ლეგიონიდან: 78 წლის ვეტერანი ტომ კენედი და ჯეკ ო`ბრაისი, რომელმაც ასაკი დამალა და ომში 16 წლისა წავიდა. კენედის, ტრადიციის თანახმად, დაკეცილი ამერიკის დროშა გადასცეს, ზოლებინ-ვარსკვლავებიანი, რომელიც მან ჯეინისის კუბოს გადააფარა. დროშა მას საპატიო ყარაულმა გადასცა. ეროვნული გვარდიის წევრებმა მიწას მიბარების მოტივი დაუკრეს. ჯეკ ო`ბრაიენმა შალითადან ფლეიტა ამოიღო და მეგობრის ცხედართან Amazing Grace შეასრულა. მთელი ცერემონია ათიოდე წუთი გაგრძელდა.

უკვე ოთხი წელია, არნითაუნის სამხედრო სასაფლაოს არმიის გადამდგარი პოლკოვნიკი სტეფენ აბელი განაგებს. გაზეთ "ნიუ იორკ თაიმსის" რეპორტიორისთვის მიცემულ ინტერვიუში აბელმა თქვა, რომ ყოველდღიურად 10-დან 22-მდე ვეტერანის დაკრძალვა უწევს, და არა მარტო გარდასულ დროთა ომების ვეტერანებისა. ზემოთ აღწერილ სცენამდე ერთი დღით ადრე აქ პირველი კლასის რიგითი ფილიპ სპაკოსკი დაკრძალეს, რომელიც ერაყში დაიღუპა. ამ სასაფლაოზე ასეთი შვიდი ადამიანი განისვენებს 778 ერაყში დაღუპულთაგან – ამ სტრიქონების წერისას მათი რიცხვი სწორედ ასეთი იყო.

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი ფრენკი 88 წლისა იყო, რიგითი ფილიპი – 25-ისა...

"ჩვენი სასაფლაო ყოველთვის ღიაა, დიდთოვლობის, ტაიფუნის თუ კოკისპირული წვიმის მიუხედავად," ამბობს პოლკოვნიკი აბელი. მის განმგებლობას დაქვემდებარებულ სამხედრო სასაფლაოზე უკვე 30 ათასი ვეტერანი და მათი მეუღლეების გარკვეული რაოდენობაა დაკრძალული (სასაფლაო 1986 წელს გაიხსნა).

ნორმანდიაში გადასხმის 60 წლისთავის წინა დღეს, როცა ქვეყანა ხსოვნის დღეს აღნიშნავდა, აქ მიწას 27 ვეტერანის ცხედარი მიაბარეს, მათ შორის მათიც, ვინც მეორე ფრონტის გახსნაში უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას. ესენი იყვნენ ნატალი მარჩეზე, რომელმაც ნორმანდიაში გადასხმისთვის "ალისფერი გულის" ორდენი მიიღო, და ნოუბლ ბრაიანტი.

ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯებს ფედერალური მთავრობა ფარავს. თუ ვეტერანის ნათესავები სამხედრო სასაფლაოს კერძო დაკრძალვას ამჯობინებენ, მათ ამისთვის 300 დოლარს გამოუყოფენ. მაგრამ ასეთები აშკარად უმცირესობაში არიან. "საქმე ეკონომია როდია. ვეტერანები ანდერძს ტოვებენ, რომ ისინი თავიანთ თანამებრძოლ მეგობრებთან ერთად დაკრძალონ. ეს მათი საბრძოლო ძმობის უკანასკნელი და უმაღლესი ფორმაა," ამბობს პოლკოვნიკი აბელი.

გენერალ დოილის სახელობის სასაფლაო ფილადელფიიდან აღმოსავლეთით, ოცდაათ მილში მდებარეობს. შტატ ნიუ ჯერსის ხელისუფლებამ ის იმის შემდეგ გახსნა, რაც ამ შტატის ტერიტორიაზე ანალოგიური სასაფლაოები მთლიანად შევსებული აღმოჩნდა. დღეს 39 შტატში 120 ვეტერანთა სასაფლაოების მხოლოდ ნახევარზე არსებობს ძველი მებრძოლების კუბოებში დაკრძალვის საშუალება (ურნები არ ითვლება). მთავრობა იძულებული იყო, დოილის სახელობის სასაფლაოს მსგავსი კიდევ 76 სასაფალაო გაეხსნა.

დაკრძალვის ცერემონია მოკრძალებულია. კინო არ გეგონოთ, სადაც კუბოს საფლავში უამრავი ხალხის თანდასწრებითა და 21 იარაღის სალუტის თანხლებით უშვებენ. პოლკოვნიკ აბელს ერთი საათის განმავლობაში ოთხი ვეტერანის დაკრძალვა უწევს. ჭირისუფლები დაკრძალვის პროცედურას არ ესწრებიან: მეტისმეტად ბევრი დაკრძალვაა და მეტისმეტად ცოტა ადგილი. გამომშვიდობება პატარა საყდარში ან სასაფლაოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განლაგებულ ადგილებში ხდება. მას შემდეგ, რაც ახლობლები გარდაცვლილს ემშვიდობებიან, კუბო პატარა პიკაპით დაკრძალვის ადგილამდე მიაქვთ, სადაც მესაფლავეები მას ორმოში უშვებენ. ორმო წინასწარაა ამოთხრილი. გენერალ დოილის სახელობის სასაფლაოზე წინაწარ მომზადებული 9700 საფლავია, "ორი კუბოს" სიღრმისა, ცემენტით მოპირკეთებული. მომავალი მკვიდრების მოლოდინში ეს საფლავები შენიღბულია და ქვიშა აქვს მოყრილი. როცა მათი სახელობის ვეტერანის ნათესავები ჩამოვლენ, ქვიშა ამოიღება, ცემენტის ფილა ჩაეფარება და ჭიროება ჩნდება, "შენიღბვას" აშორებენ.

ჩვეულებრივ, კინოსა ან ტელევიზიით არლინგტონის ეროვნულ სასაფლაოს აჩვენებენ, ვაშინგტონში, პოტომაკაზე, რომელიც თეთრი ჯვრებითაა მოფენილი. ვეტერანების სასაფლაოებზე ეს ტრადიციული თეთრი ჯვრები არ დგას (ევროპაში ამერიკელი ჯარისკაცების საფლავებზე ჯვრები დგას და პატარა საფლავის ქვები, რომელთაც "რაუნდები" ჰქვია). ჯვრების ნაცვლად აქ ბრტყელი საფლავის ქვებია, წმინდა წყლის პრაქტიკული მოსაზრებებით: ბალახის თიბვა და მისი მოვლა იოლდება. ჩვეულებრივ, სასაფლაოებს ან "პრობლემური ახალგაზრდობა" უვლის, ან ახლომდებარე ციხეებში მყოფი პატიმრები. ისინი საფლავებს კუბოების მისაღებად ამზადებენ, მათზე პატარა ეროვნულ დროშებს არჭობენ. ყველაფრის გარდა, ამას "აღმზრდელობითი მნიშვნელობაც" აქვს.

პოლკოვნიკი აბელი სრულიად სერიოზულად ამბობს, რომ ის არამარტო სასაფლაოს კლერკი, არამედ დიპლომატიცაა. დიპლომატად ის დაკრძალვების რაოდენობამ და "თანმხლებმა ემოციებმა" აქცია. გარდა ამისა, მას წესრიგის დამცველის ფუნქციაც ეკისრება. მაგალითად, მას გარდაცვლილთა ნათესავებისთვის იმის ახსნა უწევს, რომ მათი ახლობელი ვეტერანების საფლავებზე ყვავილებს სასაფლაოს მომსახურე პერსონალი კი არა, სასაფალოს ტერიტორიაზე შესული ირმები თელავენ, განსაკუთრებით აპრილ-ოქტომბერში. პოლკოვნის ვეტერანთა ჯგუფთანაც მოუვიდა შეხლა-შემოხლა, როცა მან ლივენვორტის ციხეში სასჯელი მოხდის დროს გარდაცვლილი ყოფილი ჯარისკაცის დაკრძალვის ნება დართო. თურმე, პატიმარი ფორმალურად სამხედრო მოსამსახურედ ითვლებოდა და სამარცხვინოდ, არ იყო გათავისუფლებული. აბელს იმ ვეტერანებთანაც უწევს მოლაპარაკება, რომლებსაც უნდათ, რომ მათთან ერთად მათი განქორწინებული ცოლები დაკრძალონ. მას უარის თქმა უწევს იმ ვეტერანებისთვისაც, რომლებსაც სურთ, რომ მათთან ერთად მათი საყვარელი კატა ან ძაღლი მიაბარონ მიწას. დიდი ტრაგედია ტრიალებს ხოლმე, როცა გარდაცვლილ ვეტერანთა ნათესავები იგებენ, რომ ისინი მათ გათავისუფლებულის სტატუსს უმალავდნენ და ამიტომ მათი ვეტერანთა სასაფლაოზე დაკრძალვა არ შეიძლება. დაბოლოს, ხშირად საფლავთან ვეტერანის ქვრივისა და ყოფილი მეუღლის გაშველება უწევს ხოლმე. მოკლედ, რა აღარ ხდება. სიკვდილიც ისეთივე მრავალფეროვანი და მოულოდნელობებით აღსავსეა, როგორიც ცხოვრება...

ყველაზე სამწუხარო სანახაობა იმ ვეტერანის დაკრძალვაა, რომელსაც ნათესავები აღარ დარჩა. სიკვდილის ჟამს მარტოობა ისევე მძიმეა, როგორც სიცოცხლეში. ფრენკ ჯეინსს კიდევ გაუმართლა. მას გამცილებლები გამოუჩნდნენ. მეგობრებმა ამერიკული ლეგიონიდან, რომლის წევრიც ის 46 წლის განმავლობაში იყო, მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ შეიტყვეს, რომ მას ორი ორდენი ჰქონდა მინიჭებული პირადი სიმამაცისთვის, რომელიც მან თანამებრძოლთა სიცოცხლის გადასარჩენად გამოავლინა.

- ჩვეულებრივ, მოხუც მებრძოლებს თავიანთი ჯილდოებით ტრაბახი სჩვევიათ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ლუდი და წლები მათ მეხსიერებას უქვეითებს, - ამბობს ტომ კენედი. – ჩვენ ფრენკის მეგლები მის ბინაში ვიპოვნეთ. ჩვენთან მათ შესახებ არაფერი უთქვამს, არ უთქვამს, რომ გმირი იყო. ჩვენთვის ის უბრალო ლეგიონერად რჩებოდა.

გენერალმა მაკარტურმა, იაპონიაზე გამარჯვებულმა და მისმა პრეკონსულმა, აშშ-ს კონგრესში გამოსამშვიდობებელი სიტყვის წარმოთქმისას თქვა: "მოხუცი ჯარისკაცები არ კვდებიან. ისინი ქრებიან". სამწუხაროდ, მოხუცი ჯარისკაცები კვდებიან. მაგრამ მათი ნათელი ხსოვნა ჩვენი გულებიდან არ უნდა გაქრეს. ეს მათ კი არა, ჩვენ გვჭირდება. ამის გარეშე დავიღუპებით, რადგან უგულოები გავხდებით.

ყველაფერ ამის წერისას ჩვენს გმირ ვეტერანებზე ვფიქრობ, იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ. და როგორ კვდებიან. დიდება მათ! და სირცხვილი ჩვენი!

სკანვორდი



N141-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

ესკიმოსური სოპრანო ორკესტრ ეგნის ეს სალონური ეკრანიზაცია ტოლერანტობა; დიპლომატიური ეკრანი ან ბრაზი ფეხბურთელი ფეშენე კამერული დეპარტამენტი; ადგილი დრო გაიარა ტანსაცმელი მეხეკრანტი ლეონიდ; დედა ეკრან ეკლე ზიგზაგი დეკანი აკუმულატორ ორატორიაც ტანსაცმელი სვიაზისტი; ადგილის აკრძალული ჩრდილოეთ ტანი; ორისტენტელე; ადგილი ორკესტრი ტანსაცმელი პრეზიდენტი.

TV პროგრამა

17 ივნისი

რუსთავი - 2

07.30 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.20** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი "როკი 4" (12) **15.20** სერიალი "სასწრაფო" **16.25** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "ნათლია" **23.00** ღამის კურიერი **23.45** ევროპის ჩემპიონატი. "ხორვატია"-"საფრანგეთი" **02.00** მხ. ფილმი "მისის დაუტფაიერი". მთ. რ-ში: რობინ უილიამსი (15).

TV5

07.30, 09.00, 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 19.15, 21.00, 01.00,** 03.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **05.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.05** ზიგზაგ კაფე. **13.15** ექიმი სილვესტრი. მხ.ფილმი. რეჟისორი კრისტიან ლერისეი. 1997. **17.30** საფრანგეთი ევროპა ექსპრესი. **20.05** მექსიკა. პანჩო ვილას ჩიტები. დოკ.ფილმი. **01.25** ადამიანური სიყვარულის წყარო. მხ.ფილმი. რეჟისორი დომინიკ კაბრერა. 2001. **03.50** ახმაურებული ქალაქი. დოკ.ფილმი.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯუჯუბის ახალი სამყარო" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. სერიალი "მაესტრო კლასი" **15.15** სერიალი "რვაფეხა-4" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **17.00** მულტსერიალი "ჯუჯუბის ახალი სამყარო" **17.30** ჯანმრთელობა **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "უშიშართა ახალი თავგადასავალი" **18.45** "ევრო-2004" (მიმოხილვა) **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **20.45** "ევრო-2004" (ინგლისი -შვეცარია) **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **23.30** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **23.50** მხ. ფილმი "ათასი მილიარდი დოლარი" (12)

ОРТ

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტროროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" **03.00** პაუზის გარეშე

202

10.00 დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "სახელმწიფოს მეთაური" (კრის როკი) (გ) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "დიდი გასეირნება" (ბურვილი) (გ) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** ანიმ. ფილმი "დარდუბალა 2" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი ციხესიმაგრე" (გ)

მზე

09.00 მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** სერიალი "დორის დუკის იდუმალი ცხოვრება" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.10** მხ. ფილმი "რობიზონ კრუზო" (პირს ბრონსანი) (გ) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "ჯეკი და ლობიოს ხე" **17.10** მულტსერიალი "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **17.35** მულტსერიალი "არგაი" **18.10** მულტსერიალი "კლიფორდი" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "ენჯელის გული" (რობერტ დე ნირო) (18)

მეორე არხი

19.00 მულტფილმი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** დოკ. სერიალი "მოგზაურობა" **21.40** ჩემი მშვენიერი ლედი **22.00** მხ. ფილმი "მამაჩემი გმირია" (გ)

კავკასია

17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მუსიკა **19.20, 21.00** სპექტრი **23.00, 00.30** მუსიკა

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 17.20, 02.15** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.30** არტ-ბულვარი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.45** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.25** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "რუმბა" (მ. პიკოლი) (გ) **17.25** ანიმაციური ფილმი "პრინცესა ნერის თავგადასავალი" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **21.30** საქმე ! **23.00** "ესტაფეტა" **23.30** მხ. ფილმი "მომლერალი დეტექტივი" (რ. დაუნი) (18)

იბერია

18.00 სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **18.55** მულტფილმი **19.45** დოკ. ფილმი **20.40** კონცერტი **22.15** მხ. ფილმი "მეომარი" (18)

აჭარის ტელევიზია

08.30, 02.20 საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** სათავგადასავლო ფილმი "მელი" **10.30** მუსიკა **10.50** კომედია "საკალათბურთო ციებცხელება" **12.15** მუსიკა **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** მელოდრამა "გონება და გრძნობები" **15.55, 20.20** მუსიკა **16.10** მულტსერიალი **16.45** ბოევიკი "ზარალის ანაზღაურება" **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** დრამა "პონეტი" **21.00** კომედია "ძლიერი ქარი" **23.00** წინაარჩევნო პროექტი "არჩევნებამდე" **00.00** "ექსკლუზივი" **00.40** თრილერი "მოპატიჟებას სიკვდილის სუნი სდევს" **02.40** მხ. ფილმი "ცეკვები მგლებთან" **05.40** მუსიკა

ОРТ

07.00 "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.30, 19.50 Сериал "Клон" 12.20** Мультсериал "Кошки-мышки" **12.40** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь" **13.10** Татьяна Догилева в фильме **"Стрелец неприкаянный" 15.00 Сериал "Женщины в любви" 16.10 Сериал "Золото Югры". 3 с. 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Прогулки с чудовищами". Док. сериал **20.50** "Стирка на миллион" **21.00** Алексей Гуськов в фильме **"Раскаленная суббота". 2-я с. 22.00** Время **23.35 Футбол. Чемпионат Европы. Сборная Хорватии - сборная Франции. 01.40** "Сканер" **02.10** "Идолы". Кирк Дуглас **02.35** Жан Габен в драме **"Сицилийский клан" 05.00 Триллер "Призрак в машине"**

НТВ

07.00 Утро на НТВ. **09.55 Сериал "ЛЮБОВЬ ВДОВЦА" 11.00** Сегодня утром. **11.25** Квартирный вопрос. **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.35** Сегодня **13.30** Олег Янковский в фильме **"ХРАНИ МЕНЯ, МОЙ ТАЛИСМАН". 15.20** Время есть. **15.35** Протокол. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Лесной призрак". **19.35** Протокол. **20.40 Детектив "СЫЩИКИ-3: НЕ СТРЕЛЯЙТЕ В ПИАНИСТА". Часть 2. 21.45 Сериал "ЖЕЛАННАЯ". 7-я с. 23.00** "Страна и мир". **23.35** "К барьеру!" Ток-шоу **00.50** Тайны разведки: крестоносец мира. **01.20 Сериал "СЫЩИКИ-3". 03.00** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

მანძილი, რომელსაც „სინათლის წელიწადი„ გადის ორ თვეში

წარმოდგენა ორ მოქმედებად

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მერიაში გამართული პრეზენტაციისგან განსხვავებით, "ნოა-ნოაში" კონცერტი გადასარევად ისმინებოდა.

ვერა ნეფარიძე

ნამდვილად არ ვიცი, კლუბ "ნოა-ნოას" გუშინდელი მასპინძლების შეკითხვაზე (მანძილი, რომელსაც სხივი გადის ერთ წელიწადში) რომელია სწორი პასუხი შემოთავაზებული ვარიანტებიდან, მაგრამ დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ორი თვე ჯგუფი "სინათლის წელიწადისთვის" საკმარისი აღმოჩნდა, რომ შორს წასულიყო. თუკი 8 აპრილს მერიის შენობაში გამართული პრეზენტაცია კაკაფონიისა და თავდაჯერებული, ყმაწვილი მუსიკოსების ამბიციურ გამოსვლად მოგეჩვენებოდათ (არ დავმალავ და პირადად, ასე დამემართა), გუშინდელ კონცერტზე გაგიჭირდებოდათ დაჯერება, რომ სცენაზე სულ "ახალფეხადგმული" კოლექტივი გამოდიოდა.

აპრილში ჯგუფს არც სახელწოდება ჰქონდა. ამ ხნის განმავლობაში კი ახალგაზრდა მუსიკოსების დაუღალავი მუშაობის შედეგად კოლექტივმა სახელიც შეიძინა. "სინათლის წელიწადი", - შეარჩიეს საბოლოო ვარიანტად. მათ კი, ვისაც აინტერესებთ, რატომ მაინცადამაინც ეს სახელი, უნდა გადაშალონ ოთარ ჭილაძის მესამე ტომი (გვერდი - 397). საერთოდ, ჭილაძის ზეგავლენა "სინათლის წელიწადზე" გუშინ საკმაოდ საგრძნობი იყო. სამწუხაროდ, ცნობილი ქართველი ავტორი, ალბათ, ერთადერთი ადამიანი იყო, ვისი კონცერტზე ყოფნაც მუსიკოსებს ყველაზე მეტად უნდოდათ – ოთარ ჭილაძე კონცერტს ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო. საკმაოდ მრავალრიცხოვან სტუმართა შორის კი იყვნენ ჯგუფის წევრების ახლობლები, ჟურნალისტთა კორპუსის მცირერიცხოვანი წარმომადგენლობა და ასევე მცირე ნაწილი თანამედროვე ქართული მუსიკალური სცენიდან.

მერიაში გამართული პრეზენტაციისგან განსხვავებით, "ნოა-ნოაში" კონცერტი გადასარევად ისმინებოდა. მეტიც – პირადად, ასეთი ჟღერადობა ამ კლუბში არც მომისმენია. კონცერტი ორნაწილიანი იყო (მისი სახელწოდებაა "გზა ცისკენ"); ასევე ორნაწილიანი იქნება კომპაქტ-დისკი, რომელსაც ჯგუფი უახლოეს მომავალში გამოცემს. "სინათლის წელიწადს" ქართული მუსიკის მრავალრიცხოვანი "ვარსკვლავებით" მოჭედილ ცაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება გამოარჩევს. პირველ რიგში, ყველაზე მეტად თვალშისაცემია ახალგაზრდა მუსიკოსების მუსიკისადმი დამოკიდებულება და შემართება. მე პირადად, გუშინდელმა კონცერტმა ცოტა დამაიმედა და ერთი საინტერესო "საიდუმლოც" ამიხსნა: თურმე, თანამედროვე ქართული მუსიკა (და განსაკუთრებით, ახალგაზრდების შესრულებით) მხოლოდ ის არაა, რასაც დღედაღამ ერთ-ერთი პოპულარული, გასართობი ტელეარხი გვაჩვენებს.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.